პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

([illegible])

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

კომუნისტი

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის— 1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- დაიხურა პროფინტერნის კონგრესი
- უხანისა და ნანკინის შეთანხმება.
- მაქსიმ გორკის პროტესტი ბურჟუაზიული [illegible] გამო.
- რუმინეთი პრეტენზიას აცხადებს საბჭოთა ოქროზე.
- კომუნისტების დევნა საბერძნეთში.
- გერმანიის მეზღვაურთა გაფიცვა გრძელდება.
- ლატვიის ს.-დ. ყრილობა მხარს უჭერს ლატვია-საბჭოთა სავაჭრო შეთანხმებას.
- თურქეთის მეჯლისში შეტანილია პროექტი ეკლესიის გამოყოფისა სახელმწიფოდან.

ოთხშაბათი, 4 აპრილი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 78 (2121)

კომუნისტი

გრძელდება ხელისმოწერა აპრილისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

არა იძულებით, არამედ დაჯერებით

უკანასკნელი ცნობებით, გლეხურ მეურნეობის განმტკიცების სესხის ობლიგაციები უკვე გასაღებულია ას მილიონზე მეტი რაოდენობით. ამგვარად, საბჭოთა კავშირის მასშტაბით სესხის ნორმა მთელი ასი პროცენტით შესრულებულია ვადაზე ადრე. ამასთან არიან ჩამორჩენილი რაიონებიც. საერთოდ მიღწევა მეტად თვალსაჩინოა.

მაგრამ ამავე დროს აღსანიშნავია, რომ სესხის გავრცელების საქმეში ალაგ-ალაგ ადგილი ჰქონდა მთელ რიგ დაუშვებელ მოვლენებს. ამის შესახებ ლაპარაკობს ამხ. რიკოვის ცირკულიარული წერილი, რომელიც გუშინ გვქონდა გამოქვეყნებული, ამასვე ეხება ამხ. ბრიუხანოვის საუბარი, რომელიც დღეს თავსდება.

რაში გამოიხატება ეს დაუშვებელი მოვლენები? იმაში, რომ იყო თურმე შემთხვევები, როცა სესხს გლეხებ შორის იძულებით ავრცელებდენ. იძულება სხვადასხვა ხასიათის ყოფილა. ზოგან კოოპერაცია მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში უპირატესობას აძლევდა იმ გლეხებს, რომელთაც სესხი ჰქონდა შეძენილი, რაც აუარესებდა დანარჩენ გლეხების მდგომარეობას და უკმაყოფილებას ქმნიდა მასში. ყოფილა ცდები, როცა გლეხებისაგან შეძენილ პროდუქტების მაგივრად ან მათ მიერ შესრულებულ ამა თუ იმ საქმისათვის უნდოდათ მათთვის სესხის ობლიგაციების მიცემა— გლეხების სურვილის წინააღმდეგ. ყოფილა შემთხვევები, როცა მოწმობების და დოკუმენტების მიცემაზე უარს ეუბნებოდენ იმ პირებს, ვისაც სესხის ობლიგაცია არ ჰქონდა ნაყიდი. ადგილობრივ ორგანოებს ეძლეოდათ დავალება სესხის განსაზღვრულ რაოდენობის შესახებ. ზოგიერთი ამ დავალების შესასრულებლად მიმართავდა ზევით ხსენებულ და სხვა მსგავს ადმინისტრატიულ ზეგავლენის მეთოდებს, იმის ნაცვლად, რომ ეწარმოებია შესაფერი ახსნა-განმარტებითი და საორგანიზაციო კამპანია.

ასეთი შემთხვევები, რა თქმა უნდა მცირეა. ჩვენშიც იშვიათი გამონაკლისის სახით თუ შესაძლებელია, რომ დაახლოებით ამგვარ რამეს ჰქონოდა ადგილი, მაგრამ თუ გინდ ასეთი მოვლენები თითზე ჩამოსათვლელი, მათზე მაინც საჭიროა განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა. ესაა სესხების პოლიტიკაში უხეში გადამახინჯება პარტიის და ხელისუფლების ხაზისა, რომელიც სესხის გავრცელებას ნებაყოფლობის პრინციპს უდებს საფუძვლად.

იძულებითი ზეგავლენის მეთოდებით სესხის გავრცელება უეჭველად დიდად მავნებელია მთელი ჩვენი სახელმწიფო საკრედიტო სისტემისათვის. საბოლოო ანგარიშით ასეთი მეთოდები არყევენ მოსახლეობის ნდობას სახელმწიფოს საკრედიტო ოპერაციებისადმი, რომ არ ვილაპარაკოთ ამ დარგში იძულების გამოყენების უარყოფით პოლიტიკურ შედეგებზე: გლეხობაში უკმაყოფილების გამოწვევაზე საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

საგლეხო სესხის ობლიგაციების რეალიზაცია ჯერ კიდევ იწარმოებს. გადაჭრილი ზომები უნდა იქნეს მიღებული, რათა გამოსწორებულ იქნეს ზევით აღნიშნული შეცდომები, თუ მათ ჩვენში ადგილი ჰქონდათ, და შემდეგისათვის სესხის რეალიზაციის კამპანიის გაგრძელების დროს, არ იქნეს დაშვებული მათი განმეორება. არა იძულება, არამედ დაჯერება, სათანადო იდეურ და ორგანიზაციულ მუშაობის გაწევა აი როგორი უნდა იყოს ჩვენი მუშაობის ხასიათი ამ შემთხვევაში-გლეხობას გასაგებად, მარტივად უნდა განემარტოს საგლეხო სესხის როგორც სასოფლო მეურნეობის განვითარებისა და მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ფინანსიურად გამაგრებისათვის, ისე თვით ობლიგაციების შემძენ გლეხებისათვის.

სახელმწიფო სესხები ბიუჯეტის საშემოსავლო წყაროს ერთ ერთ მეტად მნიშვნელოვან მუხლს შეადგენს, მაგ., საბჭოთა კავშირის 1927—28 წ. ბიუჯეტის პროექტით აქედან ნავარაუდევია 500 მილიონი მანეთის მიღება. ეს ვარაუდი შეიძლება გამართლდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სათანადო ორგანოები და მუშაკები საქმეს ჯეროვანად მოკიდებენ ხელს და სავსებით შეიგნებენ ჩვენს ხაზს სესხების რეალიზაციის საკითხში. დათვურ სამსახურს უწევენ სახელმწიფოს ის მუშაკები, რომელნიც იძულებითი გზით ცდილობენ ზევიდან მიცემულ დავალების შესრულებას და იმაზე არ ფიქრობენ, თუ რა მავნე შედეგი მოსდევს ამას. ეს მოწმობს, რომ მათ მუშაობის უნარი არ შესწევთ და პარტიის კურსიც არა აქვთ შეთვისებული. ჩვენ ვიცით, რომ უფრო „ადვილია". მაგ., საჭირო დოკუმენტების მიცემაზე უარის თქმით გლეხი დააყოლიოთ სესხის შეძენაზე, ვინემ ამას მიაღწიო მისი დაჯერების, მასზე იდეურ გავლენის მოხდენის გზით. მაგრამ ისიც უდავოა რომ მხოლოდ უკანასკნელი მოგვცემს შესაფერ ნაყოფს.

ყველაფერი ეს შეიძლება ითქვას არა მარტო სესხის საკითხზე, არამედ მთელი ჩვენი მუშაობის სისტემაზე, რომლიდანაც სამხედრო კომუნიზმის ნაშთები უნდა აღმოიფხვრას. რა თქმა უნდა, ჩვენ ხელს ვერ ავიღებთ ადმინისტრატიულ იძულების მეთოდებზე, როცა საქმე საბჭოთა ხელისუფლების მტრებს ეხება და სადაც ეს საჭიროა. მაგრამ ადგილობრივ მუშაკებმა უნდა იცოდენ, თუ როდის და სადაა აუცილებელი ამ მეთოდების გამოყენება. ამ მხრივ საჭიროა გაძლიერებულ იქნეს პარტორგანიზაციების და სხვა სათანადო ორგანოების კონტროლი.

საფრანგეთის რეაქციის ბრძოლა „კომუნისტური ქიმერების" წინააღმდეგ

საფრანგეთის პრემიერ - მინისტრმა „კომიტე დე ფორჟი"-ს (მძიმე მრეწველობის გაერთიანება) ერთგულმა ნოქარმა, ყველა რეაქციონერების იმედმა რაიმონდ პუანკარე—ომმა საარჩევნო კამპანიის მომზადება დაიწყო. ამ მიზანს ემსახურება მისი უკანასკნელი გამოსვლა კორკასონში. პუანკარე, როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან კმაყოფილია მთავრობის მოქმედების შედეგებით. და მას ეჭვი არ შეაქვს, რომ ამ წარმატების ჯილდო უნდა იყოს პარლამენტის „მტკიცე" უმრავლესობა. პუანკარე,—დაამარცხა რა მან ერთხელ წვრილ-ბურჟუაზიული „მემარცხენე ბლოკის" ბელადების ჯგუფი და დაამტკიცა რა ამ ჯგუფის ბელადებს, რომ მსხვილი კაპიტალისადმი, კერძოდ ბანკის მაგნატებისადმი მორჩილება უპირველეს მოვალეობას შეადგენს ყოველი ბურჟუაზიული პოლიტიკოს მოღვაწისათვის, — როგორ რადიკალადაც არ უნდა მოჰქონდეს მას თავი, —კვლავ აგრძელებს თავის მუშაობას ბურჟუაზიული რეაქციის ყველა ძალების დასარაზმავად. სავსებით ბუნებრივია, რომ იგი ამასთანავე მთელი თავისი ძალღონით ილაშქრებს კომუნიზმის წინააღმდეგ, „კომუნისტური ქიმერების" წინააღმდეგ, რაიც არაპირდაპირად ამტკიცებს იმას, თუ რამდენად ძლიერ აღელვებს, და აშინებს საფრანგეთის მმართველ კლასებს პროლეტარიატის რევოლიუციონური მოძრაობა.

პუანკარე და მისი დამქაშები ხვდებიან, რომ თავისი [illegible] წითელ საფრთხეზე და აჯანყებაზე, რომლებიც ემუქრება კოლონიებსაც და მეტროპოლიასაც, ისინი უფრო მეტ ეჭვებს ქმნიან, უფრო მეტ საფრთხეს უმზადებენ კაპიტალისტური წყობილების სიმტკიცეს, ვიდრე ისინი, რომლებიც პირდაპირ აკრიტიკებენ ამ წყობილებას მას სრულიადაც არ აქვს განზრახვა შეუმსუბუქოს კომუნისტებს მათი მუშაობა ბურჟუაზიული წყობილების დასანგრევად. პირიქით, იგი, როგორც გამოცდილი პოლიტიკოსი, ცდილობს გამოიყენოს შიში პროლეტარული რევოლიუციის წინაშე, შიში, რომლითაც მოცულია ყოველი მეშჩანის, ყოველი მესაკუთრის არსება, იგი ცდილობს მეშჩანზე მოახდინოს ზეგავლენა გადატრიალების საშინელებათა დახატვით, რათა ამ საშუალებით უფრო ადვილად გადაიბიროს ისინი „წესიერების პარტიის" მხარეზე.

ეს ძველი ნაცადი მეთოდია, რომელიც არა ერთხელ გამოუყენებიათ ყველა ქვეყნის რეაქციონერებს. მაგრამ რაც უფრო წინ მიაბიჯებს მსოფლიო ისტორია, მით უფრო ძნელი ხდება ამგვარი მეთოდების გამოყენება. პუანკარე კომუნიზმის საშინელებათა დახატვის დროს აღარ კმაყოფილდება მხოლოდ პარიზის კომუნის „უკუღმართობათა" დახასიათებით, კომუნის, რომელიც გაანადგურეს ვერსალელებმა— თანამედროვე პუანკარეების სულიერმა მამებმა.

„კომუნისტური ქიმერების" უარყოფის დროს ეხლა მხედველობაში უნდა იქონიონ ქვეყანა, სადაც უკვე ათ წელზე მეტია, რაც განხორციელდა პროლეტარიატის დიქტატურა. პუანკარეს უხდება მთელი მსოფლიოს წინაშე უიმედოდ ამტკიცოს, რომ კაპიტალისტური საფრანგეთი — ბირჟის სპეკულიანტების და გამყიდველი პოლიტიკური გაიძვერების ქვეყანა, გაფიცული მუშების წინააღმდეგ სასტიკი რეპრესიების ქვეყანა, სიმკაცრით სახელგანთქმული კოლონიალური გმირების ქვეყანა თითქო ანხორციელებს ისეთი საზოგადოების იდეალს, „რომელიც გულწრფელად მიისწრაფვის მატერიალური, ინტელექტუალური და მორალური გაუმჯობესებისაკენ". პუანკარეს უხდება სასოწარკვეთილების სიმამაცით, ამტკიცოს, რომ „ფრანგების მეორე ნაწილი, რომელიც უჯერის კომუნისტურ ილიუზიებს" (უნდა აღინიშნოს, რომ კომპარტიამ საფრანგეთში უკანასკნელ არჩევნებში მიიღო მილიონამდე ხმა), მაშინვე აღიარებდა ბურჟუაზიულ წყობილების უპირატესობას საბჭოთა წყობილებასთან შედარებით, რომ მათ უკეთესად იცოდენ „მოსკოვის ცხოვრების ტანჯვა და მწუხარება, იქ არსებული შინაური უთანხმოებანი, ხელისუფლების ბოროტად გამოყენება, გამარტივებული სასამართლო განაჩენები, გადასახლება და სიკვდილით დასჯა".

თუ ეს მხოლოდ იმისათვის არ არის ნაფიქრამი, რომ მხიარულ გუნებაზე დააყენოს ფრანგი პროლეტარები, თუ პუანკარეს მართლაც სწამს, რომ მოსკოვის ცხოვრების „ტანჯვამ და მწუხარებამ" უნდა „გამოაფხიზლოს" კომუნისტური პროპაგანდის გავლენის ქვეშ მოქცეული ხალხი, მაშინ რატომ არ უნდა დათანხმდეს იმაზე, რომ საფრანგეთის დიდ ფაბრიკებსა და ქარხნებში არჩეულ იქნან განსაკუთრებული დელეგაციები და ეს დელეგაციები საფრანგეთის მთავრობის ხარჯზე გაიგზავნონ საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლობის გამოკვლევის შესასწავლად. დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ვლადიმერ ილიჩი ასეთ წინადადებას აძლევდა ყველა ბურჟუაზიულ მთავრობებს. დე, თვით ასეთმა დელეგაციებმა გადაწყვიტონ, როგორი წყობილება, როგორი ცივილიზაცია ატარებს „უფრო სამართლიან, უფრო კეთილშობილურ და უფრო პოპულიარულ ხასიათს".

მაგრამ პუანკარემ ძალიან კარგად იცის თუ როგორ დასკვნამდე მივიდენ მუშათა დელეგაციები, რომლებმაც უკვე ინახულეს საბჭოთა კავშირი. ამგვარად, პუანკარეს მთელი ეს მსჯელობა იმის შესახებ, რომ კომუნისტური იდეალების მიმზიდველი ძალა მდგომარეობს იმაში, რომ ვითომცა ვერ იცნობენ საბჭოთა ცხოვრებას, წარმოადგენს მხოლოდ ცარიელი სიტყვების უბრალო რახა-რუხს. პუანკარემ მშვენიერად იცის, რომ კომუნიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიის განკარგულებაში დარჩა მხოლოდ სიცრუის და ცილის წამების საშუალება და რომ ყოველი მართალი სიტყვა გამანადგურებელია ბურჟუაზიისათვის. ეს, სხვათა შორის, იძულებული გახდა აღიარებია მაშინ, როცა ლაპარაკობდა კომუნისტური პროპაგანდის წინააღმდეგ, ამ პროპაგანდას აყენებდა კანონს გარეშე და ბოროტმოქმედებას უთანაბრებდა.

პუანკარეს სიტყვის მეორე ნაწილი ეხება საგარეო პოლიტიკას. სიტყვის ამ ნაწილსაც ახასიათებს არაგულწრფელი სტილი. პუანკარე — ომი, 1914-1918 წ. საშინელი ომის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი, პუანკარე — რურის ავანტიურის სულის ჩამდგმელი. ლაპარაკობს „მშვიდობიანობის საჭიროებაზე" და ჩამოთვლის „საფრანგეთის გამოსვლებს, რომლებიც ემსახურება მშვიდობიანობის იდეალს".

მართალია, ძალიან სქელი შუბლი უნდა ჰქონდეს ადამიანს, სირცხვილის გრძნობას სავსებით უნდა იყოს იგი მოკლებული, რომ გაუწითლებლად წარმოსთქვას ასეთი სიტყვები.

1913 წელში, როგორც კი დაიკავა პრეზიდენტის პოსტი ამ შემთხვევის გამო ნიკოლოზ მეორისგან მიიღო ანდრია პირველ - წოდებულის ორდენი, ეს, ეხლანდელი „პაციფისტი" მთელი თავისი ენერგიით უმტკიცებდა მეფის ელჩს, თუ როგორი „სამსახური" გაუწია საფრანგეთს აგადირის კონფლიქტმა მაროკოსათვის, როგორ დიდ სამსახურს გაუწევს მას გერმანიის არმიის გადიდება, „ვინაიდან ეს ნათლად დაამტკიცებს პაციფისტური თეორიის უსაფუძვლობას და საფრანგეთის სამხედრო ძალების კიდევ უფრო მტკიცედ დარაზმვის აუცილებლობას". კაპიტალისტური საფრანგეთი 1913 წელში პუანკარეს ხელმძღვანელობით მეფის რუსეთის მთავრობასთან ერთად ამზადებდა საშინელ ომს. 1928 წელში იგივე პუანკარეს მთავრობა გააფთრებული ილაშქრებს განიარაღების საბჭოთა პროექტის წინააღმდეგ.

პუანკარე ქებას ასხამს საფრანგეთის მთავრობას, ვინაიდან იგი მუშაობს „მშვიდობიანობის დამყარებისათვის". „საყოველთაო დაახლოვებისათვის", მაგრამ ამავე დროს იგივე მთავრობის დახმარებით ბანკ დე ფრანსი ლამობს საბჭოთა ოქროს დასაკუთრებას ამერიკაში, იგივე მთავრობა ცდილობს ჩაშალოს საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობა ჩრდილო - ამერიკის შეერთ. შტატებთან.

საფრანგეთის მთავრობა, რომელსაც პუანკარე მეთაურობს და რომელიც ცეკვავს დიდ ბანკირების დუდუკზე, არავითარ ყურადღებას არ აქცევს მეფის რუსეთის სესხის ობლიგაციების წვრილ მესაკუთრეთა ინტერესებს, რომლებიც მოითხოვენ შეთანხმებას საბჭოთა კავშირთან, — არჩევს შეუთანხმებელ დეტერდინგს, რომლისათვისაც სახარბიელოა საბჭოთა ნავთის შეტანა საფრანგეთის ბაზარზე. როგორ არ უნდა დაეთანხმო პუანკარეს, რომ „საფრანგეთი შორს არის საკუთარი იზოლიაციის პოლიტიკისაგან". როგორ არ უნდა აღიაროს, რომ „კომუნისტურ ქიმერებთან" მებრძოლის პოლიტიკა ახასიათებს იშვიათი თანმიმდევრობა!

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ კაცობრიობის აყვავებისა და კეთილდღეობის იდეალი იმპერიალიზმის დროშის ქვეშ, რომელსაც ქადაგებს პუანკარე, მშრომელთა ფართო მასების თვალში უკვე გახდა უნიადაგო ქიმერა.

„პრავდა", 3 აპრილი.

დაიხურა პოლონეთ-ლიტვის კონფერენცია

კონფერენციაზე გაიმართა მწვავე კამათი ზალესკისა და ვოლდემარასს შორის

ლიტვის დელეგაციამ უარი სთქვა პოლონეთის ელჩის მიღებაზე

ეგვიპტის მთავრობის პასუხი ინგლისს.-ლონდონში აღელვებული არიან ეგვიპტის ნოტით

ამერიკის ნავთის ტრესტმა დამატებით დაიკვეთა 120 მილიონ მანეთის საბჭოთა ნავთი

პოლონეთ-ლიტვის მოლაპარაკება

კონფერენციის მეორე პლენუმი

კენიგსბერგი, 2 აპრილი. 2 აპრილს პოლონეთ-ლიტვის კონფერენციის მეორე პლენუმზე მიღებულ იქნა დღის წესრიგი: კამათი წარმოდგენილ დოკუმენტების გარშემო, კონფერენციის მუშაობის შემდგომი პროგრამა. შემდეგ დაიწყო კამათი (ადს).

ვოლდემარასის სიტყვა

ვოლდემარასი გამოვიდა სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა, რომ პოლონეთის პროექტების ზერელე გაცნობიდან ირკვევა, რომ პროექტები მთელ რიგ სადაო საკითხებს შეიცავენ. ასე, მაგალითად, პოლონეთის დელეგაცია თავის პროექტში საზღვრის ცნებას სცვლის ტერმინით „სადაო ხაზი", რაც არ არის მიღებული საერთაშორისო ურთიერთობაში. სადაო ხაზი ჩვეულებრივათ იგივე სახელმწიფო საზღვარია. ამიტომ პოლონეთის ფორმულის მიღება ნიშნავს ვილნოს და გროდნოს ოლქების ცნობას პოლონეთის ტერიტორიათ. ვოლდემარასი აღნიშნავს, რომ ამ კარდინალურ საკითხში აქამდის არ სჩანს რაიმე პროგრესი.

შემდეგ ვოლდემარასი აკრიტიკებს პოლონეთის წინადადებას ეგრედ წოდებულ ადგილობრივ მიმოსვლის შესახებ. პოლონეთის პროექტი ითვალისწინებს ადგილობრივ ხელისუფალთათვის უფლების მიცემას გააფართოონ 30 კილომეტრიანი ზონა ამა თუ იმ ადმინისტრატიულ ერთეულის ფარგლებამდე და უფლებას აძლევს სადემარკაციო ხაზის გადამკვლელთ დარჩენ სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ვოლდემარასი აღნიშნავს, რომ ეს კანონი შეუძლებლად ხდის მოგზაურებზე კონტროლის გაწევას, რაც, დიპლომატიური ურთიერთობის არსებობის დროს, ხორციელდება პასპორტების შემოწმების გზით. პოლონეთის დელეგაციის პროექტი ადგილობრივ მიმოსვლის შესახებ მით უფრო მიუღებელია ლიტვის მთავრობისათვის, რომ პოლონეთის გამგებლობის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე იწყობა ჯგუფები რომლებიც მიზნად ისახავენ გადატრიალების მოხდენას ლიტვაში და ლიტვის ტერიტორიაზე გადადიან სადემარკაციო ხაზით.

ვოლდემარასი იუწყება, რომ დღეს მან მიიღო დეპეშა, რომლიდანაც სჩანს, რომ სადემარკაციო ხაზი გადაულახავს 60 არა სამხედრო პირს, რომელთაც ლიტვის გუშაგებისათვის აუტეხიათ სროლა თოფებით და ტყვია მფრქვეველებით.

ვოლდემარასი აცხადებს, რომ კონვენციის პროექტი ადგილობრივ მიმოსვლის შესახებ არ შეიძლება განხილულ იქნეს, სანამ კონფერენცია არ მიაღწევს შეთანხმებას უშიშროების საკითხში. თუ ინგლისმა—აცხადებს ვოლდემარასი—გაწყვიტა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, იმ საბაბით, რომ საბჭოთა კავშირი აწარმოებდა ბრიტანეთის საწინააღმდეგო პროპაგანდას, მაშინ ამ შემთხვევაში ლაპარაკია გაცილებით უფრო სერიოზულ საქმეზე. ვოლდემარასი აცხადებს, რომ არ არის საკმარისი პოლონეთის განცხადებები იმის შესახებ, რომ პოლონეთის ხელისუფლება არ უწევს დახმარებას ბანდებს, რომლებიც გადადიან სადემარკაციო ხაზს. საქმე განცხადებებში კი არ არის, არამედ ფაქტებში: რაც შეეხება პოლონეთის წინადადებას, რათა დადებულ იქნეს შეთანხმება თავდაუსხმელობის შესახებ, ეს წინადადება—ვოლდემარასის სიტყვით—განსაკუთრებული ყურადღების ღირსია და დამუშავებულ უნდა იქნეს კომისიაში.

ანალოგიურ არგუმენტებს აყენებს ვოლდემარასი აგრეთვე პოლონეთის იმ პროექტების წინააღმდეგ, რომლებიც ეხება რკინის-გზებსა და ფოსტა-ტელეგრაფს. პოლონეთის პროექტები—ვოლდემარასის სიტყვით—ცდილობენ შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს ლიტვის მთავრობა შეურიგდა ვილნოს ოლქის ოკუპაციას.

შემდეგ ვოლდემარასი ჩერდება ვილნოს საკითხის შინაარსზე. ვოლდემარასი აღნიშნავს, რომ ლიტვის დელეგაცია ანგარიშს უწევს ვილნოს ოკუპაციის დაგმობას ერთა ლიგის მიერ, რომელმაც დაავალა პოლონეთს აანაზღაუროს ამ ძალადობის შედეგები, და არა ამ სფეროში არაკომპეტენტურ ელჩთა კონფერენციის გადაწყვეტილებას.

ზალესკის სიტყვა

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ზალესკი. ზალესკის სიტყვით, პოლონეთის დელეგაცია მზადაა განაგრძოს ლიტველთათვის მისაღებ ფორმულის ძებნა. რაც შეეხება კონვენციის პროექტს ადგილობრივ მიმოსვლის შესახებ, გარდა სადაო ხაზის ცნებისა, პროექტი წარმოადგენს სიტყვა სიტყვით განმეორებას პოლონეთ-გერმანიის იმ შეთანხმების, რომელიც ეხება სანაპირო ზონაში მიმოსვლას, ამ შეთანხმების დადების დროს არც პოლონეთს და არც გერმანიას არ ჰქონია მიზნად სხვის ტერიტორიაზე შეჭრა.

ზალესკი აღნიშნავს, რომ სადემარკაციო ხაზის გადასვლა შემოღებულია პრაქტიკაში.

„თუ თქვენ გეშინიათ 30 კილომეტრიან სანაპირო ზონის—განაცხადა ზალესკიმ—მაშინ დავაწესოთ 5 ან 15 კილომეტრიანი ზონა. თუ გნებავთ მისი გაფართოება—მაშინ დავაწესოთ 80 კილომეტრიანი".

შემდეგ ზალესკიმ განაცხადა, რომ მას არა აქვს ცნობები სადემარკაციო ხაზზე თავდასხმის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ცნობები ხშირად არ შეეფერება სინამდვილეს და ვრცელდება უპასუხისმგებლო აგენტების მიერ.

ზალესკის შეაქვს წინადადება შემდეგი სამი კომისიის დანიშვნის შესახებ, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა შეუდგენ მუშაობას. ეკონომიური კომისია, ქვეკომისია ტრანსპორტისა და ფოსტა-ტელეგრაფის საკითხების შესახებ; კომისია ეროვნების საკითხის (მხედველობაშია ვოლდემარასის მიერ წამოყენებული საკითხი ვილნოს ოლქიდან გამოსახლებულთა ეროვნების შესახებ) შესახებ და მოქალაქეთა დასახლების და მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე დარჩენის უფლების შესახებ; კომისია უშიშროების საკითხზე ქვეკომისიით ურთიერთი ფინანსსაკითხი ვილნოს ოლქიდან დასახლების დაურ პრეტენზიების ლიკვიდაციის შესახებ.

კამათი

ვოლდემარასი, რომელიც არ თანხმდება ზალესკის წინადადებაზე საკითხების დაუყოვნებლივ კომისიებში გადაცემის შესახებ, კვლავ იღებს სიტყვას და განაგრძობს დისკუსიას. ზალესკი ისევ გამოდის საპასუხო სიტყვით, რის შემდეგაც ვოლდემარასი ლაპარაკობს მესამეთ. ხანგამოშვებით კამათი მწვავე ხასიათს ღებულობს, განსაკუთრებით, როცა ორატორები ეხებიან პლეჩკაიტისს და მის მომხრეებს. ეხება რა საზღვრის საკითხს, ვოლდემარასი აცხადებს, რომ ლიტვისათვის სუვალკის ხელშეკრულება არ შეიძლება შეცვლილ იქნეს არავითარი სხვა შეთანხმებით. პოლონეთმა, რომელმაც ჟელიგოვსკის გამოსვლა სტიქიურად სცნო, დაარღვია სუვალკის ხელშეკრულება.

თავის მეორე გამოსვლაში ზალესკი იცავს თეზისებს ელჩთა კონფერენციის კომპეტენციის შესახებ და აღნიშნავს, რომ ლიტვამ თვითონ მიმართა მას თხოვნით დავის მოწესრიგების შესახებ.

„ლიტვის პრეზიდენტი პოლონეთის ელჩს მხოლოდ ვილნოში მიიღებს"

თავის უკანასკნელ გამოსვლაში ვოლდემარასი აცხადებს, რომ ლიტვას არ მოუწერია ხელი ვერსალის ხელშეკრულებაზე, რომელმაც შექმნა ელჩთა კონფერენცია და რომ ლიტვა არასოდეს არ სცნობდა თავისთვის სავალდებულოთ მოკავშირეთა ორგანოს გადაწყვეტილებას, იმ ორგანოს, რომელსაც არც კი უკითხავს ლიტვისთვის—ეთანხმება თუ არა ის მის გადაწყვეტილებას.

შემდეგ ვოლდემარასი მკაცრი ფორმით უარყოფს ზალესკის განცხადებას იმის შესახებ, თითქოს ცნობები ბანდების თავდასხმისა და ვილნოს ტერიტორიაზე სადივერსიო რაზმების მოწყობის შესახებ არ შეეფერებოდეს სინამდვილეს. ლიტვის მთავრობას—აცხადებს ვოლდემარასი—ხელთ აქვს ფოტოგრაფიები, დოკუმენტები და მიწერ-მოწერა, რომელიც ამტკიცებს განცხადების სისწორეს.

„დეე ზალესკიმ—ამბობს ვოლდემარასი—მოსძებნოს კენიგსბერგში მყოფ თავის წრეში კაცი, რომელიც გულახდილათ განაცხადებდა, რომ მას კავშირი ჰქონდა პლეჩკაიტისის მომხრეთა ორგანიზაციასთან. ლიტვის ელჩის ყოფნა ვარშავაში ვერაფერს უშველიდა. პოლონეთის ყაზარმებში დაბინავებულ პლეჩკაიტისის მომხრეთა საქმიანობის გამოძიებას. მე ვფიქრობ—აცხადებს ვოლდემარასი—რომ ჩვენ მალე ვერ განვაახლებთ დიპლომატიურ ურთიერთობას, ვინაიდან ლიტვის პრეზიდენტი პოლონეთის ელჩს მხოლოდ ვილნოში მიიღებს. შეუძლებელია რაიმე შეთანხმება, სანამ პლეჩკაიტისის მომხრეები სადემარკაციო ხაზს უშენენ ტყვიამფრქვევლებს".

ზალესკი უარყოფს ვოლდემარასის განცხადებას პოლონეთის მიერ ლიტვის ემიგრანტებისათვის დახმარების გაწევის შესახებ. მისი სიტყვით, პოლონეთი ამ შემთხვევაში მხოლოდ იცავდა პოლიტიკურ ემიგრანტებისათვის თავშესაფარის მიცემის ტრადიციებს.

საბოლოო სხდომა

საღამოს საბოლოო სხდომაზე ზალესკიმ შეიტანა წინადადება სამი კომისიის თავმჯდომარეების და მდივნების დანიშვნაზე გადასვლის შესახებ. ზალესკიმ და ვოლდემარასმა დაასახელეს სამი კომისიის თავმჯდომარეები. ამის შემდეგ ზალესკიმ შეიტანა წინადადება კომისიების მუშაობის ადგილის და დროის დანიშვნის შესახებ. მხარეები შეთანხმდენ მოიწვიონ კომისიების თავმჯდომარეები 20 აპრილს ბერლინში მათი მუშაობის პროგრამის შესამუშავებლად. ვოლდემარასმა დაუმატა, რომ საჭიროების მიხედვით მოწვეულ უნდა იქნეს პლენარული სხდომები.

კომისიების სხდომების ადგილათ არჩეულია: ეკონომიურ საკითხების და ფოსტა-ტელეგრაფის კომისიისათვის—კოვნო, უშიშროების საკითხის კომისიისათვის--ვარშავა, ადგილობრივ მიმოსვლის კომისიისათვის—ბერლინი.

დასასრულ, თავმჯდომარეებმა ერთმანეთს მიმართეს სიტყვებით. ზალესკიმ გამოსთქვა იმედი, რომ კომისიების მუშაობა არ ჩატარდება უნაყოფოდ. ვოლდემარასმა განაცხადა, რომ ლიტვის დელეგაციას იმედი აქვს, რომ შეიქმნება ისეთი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს მშვიდობიანობას პოლონეთსა და ლიტვას შორის (ადს).

პოლონეთის დეპეშათა სააგენტო უარყოფს

ვარშავა, 2 აპრილი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„სააგენტოს დავალებული აქვს კატეგორიულად უარყოს ლიტვის დეპეშათა სააგენტოს ცნობა პლეჩკაიტისის პარტიზანების თავდასხმის შესახებ პოლონეთ-ლიტვის საზღვარზე სოფელ გარვინის მიდამოებში, სადაც მათ, თითქოს სროლა ასტეხეს ლიტვის ტერიტორიის მიმართულებით. ეს ინფორმაცია მოგონილია. მისი მიზანია სანაპირო ინციდენტის შესახებ ყალბი ხმების გავრცელება კენიგსბერგში წარმოებულ მოლაპარაკების დროს". (ადს).

კენიგსბერგის კონფერენციის შემდეგ

კენიგსბერგი, 2 აპრილი. ლიტვის დელეგაციის თავმჯდომარე ვოლდემარასი გაემგზავრა კოვნოში. ზალესკი მიემგზავრება სამშაბათს.

პოლონეთის დელეგაციის წევრებმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადეს, რომ პოლონეთის დელეგაციამ შესძლო ვოლდემარასის შეურიგებლობის დაძლევა. ლიტვის დელეგაციის წევრები კმაყოფილი არიან, რომ მათ შესძლეს თავისი ტერიტორიალური უფლებების საჯაროდ გამოცხადება და პოლიტიკურ და იურიდიულ საკითხების წინასწარ გამორკვევის აუცილებლობის აღნიშვნა. ლიტვას თავის თავზე არ აუღია არც ერთი ვალდებულება, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ლიტვის წინააღმდეგ ვილნოს საკითხში.

ეგვიპტის პასუხი ინგლისს

ლონდონში აღშფოთებული არიან

ლონდონი, 2 აპრილი. შინაარსი ეგვიპტის პასუხისა ინგლისის ნოტაზე ჯერ არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ „დეილი ტელეგრაფ" აცხადებს, რომ პასუხმა მეტად ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა ლონდონის ოფიციალურ წრეებში.

გაზეთის აზრით, ეს პასუხი შეიძლება შეფასებულ იქნეს როგორც საბაბი პარლამენტის დათხოვნისა და ახალი არჩევნების დანიშვნისათვის, რომელშიც „ვაფდის" პარტია გამოვა უკიდურესი შოვინიზმის ლოზუნგებით.

„დეილ მეილ" სწერს, რომ ნოტას აქვს პროპაგანდის მიზნით შედგენილ მანიფესტის სახე".

„დეილი ექსპრეს" სწერს, რომ ნოტა წარმოადგენს არა ორაზროვან გამოწვევას, რაზედაც ასეთივე არა ორაზროვანი პასუხი უნდა იქნეს გაცემული.

ლონდონი, 2 აპრილი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„ინგლისის მთავრობამ მიიღო ეგვიპტის პასუხი ბრიტანეთის ნოტაზე, რომელიც გაგზავნილ იქნა ეგვიპტის მიერ ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულების პროექტის უარყოფის შემდეგ. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ეგვიპტის პასუხი ილაშქრებს ეგვიპტის საქმეებში დიდი ბრიტანეთის ჩარევის წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ ეგვიპტის მთავრობა მზადაა უშიშროების გარანტია მისცეს უცხოელებს. ეგვიპტის ნოტა სრულიად არ იხსენიებს ბრიტანეთის 1922 წლის დეკლარაციას, რომელიც განსაზღვრავს ეგვიპტის ეხლანდელ მდგომარეობას და კონსტიტუციას, არ ეხება აგრეთვე ამ დეკლარაციით გამოყოფილ 4 საკითხს (ეს საკითხებია—სუეცის არხი, სუდანი, ინგლისის ჯარების ყოფნა ეგვიპტეში და კაპიტულიაციის რეჟიმი).

ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოდან თურქეთში

ანგორა, 2 აპრილი. 109 დეპუტატმა მეჯლისში შეიტანა წინადადება იმის შესახებ, რომ თურქეთის რესპუბლიკის კონსტიტუციაში მოისპოს მუხლი, რომელიც აწესებს სახელმწიფოებრივ რელიგიას და მეჯლისს ავალებს რელიგიური საკითხების მოგვარებას. ამ წინადადების მიღების თურქეთის კანონები იქნება მხოლოდ და მხოლოდ საერო.

უხანისა და ნანკინის შეთანხმება

ჩან-კაი-შისა და უხანის შეთანხმება

ტოკიო, 2 აპრილი. „სიმბუნ რენგოს" სააგენტო იუწყება: გენერალი ლი-ცზუნ-ჟენი (ჩან-კაი-შის მომხრე) და ჩენ-შინ-სიუ (კანტონის დიქტატორის ლი-ტი-სინის მომხრე) გაემგზავრენ ჩანშაში (ხუნანის პროვინციის მთავარი ქალაქია), უხანის ჯგუფის ლიდერებთან, გენერალ ბაი-ცზუნ-ჩისთან და ჩენ-ჩიენთან მოსალაპარაკებლად; მოლაპარაკება შეეხება მათ თანამშრომლობას ჩან-კაი-შისთან.

გაზ. ოსაკა ასახის" ცნობით, ჩანშას მოლაპარაკება დამთავრდა შეთანხმებით, რომლის მიხედვით ჩენ-ჩიენი ინიშნება ხუნანის პროვინციის მთავრობის მეთაურად (ადს).

იაპონია და ნანკინის ინციდენტი

ტოკიო, 2 აპრილი. ნანკინის ინციდენტის მოგვარების შესახებ ცნობებთან დაკავშირებით, იაპონიის პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ: იაპონია ნანკინის ინციდენტის მოგვარებაზე იმ პირობით დასთანხმდება, თუ ნანკინის მთავრობა ბოდიშს მოიხდის, თუ დამნაშავენი დაისჯებიან და ანაზღაურებული იქნება იაპონელების ზარალი.

ნანკინის ინციდენტის გარშემო

ტოკიო, 2 აპრილი. „სიმბუნ რენგოს" შანხაელი კორესპონდენტის ცნობით, ნანკინის გარეშე საქმეთა მინისტრ ხუან-ფუსა და ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების ელჩ მაკ მორეის შორის დადებულია შეთანხმება ნანკინის ინციდენტის მოგვარების შესახებ. ნანკინის მთავრობა კისრულობს იმ ზარალის ანაზღაურებას, რომელიც ამერიკელებმა მიიღეს ნანკინის ამბების დროს. ზარალის რაოდენობას განსაზღვრავს ჩინეთ-ამერიკის შერეული კომისია. ნანკინის მთავრობა ბოდიშს იხდის ინციდენტის გამო. ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების მთავრობა ბოდიშს იხდის იმის გამო, რომ ამერიკელებმა მონაწილეობა მიიღეს ნანკინისათვის ზარბაზნების დაშენაში.

ახალი ბაზრები საბჭოთა ნავთის პროდუქტებისათვის

ნიუ-იორკი, 2 აპრილი. „ამტორგ"-ი იუწყება, რომ კომპანია „ვაკუუმ ოილ"-მა დასდო რამოდენიმე ახალი კონტრაქტი საბჭოთა ნავთის პროდუქტების გაყიდვის შესახებ ახალ ბაზრებზე. ახალი კონტრაქტები დადებულია 6 წლის ვადით. კონტრაქტების თანახმად ნავთის სინდიკატი ყოველწლიურად მიაწვდის ნიუ-იორკის სტანდარტ ოილ"-ს და „ვაკუუმ ოილ"-ს 10 მილიონი დოლარის ნავთის პროდუქტებს (ადს).

მ. გორკის პროტესტი

რომი, 2 აპრილი. გაზეთ „მეცოჯორნომ" გორკის მიაწერა განცხადება თითქოს ის ოპოზიციაში უდგას საბჭოთა მთავრობას და არ აპირებს საბჭოთა კავშირში გამგზავრებას ავადმყოფობის გამო.

ამასთან დაკავშირებით, გორკი იუწყება, რომ ეს ყალბი ცნობა არის განმეორება იმ მოჭორილი ინტერვიუსი, რომელიც 1926 წლის 6 მარტს გამოქვეყნდა „ობზერვერ"-ში და რომელიც მან თავის დროზე უარყო (ადს).

კომუნისტების დევნა

„მოსკოვის ხელი" საბერძნეთში

ათინა, 2 აპრილი. რეაქციონური წრეები ცდილობენ თავის მიზნებისათვის გამოიყენონ სამი დიდი ხანძარი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მარტში თამბაქოს ფაბრიკებში. რეაქციონერები ხმებს ავრცელებენ, რომ ქარხნებს კომუნისტებმა წაუკიდეს ცეცხლი. ამ კამპანიასთან დაკავშირებით ზოგიერთი გაზეთი ლაპარაკობს „მე-3 ინტერნაციონალის სააგენტოს შესახებ, რომელსაც ფარულად მფარველობს საბჭოთა ოფიციალური წარმომადგენლობა საბერძნეთში" (ადს).

კანონპროექტი კომუნისტების წინააღმდეგ საბერძნეთში

ათინა, 2 აპრილი. საბერძნეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა პარლამენტში კანონპროექტი შეიტანა კომუნისტების წინააღმდეგ. კანონპროექტის თანახმად, კომუნისტური პროპაგანდა და კომპარტიის წევრობა მიჩნეულია სისხლის სამართლის დანაშაულად. მთავრობას განზრახვა აქვს აგრეთვე საკანონმდებლო წესით აკრძალოს კომუნისტური პრესა. (ადს).

პროფინტერნის კონგრესი

კომისიების მოხსენებები

მოსკოვი, 3 აპრილი. 2 აპრილს, საღამოთი, პროფინტერნის კონგრესმა მოისმინა მოხსენებანი ცალკე კომისიების მუშაობის შესახებ. ყველა მოხსენების გარშემო კონგრესმა დაამტკიცა სათანადო რეზოლიუციები.

პროპაგანდის საერთაშორისო კომიტეტების მუშაობის შესახებ გამოტანილ რეზოლიუციაში კონგრესი აღნიშნავს, რომ ეს კომიტეტები უნდა გადაიქცნენ რევოლიუციონურ პროფმოძრაობის ხელმძღვანელ ცენტრებად. იმპერიალიზმის სამხედრო სამზადისის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა და აგიტაცია განსაკუთრებულის ენერგიით უნდა სწარმოებდეს ტრანსპორტის მუშებს, მელითონეებს და მეზღვაურებს შორის.

სასოფლო-სამეურნეო მუშათა შორის მუშაობის შესახებ გამოტანილ რეზოლიუციაში მოცემულია კაპიტალისტური ქვეყნების სასოფლო - სამეურნეო პროლეტარიატის მდგომარეობის დაწვრილებითი ანალიზი. პირველ რიგში წამოყენებულია პროფკავშირებში სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის დარაზმვის ამოცანა. რეზოლიუცია აყალიბებს რევოლიუციონური მუშაობის პროგრამას სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატის პროფორგანიზაციებისათვის.

კონგრესმა მოისმინა აგრეთვე მოხსენებანი იმ კომისიების შესახებ, რომლებიც მუშაობენ ინგლისის, გერმანიის, ირლანდიის და ჰოლანდიის პროფმოძრაობის საკითხების გარშემო. ყველა ამ მოხსენებების გარშემო მიღებულია რეზოლიუციები, რომლებშიაც დასახულია პროფინტერნის მომხრე პროფორგანიზაციების ძირითადი ამოცანები.

უკანასკნელი სხდომა

მოსკოვი, 3 აპრილი. 3 აპრილს შესდგა პროფინტერნის კონგრესის საბოლოო სხდომა. კონგრესმა დაამტკიცა რეზოლიუციები საფრანგეთის, ჩეხო-სლოვაკიის, სამხრეთ - სლავიის, ინდოეთის და სხვა ქვეყნების რევოლიუციონურ პროფკავშირების მუშაობის შესახებ. კონგრესმა მიიღო მიმართვა ყველა ქვეყნის მუშებისადმი ბრძოლის გაძლიერების შესახებ, თეთრი ტერორისა და კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ. ფაშისტურ დიქტატურის წინააღმდეგ, კაპიტალის ყველა ტყვეებისა და პროლეტარიატის სრული განთავისუფლებისათვის. კონგრესი მოუწოდებს მუშათა მასებს იბრძოლონ მთლიან რევოლიუციონურ ინტერნაციონალისათვის.

პირველად, არსებულ წესის ნაცვლად, კონგრესი ადგენს აირჩიოს თავის შემადგენლობიდან არა აღმასბიურო, არამედ ცენტრალური საბჭო, რომელიც წარმოადგენს პროფინტერნის სრულუფლებიან ორგანოს კონგრესებს შორის და იკრიბება წელიწადში ერთხელ ცენტრ-რი საბჭო გამოყოფს თავის შემადგენლობიდან პროფინტერნის მომუშავე ორგანოს — აღმასბიუროს. კონგრესი ერთხმად ამტკიცებს ცენტრალურ საბჭოს წევრთა სიას 95 წევრის და 18 კანდიდატის შემადგენლობით აღმასბიუროს შემადგენლობაში გადაწყვეტილია არჩეულ იქნას 19 წევრი და 13 კანდიდატი. პროფინტერნის მეხუთე კონგრესის მოწვევა განზრახულია შეუფარდდეს პროფინტერნის ათი წლის თავს — 1930 წლის 15 ივლისს.

საბოლოო სიტყვაში ამხ. ლოზოვსკიმ ჯამი გაუკეთა კონგრესის მუშაობას და აღნიშნა, რომ დელეგატები მკაცრ კრიტიკას უწევდნენ წარსულ მუშაობას. ამ კრიტიკით რევოლიუციონური პროფმოძრაობა განსხვავდება რეფორმისტულისაგან. ამ კრიტიკის შედეგად გამომუშავებულია მთლიანი ხაზი, რომელიც სავალდებულოა ყველა იმ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ემხრობიან პროფინტერნს. (ადს)

მასების სურვილის წინააღმდეგ

ბერლინი, 2 აპრილი. ჰამბურგის, ბრემენის და კილის გემების საშენებლო ქარხნების ორგანიზაციულად შეკავშირებულ მუშებში ჩატარდა კენჭის ყრა სამედიატორო სასამართლოს იმ გადაწყვეტილების გამო, რომელიც უარყოფს მუშათა მოთხოვნილებას ხელფასის მომატების შესახებ. სასამართლოს გადაწყვეტილების უარყოფას და გაფიცვის გამოცხადებას მხარი დაუჭირა 24.000 კაცმა. სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების სასარგებლოდ ხმა მისცა 3.000 კაცმა. მიუხედავად კენჭის ყრის შედეგებისა, მელითონეთა რეფორმისტულ პროფკავშირის რაიონულმა კომიტეტმა გასცა განკარგულება მუშაობის დაწყების შესახებ. კომუნისტები და პროფკავშირთა მემარცხენე უმცირესობა მოითხოვენ, რომ ცხოვრებაში გატარებულ იქნას მუშების გადაწყვეტილება გაფიცვის გამოცხადების შესახებ. (ადს).

რუმინეთის პრეტენზიები საბჭოთა ოქროზე

ლონდონი, 2 აპრილი. „ფაინენშიელ ტაიმსის" ბუქარესტელი კორესპონდენტი და „ტელეგრაფის" ვენელი კორესპონდენტი იუწყებიან: რუმინეთის მთავრობამ სთხოვა ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების მთავრობას, რომ მან სეკვესტრი დაადოს საბჭოთა ოქროს (ადს).

ვენა, 2 აპრილი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობების თანახმად, რუმინეთის მთავრობამ სთხოვა ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების მთავრობას, რომ მან კონფისკაცია უყოს ამერიკაში მიღებულ საბჭოთა ოქროს, როგორც მოსკოვში კონფისკაციაქმნილ რუმინეთის ბანკის ოქროს საწინდარს. ამ ცნობების თანახმად, რუმინეთის მთავრობამ მიანდო რამდენიმე ცნობილ ამერიკელ ვექილს რუმინეთის ინტერესების დაცვა ამერიკის სასამართლოში.

ბელორუსთა გრომადის პროცესი

ვარშავა, 2 აპრილი. ვილნოში ბელორუსთა გრომადის პროცესის 22-რე დღეს მოსმენილ იქნა ჩვენება კოსოვის პოლიციის კომისრის იასინსკისა, რომელიც 1927 წლის თებერვალს გლეხთა დემონსტრაციის წინააღმდეგ სროლას ხელმძღვანელობდა კოსოვოში. დემონსტრაცია გაიმართა დაპატიმრებული ბელორუსიის დეპუტატების განთავისუფლების ლოზუნგით. მოწმე ამტკიცებს, რომ დემონსტრანტებმა წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას, რომელიც იძულებული გახდა სროლა აეტეხა. პოლიციამ ერთი დემონსტრანტი მოჰკლა, 10 დასჭრა; აქედან 6 გარდაიცვალა. შემდეგ მოწმემ განაცხადა, რომ მის რაიონში გლეხები უქმობენ ყველა „ბოლშევიკურ დღესასწაულს".

დაკითხვამ გამოარკვია, რომ დემონსტრანტები შეიარაღებულნი არა ყოფილან. მოწმის სიტყვებიდან სჩანს, რომ პოლიციის წინააღმდეგ დაიწყო სამოსამართლო გამოძიება დემონსტრანტების დახოცვის გამო. მაგრამ პროკურორის განკარგულებით საქმე შესწყდა (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გადადიან 7 საათის სამუშაო დღეზე

მოსკოვი, 3 აპრილი. პარფიუმერიის უდიდესი ქარხანა „სვობოდა", ლუდის ტრიოხგორნი ქარხანა და მოსკოვის ქიმიურ მრეწველობის ყველა წარმოებანი სახალხო სამეურნეო საბჭოს გეგმის მიხედვით მომავალ წლისათვის გადავლენ შვიდი საათის სამუშაო დღეზე.

7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის შედეგები

მოსკოვი, 3 აპრილი. შრომის სახალხო კომისარიატი თავის ანგარიშში შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლის შესახებ აღნიშნავს იმ მიღწევებსა და ნაკლს, რომელიც ჯერჯერობით მოგვცა 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლამ.

იმ ფაბრიკა-ქარხნებში, რომელნიც გადაყვანილ იქნენ შვიდი საათის სამუშაო დღეზე და რომლებშიაც შემოღებულ იქნა მუშაობა სამ ცვლად, მიღებულია 18 ათასი ახალი მუშა. ამნაირად 7 საათის სამუშაო დღემ, როგორც მოსალოდნელი იყო, სხვა თავის დადებით შედეგებთან ერთად დიდი მნიშვნელობა იქონია უმუშევრობის შემცირებაზე. ეს მოხდა განსაკუთრებით იმ წარმოებებში, სადაც გატარებული იქნა 7 საათის სამუშაო დღე. ამასთან ერთად სამ ცვლად მუშაობამ დიდათ შეუწყო ხელი წარმოების პროდუქციის ზრდას.

მაგრამ თავის დადებით შედეგებთან ერთად 7 საათის სამუშაო დღემ შექმნა ზოგიერთი დაბრკოლებებიც. ასე მაგალითად, უმუშევარნი, რომელნიც ჩაბმულ იქნენ წარმოებაში შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლის გამო, შედარებით ნაკლები კვალიფიკაციის მქონე აღმოჩნდენ, რაიც აფერხებს პროდუქციის გაუმჯობესებისათვის ბრძოლას.

გარდა ამისა, რადგან 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის გამო ფაბრიკა-ქარხნები მუშაობენ 21 საათს, მეტად ძნელდება შრომის დაცვის საქმე. ამის გამო შრომის სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა გადადებულ იქნას შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასულ წარმოება-ქარხნებში შრომის პირობების გასაუმჯობესებლად ორი მილიონი მანეთი.

„პრავდა" ახალ ყოფა-ცხოვრების შესახებ

მოსკოვი, 3 აპრილი. „პრავდა" თავის დღევანდელ ნომერში ეხება ახალ ყოფა-ცხოვრების განმტკიცების საკითხს. გაზეთი საჭიროდ სცნობს დეკლარატიულ განცხადებებიდან პრაქტიკულ მუშაობაზე გადასვლას. ამისათვის აუცილებელი არაა თავიდანვე დიდი და დაუძლეველი ამოცანებისათვის ხელის მოკიდება. საჭიროა საქმის მცირედიდან დაწყება. უნდა შეუდგეთ საზოგადოებრივ სასადილოების, სამრეცხაოების, ბაგების და სხვა ასეთების მოწყობა-გამართვას.

ამასთან ერთად ახალ ყოფა-ცხოვრების შექმნისათვის საკმარისი არაა საკითხის დროგამოშვებით წამოყენება და შემთხვევითი ხასიათის ღონისძიებებით ბრძოლა. ყოფა-ცხოვრების რაციონალიზაციის საქმე მოითხოვს სისტემატიურ და ენერგიულ მუშაობას.

ღონისძიებანი სავაჭრო აპარატის გაუმჯობესებისათვის

მოსკოვი, 3 აპრილი. გუშინ აქ გაიხსნა სახელმწიფო და კოოპერატიული სავაჭრო ორგანიზაციათა მუშაკების სრულიად საკავშირო თათბირი. თათბირს ესწრება აგრეთვე მთელ რიგ უცხოეთის სახელმწიფოთა სავაჭრო მუშაკების პროფკავშირთა წარმომადგენლები.

თათბირის მიზანს შეადგენს გააუმჯობესოს ჩვენი სავაჭრო აპარატი და ამ აპარატის მუშაკთა მატერიალური მდგომარეობა.

პარტმუშაობის შესახებ ნაციონალურ წითელ არმიებში

მოსკოვი, 3 აპრილი. წითელი არმიის ნაწილების პარტიულ უჯრედების სრულიად საკავშირო თათბირზე ნაციონალურ ნაწილების პარტორგანიზაციათა წარმომადგენლები, აღნიშნავენ, რომ ეროვნულ წითელ არმიებში პარტიულ მუშაობას აბრკოლებს პარტაქტივის სიმცირე.

დელეგატები მოითხოვენ, რომ ნაციონალური წ.-არმიები გაძლიერებული იქნენ პარტმუშაკების ახალი კადრებით, რომელნიც შესძლებენ ჯარში პარტგანათლ. ორგანიზაცია ხელმძღვანელობას და სამხედრო კორესპონდენტთა შორის მუშაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

მოძრაობა ამნისტიისათვის რუმინეთში

ვენა, 3 აპრილი. ბუქარესტიდან იუწყებიან, რომ საპროტესტო მოძრაობა რევოლუციონერ მუშების მასიური დაპატიმრების წინააღმდეგ ხემივრადში ძლიერდება. ბანატ-კომლოსში (ტემეშვარის ოლქის სამრეწველო ცენტრი) გამოცხადდა ერთი საათით საპროტესტო გაფიცვა მასიური დაპატიმრების წინააღმდეგ. ბანატ-კომლოსის მუშათა დელეგაციამ შინაგან საქმეთა მინისტრს გადასცა პროტესტი 20.000 ხელისმოწერის გამო მომხდარ მასიური დაპატიმრების წინააღმდეგ. საპროტესტო მოძრაობის გაფართოების გამო, ხელისუფლებამ სამხედრო ხატუსალოდან გაანთავისუფლა პროფკავშირების ხელმძღვანელები, უნიტარულ პროფკავშირების თავმჯდომარე მილერის გარდა, მაგრამ განთავისუფლებულებმა სოლიდარობის ნიშნად გადასწყვიტეს დარჩენ ხატუსალოში და განაგრძონ შიმშილობა ყველა პატიმრების განთავისუფლებამდე. (ადს).

ინგლისი ხდუმს ირაქში მომხდარ ამბების შესახებ

ლონდონი, 3 აპრილი. ამას წინად ირაქის საზღვარზე შექმნილ საშიშ მდგომარეობის შესახებ გავრცელებულ ხმებთან დაკავშირებით გაზეთ „დეილი ექსპრესს“-მა ბაგდადში გაგზავნა სპეციალური კორესპონდენტი. მაგრამ კორესპონდენტისაგან ცნობები მეტად ძუნწად მოდიოდა. კორესპონდენტის ლონდონში დაბრუნების შემდეგ გამოირკვა, რომ მთელ მის ინფორმაციას სასტიკად ცენზურავდა ინგლისის უმაღლესი კომისარი ირაქში. ტელეგრაფი კორესპონდენტისაგან არც ერთ დეპეშას არ ღებულობდა, სანამ მას უმაღლესი კომისარი არ წაიკითხავდა. ხანდახან კორესპონდენტის დეპეშებს აგვიანდებოდა 2-3 დღე. ამიტომ „დეილი ექსპრესს“-ი სასტიკად ჰკიცხავს მთავრობას იმის გამო, რომ ის ცდილობდა დაემალა საქმის ნამდვილი მდგომარეობა ირაქში. (ადს).

ინგლისის მეთევზეობის კრიზისი

ლონდონი, 3 აპრილი. დღეს თემთა პალატაში სიტყვა ჩამოვარდა უცხოეთის კონკურენციის გამო ინგლისის მეთევზეობის მძიმე მდგომარეობის შესახებ. მუშათა პარტიის დეპუტატმა ბეკსტონმა აღნიშნა, რომ მეთევზეობის კრიზისი გამოწვეულია საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის შემცირებით. სასოფლო-მეურნეობის მინისტრმა გუდმა აღიარა, რომ საბჭოთა ბაზარი ინგლისისათვის დაკარგულია და წინადადება შეიტანა ინგლისის მეთევზეობისათვის ხელისშეწყობის მიზნით დაიწყონ კამპანია პრესაში ლოზუნგით: „სჭამეთ მეტი თევზი“. (ადს).

ჩეხო-სლოვაკია საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების გარშემო

ჰელსინგფორსი, 3 აპრილი. ჩეხო-სლოვაკიის წარმომადგენელმა ჰელსინგფორსში ხოდეკმა ადგილობრივი პრესის წარმომადგენელთან საუბარში, სხვათა შორის, განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების გარშემო წარმოებულ მოლაპარაკებაში ჩეხო-სლოვაკია მოითხოვს უპირატესობის მინიჭებას, შემოსატან და გასატან კონტინგენტების სასტიკად განსაზღვრას და საკონსულო კონვენციის განხორციელებას. ხოდეკის სიტყვით, საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი ჯერ-ჯერობით არაა მომწიფებული. ჩეხო-სლოვაკიის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი ღიად რჩება ხელსაყრელ მომენტამდე. (ადს).

„ოქტომბერი“ ბერლინში

ბერლინი, 3 აპრილი. გუშინ ბერლინში პირველად აჩვენეს კინო-სურათი „ოქტომბერი“. სურათმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. (ადს).

„როიალ ოკ“-ის საქმე

ლონდონი, 3 აპრილი, რეიტერის სააგენტო გიბრალტარიდან იუწყება: „სამხედრო სასამართლომ, რომელმაც გაარჩია საქმე დისციპლინის დარღვევის შესახებ გემ „როიალ ოკ“-ზე, დამნაშავე დანიელს სასტიკი საყვედური გამოუცხადა“. (ადს).

რუმინეთი ჰბაძავს საბჭოთა ავიაქიმის სისტემას

ვენა, 3 აპრილი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, რუმინეთის სამხედრო საჰაერო ფლოტის პროპაგანდის დღედ 8 აპრილის დანიშვნასთან დაკავშირებით, ამ დღის ორგანიზატორმა დეპუტატმა ტატურესკუმ განაცხადა, რომ რუმინეთის სამხედრო საჰაერო ფლოტის საზოგადოებამ სამხედრო სარდლობას დღემდე 10 აეროპლანი უძღვნა; თვითეულმა დეპარტამენტმა ერთი აეროპლანი მაინც უნდა ააშენოს. გარდა ამისა მსხვილი ბანკები და წარმოებანიც აგებენ თავის ხარჯზე აეროპლანებს. „რუმინეთის საავიაციო პროპაგანდა, დეპუტატის სიტყვით არ წარმოადგენს რაიმე ახალს, ის მბაძავს ავიაქიმის საბჭოთა სისტემას“. (ადს).

სამხედრო წესები კანტონში

ლონდონი, 3 აპრილი. როგორც გონკონგიდან იუწყებიან, კანტონის ხელისუფლებამ „აღმოაჩინა კომუნისტური აჯანყების ახალი გეგმა“. ამასთან დაკავშირებით დააპატიმრეს 15 კაცი. როგორც ხელისუფლება ამტკიცებს, კომუნისტები გლეხებთან ერთად ამზადებდნენ თავდასხმას კანტონზე სამი მხრიდან. შემდეგ იუწყებიან, რომ კანტონის ზოგიერთი სამხედრო ნაწილების „ღალატის“ გამო, ქალაქში გამოცხადებულია სამხედრო წესები. (ადს).

კომკავშირის მუშაობა კოოპერაციაში

მოსკოვი, 3 აპრილი. ს.ა.ლ.კ.კ. ცეკამ დაამტკიცა ახალი დებულება ახალგაზრდა მუშებში კოოპერატიული მუშაობის შესახებ. ს.ა.ლ.კ.კ. კომუჯრედი კოოპერატიული მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გაწევად გამოჰყოფს კოოპერაციის ორგანიზატორს, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ადგილობრივ კოოპერატივებთან, მონაწილეობას იღებს ამ კოოპერატივის გამგეობის მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით, აწარმოებს ყოველდღიურ მუშაობას კოოპერაციაში კომკავშირელებისა და უპარტიო ახალგაზრდობის ჩასაბმელად და კოოპერაციას აყენებს მუშა ახალგაზრდობის ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად. (ადს).

შავი ბირჟა არტემოვსკში

არტემოვსკი, 3 აპრილი. სარაიონო შრომის ბირჟის გამგის მოადგილისა და ენაკიევის ლითონის ქარხნის პირადი შემადგენლობის ნაწილის გამგის ბინაზე აღმოაჩინეს ორი არალეგალური შრომის ბირჟა, რომლებიც 25 მანეთის გადახდევინების შემდეგ მრავალრიცხოვან თავის კლიენტებს ადგილებს აძლევდა ქარხნებსა და ფაბრიკებში. არალეგალური „ბირჟების“ მონაწილეები, გარდა დასახელებულ პირთა, აღმოჩნდენ აგრეთვე შრომის ბირჟის მდივანი კოტოვი, მემადაროეთა სექციის მდივანი გორბატოვი და შრომის ბირჟის რეგისტრატორები და ტექნიკური მუშაკები. ამ საქმის გამო პასუხისგებაშია მიცემული 9 კაცი, მათ შორის ენაკიევის რაიაღმასკომის თავმჯდომარე კოვალენკო და შრომის ბირჟის გამგე სიდორენკო. (ადს).

ბოროტმოქმედება

ტვერი, 3 აპრილი. საგუბერნიო მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოიკვლია საგუბერნიო სატყეო განყოფილება. გამოირკვა, რომ განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკები მტაცებლურად ხარჯავდნენ სახაზინო თანხებს და დანაშაულებრივი დაუდევრობით ეკიდებოდნენ საქმეს. განყოფილების აპარატში გაბატონებული იყო პროტექციონიზმი, რამაც გამოიწვია სამსახურში ნათესავების წრის მოწყობა. ფართოდ იყო შემოღებული ზედმეტ საათებში მუშაობა შრომის ბირჟის თანხმობის გარეშე. საგუბერნიო მუშათა და გლეხთა ინსპექციამ საგუბერნიო სატყეო განყოფილების ყველა პასუხისმგებელ მუშაკთა საქმე გადასცა პროკურორს. (ადს).

ბრძოლა წყალდიდობის წინააღმდეგ

ერევანი, 3 აპრილი. დაბლობ რაიონებში თოვლი გადნა. წყალდიდობის თავიდან ასაცილებლად სასწრაფოდ სწარმოებს მუშაობა მდინარე არაქსისა, კაზახისა და გიდარის ნაპირების გასამაგრებლად. არარატის დაბლობის მდინარეებში წლის დონე, მიუხედავათ წვიმებისა, ჯერ-ჯერობით ნორმას არ აცილებია.

გოტო ამხ. ტროიანოვსკისთან

ტოკიო, 2 აპრილი. ბარონმა გოტომ ინახულა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იაპონიაში ამხ. ტროიანოვსკი. (ადს).

პენსილვანიის მემაღაროების ბრძოლა

ნიუ-იორკი, 2 აპრილი. „დეილი უორკერს“-ის (უორკერს პარტიის ორგანო) ცნობით, კონფერენციას, რომელიც პიტსბურგში მოიწვია სამთამადნო მუშათა „პროფკავშირის დამცველ კომიტეტმა“, დაესწრო 1.100 დელეგატი. კომიტეტის დეკლარაცია ამხელს კავშირის ეხლანდელ თავმჯდომარის ლიუისის გამცემლობას და მის თანამშრომლობას მრეწველებთან. კომიტეტი მოითხოვს ლიუისის და დანარჩენ პროფბიუროკრატების გამორიცხვას კავშირიდან, კავშირის რეორგანიზაციას და თვითეულ რაიონში საგანგებო კონფერენციების მოწვევას. კომიტეტი მოითხოვს აგრეთვე ეხლანდელი გაფიცვის გაფართოებას და ანტრაციტის მაღაროების მუშების შეერთებას მასთან. კონფერენციის თავმჯდომარეთ არჩეულია მუშათა მოძრაობის აქტიური მოღვაწე უოტსი (ადს).

ლატვიის მენშევიკების ყრილობა

რიგა, 2 აპრილი. რეზოლუციაში ლატვიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ამოცანების შესახებ, რომელიც მიღებულია პარტიის ყრილობის საბოლოო სხდომაზე, ნათქვამია: „პარტია მხარს უნდა უჭერდეს ლატვიის ინდუსტრიალიზაციას, **უნდა იცავდეს ლატვია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულებას და ყოველმხრივ ცდილობდეს საბჭოთა კავშირთან სამეურნეო ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას“.** რეზოლუცია ამას გარდა აყენებს მოთხოვნილებას მეფის კანონებისა და სამხედრო-საველე სასამართლოების გაუქმების შესახებ და მოითხოვს პოლიტიკურ პატიმართა ამნისტიას. კომუნისტებთან დამოკიდებულების შესახებ რეზოლუციაში ნათქვამია: „სოციალ-დემოკრატიული პარტია იდეურად უნდა გამოეყოს კომუნიზმს და სხვა ტენდენციებს, რომლებიც არღვევს მუშათა კლასის მთლიანობას. (ადს).

გერმანელ მბეჭდავების გაფიცვა

ბერლინი, 2 აპრილი. მბეჭდავთა გაფიცვა ფართოვდება მიუხედავად იმისა, რომ სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოთ არის გამოცხადებული. გაფიცვა დაიწყო დრეზდენში, პირნაში და აღმოსავლეთ საქსონიის მთელ რიგ სხვა ქალაქებში, და აგრეთვე ლიუბეკში, ერფურტში და ეიზენახში (პრუსია). ამ ქალაქებში არც ერთი ბურჟუაზიული გაზეთი არ გამოდის. მუშათა პარტიების გაზეთები ყველა ქალაქებში ნორმალური წესით იბეჭდება (ადს).

სპარსეთში

დაშნაკების გამოსვლის წინააღმდეგ

თეირანი, 31 მარტი. გაზეთი „მეიშეტე მილი“ (გილანში გამოდის) აღშფოთებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ სომეხთა კრებაზე დაშნაკების ერთმა ლიდერმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ წარმოსთქვა სიტყვა; გაზეთი აღნიშნავს, რომ ასეთი სიტყვები მიმართულია სპარსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ, და უმატებს: „ეს ვაჟბატონები ბოროტად ნუ იყენებენ იმ სტუმართმოყვარეობას, რომლითაც ისინი სარგებლობენ სპარსეთში“. (ადს)

ინგლისელების ხრიკები

თეირანი 31 მარტი. ქერმანიდან იუწყებიან: ინგლისელები ადგილობრივ ბაზარზე გაფაციცებით აგროვებენ ცნობებს საბჭოთა საქონლის რაოდენობის შესახებ. ზოგიერთი მათგანი შევიდა საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციების ეზოებში და საწყობების სურათი გადაიღო (ადს).

სრულიად რუსეთის ცაკის სესია

მოსკოვი, 3 აპრილი. 1 აპრილს რუსეთის ცაკის სესიის დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. კურცის მოხს. გარშემო და მოსმენილ იქნა მომხსენებლის საბოლოო სიტყვა. გერმანელთა რესპუბლიკის მოხსენების შესახებ დადგენილების დასამუშავებლად არჩეულია კომისია.

შემდეგ რ. ს. ფ. ს. რ. 1927-28 წ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ მოხსენებას აკეთებს რ. ს. ფ. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარი ამხ. მილიუტინი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში რ. ს. ფ. ს. რ. ბიუჯეტი გაიზარდა 340 პროცენტით. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში თანდათანობით იზრდება საგადასახადო შემოსავალი—არა საგადასახადო შემოსავლის ხარჯზე. საშემოსავლო გადასახადი გაიზარდა 57 პროც., სასოფლო-სამეურნეო გადასახადი—22 პროც., საიჯარო გადასახადი—21 პროც.

ეხება ბიუჯეტის საგასავლო ნაწილს, ამხ. მილიუტინი აღნიშნავს ხარჯების ზრდას სახალხო მეურნეობისათვის და კულტურულ-სოციალურ საჭიროებისათვის და ადმინისტრატიულ—სამმართველო ხარჯების შემცირებას.

ამხ. მილიუტინის მოხსენების შემდეგ სესიამ მოისმინა რ. ს. ფ. ს. რ. ცაკის საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება, რომელიც გააკეთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ბახუტოვმა, ამხ. ბახუტოვმა მიუთითა, რომ საბიუჯეტო კომისიის ავრის პლენუმმა, განიხილა რა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ცალკე მუხლები, რ. ს. ფ. ს. რ. სახკომსაბჭოს მიერ მოწონებული ბიუჯეტის პროექტი გადიდა 47 მილ. მან.

სესიის 2 აპრილის დილის სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. მილიუტინის მოხსენების გარშემო.

კამათში გამოსული ორატორები მიუთითებდნენ იმ გარემოებაზე, რომ ფინსახკომი სათანადო ყურადღებას არ აქცევდა სამმართველო ხარჯების 20 პროც. შემცირების საკითხებს. ორატორები აღნიშნავდნენ აგრეთვე, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ხარჯების გადარიცხვის დროს დასახელებულ უნდა იქნეს სათანადო შემოსავლის წყაროები ამ ხარჯების დასაფარავად. აღნიშნავდნენ აგრეთვე საბინაო მშენებლობისა და ძველი შენობების რემონტისათვის საჭირო საშუალებების სიმცირეს. ზოგიერთი ამხანაგები (პოზერნი, სემაშკო) მოითხოვდნენ ასიგნობების გადიდებას კულტურულ და ყოფა-ცხოვრების საჭიროებისათვის. (ადს).

მოსკოვი, 3 აპრილი. სრულიად რუსეთის ცაკის სესიის 3 აპრილის დილის სხდომაზე დამთავრდა რ. ს. ფ. ს. რ. რესპუბლიკის ბიუჯეტის განხილვა. საბოლოო სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ბახუტოვი და მილიუტინი. ამხ. მილიუტინმა პასუხი გასცა იმ შენიშვნებზე, რომლებიც გააკეთეს ბიუჯეტის შესახებ კამათში გამოსულმა ორატორებმა და დაამთავრა თავისი სიტყვა მოწოდებით მომჭირნეობის რეჟიმის სასტიკად დაცვის შესახებ, რათა ყველა სახსრები მოხმარდეს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ საჭიროებათა დაკმაყოფილებას. რ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი სესიამ დაამტკიცა იმ ფარგლებში, როგორც ეს გამოანგარიშებული ჰქონდა საბიუჯეტო კომისიის პლენუმს.

შემდეგ სესიამ მოისმინა ამხ. კისელიოვის მოხსენება საბჭოების საოლქო და სარაიონო ყრილობებისა და აღმასრულებელ კომიტეტების დებულების პროექტის შესახებ. სესიაზე განსახილველად წარმოდგენილ ახალ დებულებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი რ. ს. ფ. ს. რ. რესპუბლიკისათვის, ვინაიდან ამ დებულების მიხედვით იწარმოებს მართვა-გამგეობა იმ ოლქებში, სადაც ითვლება რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტი. ახალი დებულება ძლიერ აფართოებს ადგილების უფლებებს, თანახმად პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების საერთო პოლიტიკისა, რომელიც მიმართულია ადგილობრივ ორგანოების დამოუკიდებლობის გაფართოებისაკენ.

3 აპრილის საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი ამხ. კისელიოვის მოხსენების გარშემო. (ადს).

საბჭოთა კავშირში

ამხ. ქარახანის სამძიმარი სმირნაში მომხდარ მიწისძვრის გამო

მოსკოვი, 3 აპრილი. გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილემ ამხ. ქარახანმა თურქეთის ელჩ ტევფიკ-ბეის სახელზე გაგზავნილ წერილში გამოსთქვა საბჭოთა მთავრობის სამძიმარი სმირნაში მომხდარ მიწისძვრის გამო. (ადს).

დახმარება შვეციის მემადაროებს

მოსკოვი, 3 აპრილი. საბჭოთა კავშირის მემადაროეთა ცეკამ გაფიცულ მემადაროეთა დასახმარებლად შვეციაში გადაგზავნა 16.000 მანეთი. სულ გაფიცვის დაწყებიდან გადაგზავნილია 186.000 მანეთი (ადს).

სათესლე მასალის განაწილება

მოსკოვი, 3 აპრილი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ ამას წინად დაამტკიცა სათესლე მარცვლეულის განაწილების გეგმა. ამ გეგმის მიხედვით, მთელი კავშირისათვის გადადებულ იქნა 224.449 ტონა სათესლე ხორბალი. გამოირკვა, რომ ეს რაოდენობა სავსებით არ აკმაყოფილებს უკრაინის და რ.ს.ფ.ს.რ. ზოგიერთი გუბერნიების მოთხოვნილებას, რის გამო შრომისა და თავდაცვის საბჭომ უკრაინისათვის გადადებული სათესლე მარცვლეულის რაოდენობა გაადიდა 9.828 ტონით. სათესლე მარცვლეულის რაოდენობა გადიდებულ იქნა აგრეთვე სამარისა, სარატოვისა და სტალინგრადის გუბერნიებისათვის. (ადს).

საკავშირო პროფსაბჭოს დირექტივა

მოსკოვი, 3 აპრილი. სეზონურ სამუშაოთა მოახლოების გამო საკავშირო პროფკავშირთა საბჭომ ყველა პროფორგანიზაციებს დაუგზავნა ინსტრუქცია, რომელშიაც მოიგონება მათ, რომ პროფკავშირთა ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა კავშირის გავლენის გაძლიერება სოფლებიდან ჩამოსულ სეზონურ მუშებში, მათი კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და მათი პოლიტიკური აღზრდა. (ადს).

წყალდიდობა

მახაჩ-კალა, 3 აპრილი. ახიკულის რაიონში მდინარე კუმა გადმოვიდა ნაპირებიდან და ემუქრება სამ სოფელს კამიშ-ბურუნს, ილიასკომლას და ოზეკაუტს, მიღებულია სასწრაფო ზომები მოსახლეობისათვის დახმარების აღმოსაჩენად. (ადს).

ყირიმის კურორტებზე

სევასტოპოლი, 3 აპრილი. აპრილის პირველი ორი დღის განმავლობაში ყირიმის კურორტებზე ჩამოვიდა 250 ავადმყოფი. სევასტოპოლში სანატორიუმები გაიხსნა. სასწრაფოდ უკეთებენ რემონტს იმ შენობას, რომელშიაც უნდა გაიხსნას კიდევ ერთი სანატორიუმი. (ადს).

ადმინისტრატიული პერსონალის დაუდევრობა

ლუგანსკი, 3 აპრილი. უკანასკნელ დროს მაღაროებში გახშირდა უბედური შემთხვევები, რომლის მსხვერპლი ხდებიან მუშები. გამოირკვა, რომ ბევრი უბედურება მოხდა, ხშირად სასიკვდილო შედეგით, ხდება მაღაროების ადმინისტრაციის და ტექნიკურ პერსონალის დაუდევრობის გამო. გამოირკვეულია აგრეთვე, რომ ასაფეთქებელი მასალები ხშირად ინახება მაღაროების კანტორებში და მაღაროების გამგეთა კაბინეტებში. პასუხისგებაში მიცემულია მთელ რიგ მაღაროების მმართველები.

350.000 სამოვარი წელიწადში

ტულა, 3 აპრილი. სამოვრების ყველა ფაბრიკები ტულაში გაერთიანებულია სახელმწიფო სპილენძის ქარხანასთან. გაერთიანება აფართოებს სამოვრების გამოშვებას,—250.000-ის მაგიერ წლიურად გამოშვებული იქნება 350.000 სამოვარი. (ადს).

ავიაქიმის საკავშირო საბჭოს პლენუმი

მოსკოვი, 3 აპრილი ამხ. რიკოვის თავმჯდომარეობით გაიხსნა საბჭოთა კავშირის ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოს გაფართოებული პლენუმი.

დღის წესრიგის მიღების შემდეგ ამხ. რიკოვმა სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა კავშირის ავიაქიმის მორიგი ამოცანების შესახებ. ამხ. ვოროშილოვმა გააკეთა მოხსენება ავიაქიმის საქმიანობის 5 წლის თავისა და მისი მიმდინარე ამოცანების შესახებ.

შემდეგ ურალის მუშების სახელით მისალმების სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ლიფკუნემ. ლისვენის მუშების სახელით პლენუმს მიუძღვნეს მინანქრისაგან გაკეთებული ლენინისა, რიკოვისა და ვოროშილოვის სურათები და საჩუქრები (მინანქრის ჭურჭელი), რომლებსაც აწერია: ამხ. რიკოვს, ვოროშილოვს, უნშლიხტს, ს. ს. კამენევს, ბარანოვს და კუიბიშევს. ურალის მუშების მისალმების საპასუხოდ გამოვიდა ამხ. რიკოვი, რომელმაც მადლობა გადაუხადა მუშებს საჩუქრისათვის და უსურვა მათ კიდევ უფრო მეტი წარმატება, როგორც სოციალისტური მშენებლობის დარგში, ისე ურალის ავიაქიმის საქმიანობაში. (ადს).

მსახიობთა საერთაშორისო კონგრესი

ჟემიეს მოწოდება საბჭოთა მსახიობებისადმი

მოსკოვი, 3 აპრილი. ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცეკასა და მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცეკას პრეზიდიუმის გაერთიანებულ სხდომაზე მოსკოვის მსახიობების თანდასწრებით საბჭოთა და საფრანგეთის თეატრის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა საერთაშორისო თეატრალური კავშირის თავმჯდომარემ—პარიზის თეატრ „ოდეონ“-ის დირექტორმა ჟემიემ. მან დამსწრეთ აცნობა, რომ ივნისში პარიზში იმართება არტისტების საერთაშორისო კონგრესი და დღესასწაული და საბჭოთა არტისტებს მოუწოდა მონაწილეობა მიიღონ კონგრესზე.

შეეხო რა იმ შთაბეჭდილებას, რომელიც მასზე საბჭოთა კავშირმა მოახდინა, ჟემიემ სთქვა:

„მე არ ვარ პოლიტიკოსი და არც კომუნისტი, მაგრამ აქ, სადაც ყველგან გამოსჭვივის ღრმა რწმენა ახალი ცხოვრებისადმი, სადაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გადაშლილია ამ ახალი ცხოვრების სურათი,—აქ მოწინააღმდეგეებმაც კი აუცილებლად უნდა დაგეთანხმონ თქვენ“.

საპასუხო სიტყვაში ამხ. ლუნაჩარსკიმ გამოსთქვა იმედი, რომ საბჭოთა მსახიობები ფართოდ გამოეხმაურებიან ჟემიეს მოწოდებას.

კაპიტალური ხარჯები საკავშირო მრეწველობაში

მოსკოვი, 3 აპრილი. საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭომ ყველა მთავარ სამმართველოებს წინადადება მისცა სამი დღის განმავლობაში განაწილონ მრეწველობის ცალკე დარგებსა და რესპუბლიკებში საკავშირო სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებული კაპიტალური ხარჯების საერთო რაოდენობა 1.248.465.000 მან. რაოდენობით, იმ პირობით, რომ კაპიტალური მშენებლობის საერთო ღირებულება მიმდინარე წელში გაადიდეს 23 მილიონი მანეთით.

1.000 საბჭოთა ავტომობილი

მოსკოვი, 3 აპრილი. ამ დღეებში ქარხანა „ამო“-მ გამოუშვა მეათასე ნახევრად საბარგო ავტომობილი. ქარხნის მუშებმა გადასწყვიტეს მიუძღვნან ეს ავტომობილი მოსკოვის საბჭოს. მოსკოვის საბჭოს შენობასთან—ახალი მანქანით, რომელიც მორთული იყო ლოზუნგებით და წარწერებით,—მივიდა ქარხანა „ამო“-ს მუშათა დელეგაცია და მანქანა გადასცა მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ვოლკოვს. (ადს).

აქციზის მოხსნა ღვინოზე

მოსკოვი, 3 აპრილი. საკავშირო სახკომსაბჭომ დაადგინა 1 ივლისიდან გააუქმოს აქციზი ყურძნისა, ხილისა და ქიშმიშის ღვინოებზე და შემოიღოს აქციზი ხილისა და ყურძნის სპირტზე 1 მან. 87 კაპ. რაოდენობით 1 ლიტრ უწყლო სპირტზე. სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად სცნო აგრეთვე გააუქმოს 1 ივლისიდან განსაკუთრებული პატენტი ყურძნისა, ხილისა და ქიშმიშის ღვინოების დამზადებასა და ვაჭრობაზე. ორივე გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინა საკავშირო ცაკის პრეზიდიუმს. (ადს).

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი

სესხის რეალიზაცია 25 მარტამდე

მოსკოვი, 3 მარტი. არა სრული ცნობების თანახმად, 25 მარტისთვის გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი მთელ საბჭოთა კავშირში განაღდებულ იქნა 98.700.000 მან. რაოდენობით. (ადს).

ამხ. ბრიუხანოვი სესხის შესახებ

მოსკოვი, 3 მარტი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში, ამხ. ბრიუხანოვმა განაცხადა, რომ არსებულ ცნობების თანახმად, 20 მარტისათვის გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხი განაღდებული იყო 100 მილ. მანეთის რაოდენობით. რეალიზაციის ასეთი ციფრი 2 თვის განმავლობაში მეტად მნიშვნელოვანად უნდა ჩაითვალოს.

მთავრობის დირექტივების თანახმად სესხის რეალიზაცია უნდა ჩატარებულიყო ნებაყოფლობითი წესით, ფართე საზოგადოებრივ განმარტებითი კამპანიის საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ ნებაყოფლობის პრინციპი სესხის განაღდების დროს ზოგიერთ ადგილებში დარღვეულ იქნა. იყო შემთხვევები, როცა ადმინისტრატიულ ორგანოებს გამოჰქონდათ დადგენილებანი, რომლებიც ვალდებულათ ხდიდა ცალკე გლეხებს ეყიდათ განსაზღვრული რაოდენობის ობლიგაციები, იყო შემთხვევები, როცა გლეხებს ანგარიშს უსწორებდნენ ობლიგაციებით, უარს ეუბნებოდნენ მოწმობების და დოკუმენტების მიცემაზე იმ პირებს, რომელთაც არ შეუძენიათ სესხი და სხვ.

„სესხის გავრცელების დროს, განაცხადა ამხ. ბრიუხანოვმა,—დაუშვებელია ადმინისტრატიულ ძალდატანების ზომები და ყოველგვარი ძალდატანება საწინააღმდეგო შედეგებს იძლევა. გლეხობაში იქმნება ობლიგაციებისადმი მტრული განწყობილება, რომელიც მხოლოდ ხელს შეუშლის სახელმწიფო კრედიტის წარმატებას სოფლად“. (ადს).

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

აზერბეიჯანის ელექტროფიკაცია

ბაქო, 2 აპრილი. ნუხის ჰიდრო სადგურის აგება მთავრდება. ამჟამად სადგურზე სწარმოებს ელექტრომოწყობილობის მონტაჟი. სადგურის საზეიმო გახსნა მოხდება 28 აპრილს, აზერბეიჯანის გასაბჭოების დღეს. სადგურის სიმძლავრე უდრის 900 ცხენის ძალას. მისი აგება დაჯდა 420.000 მანეთი. ხარჯები არ გადაცილებია პირვანდელ ხარჯთ-აღრიცხვას, რაც საკმაოდ იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს ჩვენს აღმშენებლობაში.

მუშაობა ზურნაბადის 3.900 ძალიანი ჰიდროელსადგურის აგებისად (განჯის მაზრა), დამთავრდება მაისში—ივნისში. სადგურის შენობა თითქმის დამთავრებულია.

ამჟამად ს.მ.უ. საბჭოს ელექტროგანყოფილება შეუდგა გამოკვლევებს სამი მცირე სასოფლო ჰიდროსადგურის აგებისათვის ზაქათალაში, ყუბაში და სტეფანაკერტში. ამ სადგურების სიმძლავრე უდრის 200-დან 400-მდე ცხენის ძალას. მათი აგება დამთავრდება 1929 წლისათვის. (ადს)

ტრაქტორები იგვიანებენ

ნახიჩევანი, 2 აპრილი. „ზაკსელმაშის“ საშუალებით გამოწერილ ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიღება აგვიანდება. (ადს).

პედაგოგიური ტეხნიკუმი

განჯა, 2 აპრილი. სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა ააგოს სპეციალური შენობა პედაგოგიური ტეხნიკუმისათვის. ტეხნიკუმი განზრახულია 600 მოსწავლისათვის და პანსიონის 400 მოწაფისათვის. ტეხნიკუმს შენობას დათმობილი აქვს 10 დეს. მიწა ზეთსახდელ და საპნის ქარხნის გვერდით. შენობის ხარჯთ-აღრიცხვა შედგენილია 500.000 მან. რაოდენობით, აქედან 100.000 მან. გაიღებს სამაზრო აღმასკომი და 100.000 მან. განათლების სახ. კომისარიატი. (ადს).

მუშათა ექსკურსიები

ბაქო, 2 აპრილი. აზერბეიჯანის პროფსაბჭოს კულტგანყოფილება ფიქრობს მოაწყოს ამ ზაფხულზე მთელი რიგი მუშათა ექსკურსიები საბჭოთა კავშირში. სულ განზრახულია 30 მარშრუტი. განზრახულია ექსკურსიის გაგზავნა შუა აზიაში. გასულ წლის ზაფხულის სეზონში. აზერბეიჯანის პროფკავშირების მიერ მოწყობილ ექსკურსიებში მონაწილეობა მიიღო პროფკავშირების 1000-ზე მეტმა წევრმა. (ადს).

ნავთის შადრევანი

ბაქო, 3 აპრილი. 1 აპრილს ბიბიეიბათის მეხუთე სარეწაოში ამოხეთქა გაზის ძლიერმა შადრევანმა, რომელიც თანდათან ძლიერდება. შადრევანი ისეთი სიძლიერის იყო, რომ 18 საათის განმავლობაში შეუძლებელი გახდა მისი დახურვა და შადრევანის ხმაური ქალაქის განაპირა უბნებში ისმოდა. შადრევანი უკვე მეორე დღეა დახურულია და ამ ხნის განმავლობაში მოგვცა 200.000 კუბიკური მეტრი გაზი, რაც მთელი ბიბიეიბათის რაიონში ერთი დღის განმავლობაში ამოღებულ გაზის რაოდენობას უდრის. მე-14 ჰორიზონტი, რომლიდანაც ამოდის შადრევანი ითვლება განსაკუთრებით მდიდარ ჰორიზონტად და 1926—27 წ. ბიბიეიბათის რაიონში აქედან ოცამდე შადრევანმა ამოხეთქა. ფიქრობენ, რომ გაზის შადრევანი გადაიქცევა ნავთის ძლიერ შადრევანად. (ადს).

ხანძარი

განჯა, 3 აპრილი. 2 აპრილს ღამის 2 საათზე გერმანელთა კოლონია ელენენდორფში კოოპერატივ „კონკორდიას“ სპირტის საწყობში გაჩნდა ხანძარი. განჯის მეხანძრეთა რაზმმა ხანძარი დილამდე ჩააქრო. ხანძრის მიზეზისა და ზარალის გამორკვევა სწარმოებს.

სომხეთი

ბრძოლა ყოფა-ცხოვრების ნიადაგზე წარმოშობილ ბოროტმოქმედების წინააღმდეგ

მარტუნაკანი, 2 აპრილი. ყოფა-ცხოვრების ნიადაგზე წარმოშობილ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით გამოსულ ახალ კანონის პოპულარიზაციისათვის სამაზრო აღმასკომმა ადგილებს დაუგზავნა სისხლის სამართლის კოდექსიდან ამონაწერი ყოფა-ცხოვრების ნიადაგზე წარმოშობილ ბოროტმოქმედებების შესახებ. სოფლის საბჭოებს წინადადება მიეცა გააკეთონ მოხსენებები გლეხების საერთო კრებაზე ამ კანონის შესახებ.

გაზაფხულის თესვის კამპანია

ერევანი, 2 აპრილი. ხანკაშატიდან (კეშიშკენდი) იუწყებიან, რომ თესვის კამპანიის ჩამტარებელმა საგანგებო კომისიამ გადასწყვიტა გაზაფხულის ნათესების სივრცე მაზრაში გაადიდოს 7.400 ჰექტარამდე და ბამბის ნათესების სივრცე 170 ჰექტარამდე. შარშან გაზაფხულის ნათესების სივრცე უდრიდა 4.800 ჰექტ., ბამბის—40 ჰექტ. დარალაგეზის მაზრის სხვადასხვა ნაწილებში მოწყობილია მუშა საქონლისათვის თივის მისაწოდებელი პუნქტები. (ადს).

სომხეთის კინო-მრეწველობის მუშაობა

ერევანი, 2 აპრილი. მიმდინარე საოპერაციო წლის განმავლობაში სომხეთის კინო-მრეწველობას განზრახული აქვს 5—6 მხატვრული სურათის გადაღება და ატელიეს დამთავრება. ამჟამად სწარმოებს სურათ „ქვეს-დაკეთ“-ის გადაღება (რეჟისორი ბარხუდაროვი), რომელიც გვიხატავს წითელი სომხეთის ცხოვრებას. ორი სურათის გადასაღებად მოწვეულია რეჟ. ბეკ-ნაზაროვი. სწარმოებს მოლაპარაკება მოსკოვის ორ რეჟისორთან.

პარტიული ცხოვრება

კომპარტიის (ბ) ც. საკონტრ. კომისიის 2-ე პლენუმი

მოსკოვი, 3 აპრილი. 2 აპრილს გაიხსნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიის მეორე პლენუმი. დღის წესრიგშია: მოხსენება საადმინისტრაციო-სამმართველო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ, მასების ჩაბმა მუშგლეხთა ინსპექციის მუშაობაში ბიუროკრატიზმთან საბრძოლველად; მოხსენება ჩრდილო-კავკასიის საოლქო საკონტრ. კომისიის მუშაობის შესახებ და ინფორმაცია ოპოზიციის შესახებ. პლენუმმა მოისმინა ამხ. პეტერსისა და ზანგვილის მოხსენებანი ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შესახებ. მოხსენებათა გარშემო გაიმართა კამათი (ადს).

მოსკოვი, 3 აპრილი. საკავშირო კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმზე ადმინისტრატიულ - სამმართველო ხარჯების შემცირების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. პეტერსმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ს. ს. რ. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალების მიხედვით კამპანია მთელ საბჭოთა კავშირში, მიუხედავად ზოგიერთი გადამახინჯებისა, საერთოდ დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. 1927 — 28 წლის ბიუჯეტებში, ხარჯების შემცირება დაახლოვებით შეადგენს 340 მილ. მან. ლითონის მრეწველობაში ხარჯები შემცირებულია 25 პროც., ქიმიურ მრეწველობაში—21 პროც., ქვანახშირის — 20 პროც., ნავთის — 19 პროც., სამთამადნო — 19 პროც., ელექტროსის — 18 პროც., ქაღალდის — 25 პროც., და საფეიქრო მრეწველობაში — 24 პროცენ.

სულ საკავშირო მრეწველობაში ხარჯთაღრიცხვების მიხედვით, შემცირება განზრახულია 22 პროც. ანუ 77 მილ. მან. რესპუბლიკანურ ბიუჯეტებშიაც, აგრეთვე ხარჯები შემცირებულია ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებლად. მაგრამ ბიუჯეტების შესრულების დარგში საქმე ცუდადაა. მარტში მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შეამოწმა ფაქტიური ხარჯები. შემოწმებულ იქნა ტრესტების 33 გამგეობისა და 69 ქარხნის ხარჯები. გამოირკვა, რომ ტრესტების 33 გამგეობაში ხარჯების ფაქტიური შემცირება დაახლოვებით უდრის 12 პროც., ქარხნებში კი — მხოლოდ 8 პროცენტს., ამავე დროს გათვალისწინებული იყო ხარჯების 21 პროც. შემცირება. საერთოდ ხარჯების შემცირების საქმე უკეთაა ტრესტების გამგეობებში. გაცილებით უფრო უარესად მიმდინარეობს შემცირება ქარხნებში. ამხ. პეტერსი აღნიშნავს, რომ ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შემცირება უკეთ ტარდება, ვიდრე მომჭირნეობის რეჟიმის კამპანია. შემდეგში ხარჯების შემცირების საქმეში უფრო ფართოდ უნდა მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, საბჭოების სექციებმა, საწარმოთა თათბირებმა და ეკონომკომისიებმა.

ამხ. პეტერსს განსაკუთრებით აუცილებლად მიაჩნია საზოგადოებრივ ორგანიზაციების მონაწილეობა ბიუჯეტებით გათვალისწინებულ ხარჯების შემცირების პრაქტიკულად განხორციელებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში განზრახული მომჭირნეობა შეიძლება არ აღმოჩნდეს რეალური.

ამხ. პეტერსის შემდეგ სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებისა და საკრედიტო დაწესებულებების ხაზით ხარჯების შემცირების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ზანგვილი. ამხ. ზანგვილი აღნიშნავს, რომ ხარჯების შემცირება მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტში შეადგენს 95.900.000 მან., ადგილობრივ ბიუჯეტში და 6 მოკავშირე რესპუბლიკაში არა სრული ცნობებით—41 მილ. მან. უპასუხებს რა შეკითხვაზე, თუ როგორ იქნა გამოყენებული მომჭირნეობით დაზოგვილი თანხა, —ამხ. ზანგვილი აღნიშნავს, რომ საშუალებები უმთავრესად მოხმარდა ასიგნობების გადიდებას სოციალურ-კულტურულ საჭიროებისათვის, კაპიტალურ მშენებლობას და ხელფასს. მომჭირნეობით მიღებულმა თანხებმა შესაძლებლობა მოგვცა უფრო უკეთ გაგვენაწილებია ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტების მიხედვით. ხარჯების შემცირება სასარგებლო გახდა აგრეთვე იმ მხრით, რომ მან ხელი შეუწყო მთელი რიგი წარმოება-დაწესებულებათა რაციონალიზაციას.

ორივე მოხსენების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდნენ უკრაინისა, ამიერ-კავკასიისა და უზბეკისტანის წარმომადგენლები, ამხ. ორჯონიკიძე, ლეპავა და სხ.

შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდნენ ამხ. პეტერსი და ზანგვილი. რეზოლუციის შესამუშავებლად პლენუმმა აირჩია კომისია. (ადს).

ვემზადოთ ღარიბთა ჯგუფების კონფერენციებისათვის

კომპარტიის ყველა ცეკას, საოლქო კომიტეტებს და სამაზრო კომიტეტებს

სოფლად მუშაობის შესახებ საკავშირო კომპარტიის მე-15 ყრილობის დადგენილებათა წარმატებით განსახორციელებლად, პარტია უნდა ცდილობდეს, პირველ ყოვლისა, ღარიბი გლეხობის მაქსიმალურად შეკავშირებას, რომ მასზე დაყრდნობით შეიძლებოდეს პარტიის პოლიტიკის განხორციელება სოფლად.

უმთავრესი პრაქტიკული ამოცანა, რომელიც ამჟამად პარტიის მუშაობის ამოცანას შეადგენს სოფლად,—ეს არის თესვის კამპანია. ამ კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად, აგრეთვე ღარიბთა ჯგუფების მუშაობის გამოცდილების შესაჯამებლად, ჩამოსაყალიბებლად, მათი მუშაობის გასაძლიერებლად და იმ მიზნით, რომ ერთმანეთთან დაკავშირებულ იქნას ცალკე ორგანიზაციების ღონისძიებანი ღარიბი გლეხობისათვის დახმარების აღმოჩენისა, სასოფლო მეურნ. კოლექტივიზაციისა და სხვა საკითხების გარშემო,—საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტი წინადადებას იძლევა, რომ ჩატარებულ იქნას ღარიბთა ჯგუფების სამაზრო კონფერენციები, რომლებმაც ყოვლემხრივ უნდა განიხილონ არა მარტო თესვის კამპანიისათვის საჭირო ღონისძიებანი, არამედ დღის წესრიგში უნდა შეიტანონ აგრეთვე, მაგალითად, ასეთი საკითხები: ა) პარტიის მორიგი ამოცანები სოფლად მუშაობის საქმეში, ბ) სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია და ღარიბი გლეხობის როლი, გ) სასოფლო მეურნეობის განმტკიცების სესხის რეალიზაცია.

დასახელებული კონფერენციების ჩატარების დროს პარტკომებმა უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი მითითებით: ა) მათ უნდა გაითვალისწინონ ამ კონფერენციების უაღრესად პოლიტიკური მნიშვნელობა და მათი ჩატარებისათვის საჭირო მუშაობა განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა შეასრულონ, ბ) კონფერენციებზე საკითხების განხილვას უნდა ჰქონდეს უაღრესად პრაქტიკული ხასიათი და უნდა მჭიდროდ დაუკავშირდეს ადგილობრივ პირობებსა და ამოცანებს, გ) პარტკომებმა ზომები უნდა მიიღონ, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოფილ იქნას პარტიული ხელმძღვანელობა მთელი მუშაობის მიმართ, აგრეთვე, რომ განხორციელდეს კონფერენციების ყველა დადგენილება, დ) სამაზრო კონფერენციების მოწვევამდე საჭიროა მოიწყოს ღარიბთა ჯგუფების სარაიონო, საუბნო და სასოფლო თათბირები, რათა შეძლებისამებრ უკეთესად გამოირკვეს ღარიბთა ჯგუფების მუშაობის ნაკლოვანებანი, ე) კონფერენციებისა და ღარიბთა ჯგუფების თათბირების ჩატარების დროს პარტიულმა კომიტეტებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ იმ მუშაობის ნაკლოვანებათა გამორკვევას, რომელიც წარმოებს ღარიბთა და მათი უპარტიო აქტივის კადრებს შორის, ვ) პარტკომებმა უნდა უზრუნველყონ მოჯამაგირეებისა და ქალების მონაწილეობა ღარიბთა ჯგუფებისა და კონფერენციების მუშაობაში, ზ) კონფერენციაზე წარმომადგენლობის ნორმას აწესებენ სამაზრო კომიტეტები და საოლქო კომიტეტები, ამასთანავე, საჭიროა თავიდან აცილებულ იქნას კონფერენციების შემადგენლობის მრავალრიცხოვანობა.

სამაზრო კონფერენციები უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს აპრილის თვის დამლევისა და მთელი შეჯამებული მასალა გადაეგზავნოს საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტს.

რადგან განსაკუთრებული [illegible] აქვთ ამ კონფერენციებს, რომლებიც ჩატარებულ უნდა იქნან იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს და ჯამი გაუკეთდეს ღარიბთა ჯგუფების მუშაობას, გამოირკვეს მუშაობის ნაკლი ღარიბთა შორის და განვითარდეს პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა მათში, ამიტომ ცენტრალურმა და ადგილობრივმა კომიტეტებმა ზომები უნდა მიიღონ ამ კონფერენციების ნაყოფიერად ჩატარებისათვის.

საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი—მ. ორახელაშვილი.

სოფლად მუშაობის განყოფილების გამგე—ზოზირაძე.

საინსტრუქტორო აპარატის მუშაობა

(წერილი ზუგდიდის მაზრიდან)

ამხ. ა. გ—ა გაზეთ „კომუნისტი“-ს ა. წ. სამოცდა ცხრამეტ ნომერში საინსტრუქტორო აპარატის მუშაობის შესახებ გვეუბნება შემდეგს:

„რომ უკანასკნელ დრომდე ინსტრუქტორების მუშაობა მდგომარეობს მხოლოდ ამა თუ იმ ქვედა საფეხურის ორგანიზაციის გამოკვლევაში, მაშინ, როდესაც ინსტრუქტორის ძირითად ამოცანას წარმოადგენს პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა ქვედა საფეხურის ორგანიზაციისათვის, მის მიერ წარმოებული მუშაობაში, ამის მიზეზი უმთავრესად მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენს პარტკომებს ჰყავთ მხოლოდ ორი-სამი ჯამაგირიანი ინსტრუქტორი და, რა თქმა უნდა, ასეთი უმნიშვნელო საინსტრუქტორო აპარატის საშუალებით არ შეუძლიათ დაეხმარონ უჯრედებს ცოცხალი მითითებებით მათ პრაქტიკულ მუშაობაში“.

მერე გვიწერს „რადიკალურ“ რეცეპტს: „ის ორი-სამი კაცი რაკი ცოტაა, ისიც გააუქმეთ, როგორც ფასიანი, მხოლოდ შექმენით ინსტრუქტორების ჯარი უფასოებისაგანო“. მე არ შემიძლია ვიფიქრო, რომ არსებობდეს ისეთი პარტკომი, რომელსაც არ ჰქონდეს კვარტალური სამუშაო გეგმა. აი ამ გეგმაში ჩვენ შეგვაქვს ჩვენი 2—3 ინსტრუქტორის მუშაობაც, რომელიც მთავარია ამ შემთხვევაში. ფასიანი ინსტრუქტორების მოხსნის შემდეგ, როგორ უნდა შეიტანონ თავიანთი სამუშაო გეგმაში პარტკომებმა ის მუშაობა, რომელიც ეხება ინსტრუქტორების გამოკვლევებს ძირითად ორგანიზაციებში? ამაზე მიპასუხებენ ალბად: იმ უფასო უამრავი ინსტრუქტორების საშუალებით, რომლებიც უნდა იყოლიოთო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ვისგან უნდა შესდგებოდეს ახალი ინსტრუქტორი? ჩემის აზრით არა უმუშევრებისაგან, არამედ პასუხისმგებელ პარტმუშაკებისაგან, რომლებიც ერთ და იმავე დროს არიან საბჭოთა და პროფესიონალურ დარგში მუშაობის ხელმძღვანელებიც. შესძლებენ თუ არა ისინი ამ მუშაობის შეთავსებას თავიანთ ძირითად სამუშაოსთან? რომელი საქმე უფრო ადრე შეასრულონ მათ, პარტკომის თუ თავიანთი თანამდებობრივი. მაზრაში თითქმის არა გვაქვს ისეთი დაწესებულება, რომელიც „მარტო“ მაზრის იყოს. მათ სათანადო ნარკომატები და ცენტრალური დაწესებულებები განაგებენ, რომლებიც მოითხოვენ სამუშაო გეგმის თავის დროზე შესრულებას. ასეთი ინსტრუქტაჟის შემოღებით ჩვენ ერთ საქმეს გავაკეთებთ და ისიც ნახევრად, ხოლო მეორეს გავაფუჭებთ.

თუ არ ვცდები, 1925 წლის მეორე ნახევარში, პირველად ზუგდიდის მაზრამ შემოიღო პ.-მ. ამხანაგების მიმაგრების პრაქტიკა ძირითად ორგანიზაციებზე. ცეკა სხვებსაც მიუთითებდა მაგალითზე 1926 წელს, ვინაიდან ამის შემოღებამ კარგი შედეგი მოგვცა, რაც აღნიშნული იყო 26 წლის ზუგდიდის მაზრის ორგანიზაციის გამოკვლევის დროს ცეკას მიერ. მაგრამ სულ სხვაა მიმაგრებული ამხანაგები თემებზე და სულ სხვაა პარტკომის ინსტრუქტაჟი.

2—3 ინსტრუქტორი ჩვენ ისე არ წარმოგვიდგენია, როგორც ეს აქვს წარმოდგენილი ამხ. ა. გ—ას. თითქოს პარტკომების ინსტრუქტორები არაფერს აკეთებდნენ გარდა იმისა, რომ ნახონ „ქაღალდები“, „მასალები“ და ამით გაათავონ საქმე. ჩვენი წარმოდგენით ინსტრუქტორი მიდის თემში, ზის იქ 2—3 დღე, იკვლევს და ისწავლის თემის ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას, რასაკვირველია, „ქაღალდებსაც“ და „საბუთებსაც“ გადაათვალიერებს, ყველაფერი ეს მუშავდება და შემდეგ იძლევა მითითებებს, მერე კი სისტემატიურად თვალყურს ადევნებს იმას, თუ როგორ ატარებენ ცხოვრებაში ადგილებზე, გამოკვლევის შემდეგ მიცემულ მითითებებს ძირითადი ორგანიზაციები.

ფასიანი ინსტრუქტორების საშუალებით ძლივს ვახერხებთ ამა თუ იმ ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებას, ეს იმიტომ, რომ ძირითადი ჩვენი ორგანიზაციები სამწუხაროდ ჯერ კიდევ სუსტი საერთო განვითარებით, ამიტომაც, რომ ინსტრუქტორების სიმცირის გამო ძირითად ორგანიზაციების გამოკვლევა-შესწავლაში ვიხმარებთ პ.-მ. ამხანაგებს (კვირა დღეებით, როდესაც დაწესებულებები არ მუშაობენ). აქ ძალიან ფრთხილად უნდა მივუდგეთ საკითხს. პარტკომის ინსტრუქტორებს დიდი მოვალეობები აწევთ, მათი მუშაობა უაღრესად საპასუხისმგებლოა და ამის შემდეგ თქმა იმისა, რომ ეს სამუშაო გაცხადოთ სხვათა შორის სამუშაოთ, დაუშვებელი შეცდომა იქნებოდა. ვიმეორებ განსაკუთრებით იმ რაიონების და მაზრების მიმართ, რომელნიც კულტურულად ძალიან ჩამორჩენილნი არიან. ასეთები ჯერ-ჯერობით ბლომათ მოგვეპოვება საქართველოში. პარტკომების ფასიანი ინსტრუქტორების მოხსნა შეიძლებოდა იქ, სადაც ძირითადი მასა მომზადებულია, როგორიცაა დიდი სამრეწველო ქალაქების რაიკომები, მაგალითად: ბაქო, მოსკოვი, ლენინგრადი და სხვა. მაგრამ ეს არ ითქმის ჯერ-ჯერობით ჩვენი მაზრა-ქალაქების მიმართ.

ი. ქვანია.

კომკავშირში

აზერბეიჯანის კომკავშირის ყრილობა

ბაქო, 3 აპრილი. აზერბეიჯანის კომკავშირის მე-7 ყრილობის 2 აპრილის დილის და საღამოს სხდომაზე სწარმოებდა კამათი ამხ. ახუნდ-ზადეს მოხსენების ირგვლივ. კამათში მონაწილეობა მიიღო 50 კაცმა. დელეგატები აღნიშნავდნენ, რომ აუცილებელია: კომკავშირის მონაწილეობის გაძლიერება კოოპერაციის მუშაობაში, მუშგლეხკორთა მოძრაობაში, საშეფო მუშაობაში, გასამხედროებაში და ახალგაზრდა ქალების ჩაბმა კომკავშირის მუშაობაში. სალიანის მაზრის დელეგატმა აღნიშნა, რომ მაზრაში მოწყობილია კომკავშირელთა რამოდენიმე არტელი, მაგრამ ამ არტელების მუშაობა ძალიან სუსტად მიმდინარეობს. სალიანის მაზრაში არ არის საკმაო ლიტერატურა, კომკავშირის ორგანიზაციას არ აქვს კლუბი, ქოხ-სამკითხველო.

დელეგატი ქალი აბკერიანი აღნიშნავს, რომ მუშაობა ქალიშვილებს შორის მოიკოჭლებს—მათი მოუმზადებლობის გამო. (ადს).

საგაზაფხულო თესვის კამპანია

94.000 მანეთი სას.-სამ. მანქანების შესაკეთებელ სახელოსნოების მოსაწყობად

საქონლის საკვებისა და სათესლე მასალის განაწილება

თესვის კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიაში

სათესლე სიმინდის დამზადება

გაზაფხულის თესვის ჩამტარებელმა რესპუბლიკანურმა კომისიამ „სოფლის კავშირს“ დაავალა აპრილის დამლევამდე ადგილობრივ დაამზადოს 40.000 ფუთი სათესი სიმინდი.

ცნობების მიწოდება

კომისიის დადგენილებით მაზრის აღმასკომებმა ყოველკვირეულად უნდა გადმოგზავნონ ცნობები თესვის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ.

საქონლის საკვები

წინადადება მიეცა ცეკავშირს ჩრდილოეთ კავკასიაში საქართველოს საჭიროებისათვის შეიძინოს 25 ათასი ფუთი ჩალა, დონის ოლქში 100 ათასი ფუთი თივა და ვორონეჟში ამდენივე. ცეკავშირს წინადადება მიეცა აგრეთვე საქონლის საკვების მოსამარაგებლად საქართველოს რაიონების უზრუნველსაყოფად საქონლის საკვებით სასოფლო-სამეურნეო ბანკიდან გამოითხოვოს საჭირო თანხები.

სათესლე მასალა კოლ-მეურნეობებს

თესვის კამპანიის ჩამტარებელმა რესპუბლიკანურმა კომისიამ წინადადება მისცა საკრედიტო ამხანაგობებს და ადგილებზე თესვის კამპანიის ჩამტარებელ სამეულებს სათესლე მასალა პირველ რიგში მიაწოდონ კოლექტიურ მეურნეობებს.

სასოფლო-სამეურნეო მანქანები

წინადადება მიეცა „სოფლის კავშირს“ წარმოადგინოს მაზრებს შორის განაწილებულ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების სია და აგრეთვე ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი მანქანა-იარაღი იქნება მიღებული უახლოეს ხანში.

კრედიტი თამბაქოს დასათესად

თესვის კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ კომისიის დადგენილებით, წელს საქართველოში თამბაქო დაითესება 2130 ჰექტარის სივრცეზე. თითო ჰექტარზე სესხის სახით გაცემული იქნება 180 მანეთი. აფხაზეთში დაითესება 1311 ჰექტარი, თვითეულ ჰექტარზე გაცემული იქნება—270 მანეთი. ამას გარდა დათესილი იქნება 4370 ჰექტარი, სესხის მიუცემლად.

მელიორაცია

კომისიამ დაადგინა დაარსებული იქნეს კომისია სოფლის კავშირის, წყალთა-სამმართველოს და სასოფლო-სამეურნეო ბანკის წარმომადგენლების შემადგენლობით მელიორატიულ კრედიტების გასანაწილებლად სამელიორაციო ამხანაგობებს შორის. კომისიას დაევალა თუ საჭირო იქნება დამატებით გამოითხოვოს კრედიტები.

20 ათასი ფუთი ქერი

კომისია შეუდგა მაზრებს შორის 20 ათასი სათესი ქერის განაწილებას.

თათბირი თესვის კამპანიის საკითხებზე

გუშინ, ამიერ-კავკასიაში თესვის კამპანიის რწმუნებულ ამხ. ზაგიროვის თავმჯდომარეობით შესდგა გაფართოებული თათბირი საგაზაფხულო თესვის კამპანიის საკითხებზე. თათბირს დაესწრნენ ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის, „ზაკოთუზის“, „ტექსტილტორგის“, სახალხო მამულთა ტრესტის, მიწადმოქმედების ახ. კომისარიატის და სხვა დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლები.

თათბირმა განიხილა რესპუბლიკების მოთხოვნილებანი საქონლის საკვებზე. გაკეთებულ საინფორმაციო მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კავკასიის წითელდროშოვანმა არმიამ ა.-კ. რესპუბლიკების დაზარალებულ რაიონებისათვის გამოჰყო 60.000 ფუთი თივა, რომლიდანაც ნახევარი, ანუ 30.000 ფუთი გაცემულ უნდა იქნეს პირველ რიგში, ხოლო თვით ხვნა-თესვის ჩატარების დროს გაცემული იქნება მთელი რაოდენობის მეორე ნახევარი (30.000 ფ.). ჯერ-ჯერობით გადადებული თივის რაოდენობიდან წაღებულია 15.000 ფუთი სომხეთის რაიონებისათვის, ხოლო დანარჩენ რაოდენობაზე მოთხოვნილება არაა მიღებული.

თათბირმა დაადგინა წინადადება მისცეს რესპუბლიკებს დაუყოვნებლივ წარმოადგინონ მოთხოვნილებები თივის დანარჩენი რაოდენობის მისაღებათ.

შემდეგ თათბირზე მოსმენილ იქნა საქართველოში თესვის კამპანიის ჩამტარებელ კომისიის წარმომადგენლის ამხ. კიზირიას განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველოს დაზარალებულ რაიონებისათვის ახლო ხანში მიღებულ იქნება 22.000 ფუთი თივა. სომხეთმა აღძრა შუამდგომლობა, რომ საკვების ამ რაოდენობიდან მას დაეთმოს ნაწილი, ვინაიდან სომხეთში საქონლის საკვების დიდ ნაკლებობას აქვს ადგილი. საქართველოში თესვის კამპანიის ჩამტარებელმა კომისიამ შესაძლებლად სცნო სომხეთს დაეთმოს შეკვეთილი კოპტონის (ქუსპი) მთელი რაოდენობა. სომხეთის თესვის კამპანიის რწმუნებული ამაზე დასთანხმდა და საქართველოსათვის ქალ. პეტროვსკში შეკვეთილ 8000 ფუთ კოპტონს გამოისყიდის „არმენტორგი“.

დასასრულ თათბირზე განხილულ იქნა მებამბეობის რაიონებში თესვის კამპანიის ჩატარების პერსპექტივებთან დაკავშირებული საკითხები. თათბირზე გაკეთებული მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მებამბეობის რაიონები სისტემატიურად და საკმაო რაოდენობით ვერ ღებულობენ მანუფაქტურას, რის გამო მებამბე გლეხებს მანუფაქტურის შესაძენათ უხდება შორს მანძილზე წასვლა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ბამბის მეურნეობაზე. თათბირმა საჭიროდ აღიარა, რომ მებამბეობის რაიონები უზრუნველყოფილ იქნენ მანუფაქტურით და მთლიანად იქნეს შესრულებული მებამბეობის რაიონებისათვის მანუფაქტურის მიწოდების გეგმა.

ამ საკითხის შესახებ განცხადებებით გამოვიდნენ „ზაკოთუზის“, ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის და ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის წარმომადგენლები.

თათბირმა დაადგინა გამოყოფილ იქნეს სპეციალური კომისია ყველა აღნიშნულ ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან და მიენდოს მათ მებამბეობის რაიონებისათვის მანუფაქტურის მიწოდების შემოწმება.

ს. სამ. მანქანების შემკეთებელი სახელოსნოები

მიწათმოქმედების კომისარიატის ცნობით საქართველოს სხვადასხვა რაიონებში სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შემკეთებელ სახელოსნოების გასახსნელად გადადებულია 94.000 მანეთი. იმის გამოსარკვევად, თუ რომელ რაიონში უნდა იქნეს გახსნილი შემკეთებელი სახელოსნო დაარსებული იქნა სპეციალური კომისია. ამავე კომისიას დავალებული აქვს აღნიშნული თანხის განაწილება.

კომისიამ დაადგინა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შემკეთებელი სახელოსნოები გახსნილი იქნეს წნორის-წყალში, გორის მაზრაში და სამტრედიაში.

კომისიის დადგენილებით წნორის-წყალში სახელოსნოს მოსაწყობად გადადებული იქნა—38.310 მანეთი, გორის მაზრისათვის 28.310 მანეთი, და სამტრედიაში სახელოსნოს მოსაწყობად—27.310 მანეთი.

ამას გარდა, კომისიამ დაადგინა თელავში, რაჭაში და სიღნაღში მოწყობილ იქნეს მოძრავი სახელოსნოები. ამ მაზრებში თვითეულ სახელოსნოების მოსაწყობათ გადადებულია 3.000 მანეთი.

სარემონტო სახელოსნო წნორის-წყალზე

ამიერ-კავკასიის სასოფლოსამეურნეო ბანკმა „სოფლის კავშირი“-სათვის საქართველოს სასოფ.-სამ. ბანკს გაუხსნა—27.000 მანეთის კრედიტი.

ეს თანხა უნდა მოხმარდეს წნორის-წყალზე სასოფ.-სამეურნეო იარაღ-მანქანების შემკეთებელ სახელოსნოს მოწყობას.

სესხი გახსნილია ხუთი წლის ვადით.

ამასთან ერთად, ა. კ. სასოფ.-სამ. ბანკმა წინადადება მისცა საქართველოს სასოფ.-სამ. ბანკს გაიღოს თავის საკუთარ საშუალებებიდან—16.600 მანეთი ამ სახელოსნოს მოსამარაგებლად სათადარიგო ნაწილებით.

მიწების განოყიერება მინერალური სასუქით

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საცდელ-სამეცნიერო განყოფილებამ თესვის კამპანიასთან დაკავშირებით შეიმუშავა ნიადაგის მინერალური სასუქებით განოყიერების გეგმა.

ამ გეგმის მიხედვით მიწების გასანოყიერებლად საცდელი მუშაობა იწარმოებს აჯამეთის საცდელ-საჩვენებელ სადგურში, კახეთის და საქარის მევენახეობა-მეღვინეობის სადგურებში, მუხრანის მამულში და ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში.

ამ ადგილებს გარდა მიწების მინერალური სასუქებით გასანოყიერებლად საცდელი მუშაობა იწარმოებს აგრო-პუნქტებში, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების და კოლმეურნეობების მიწებზე.

ასეთივე მუშაობა იწარმოებს იმ გლეხების მიწებზედაც, რომლებიც სანიმუშო მეურნეობას ეწევიან.

მიწების მინერალური სასუქებით გასანოყიერებლად საცდელ მუშაობას უხელმძღვანელებენ სპეციალისტები. ამავე მუშაობისათვის ადგილებზე ხელმძღვანელობის გასაწევათ რაიონებში დაგზავნილი იქნება 12 ინსტრუქტორი.

ამას გარდა მიწათმოქმედების კომისარიატი წელს შეუდგება სამტრედიის რაიონში ამოშრობილ ჭაობებიან ადგილების დამუშავებას. ამ ადგილებზე, რომლებიც წინეთ წარმოადგენდენ მალარიის ბუდეს, წელს გაშენებული იქნება ბამბა, კენაფი და სხვა ტეხნიკური მცენარეები.

ტეხნიკური მცენარეები წელს საცდელათ გაშენებული იქნება აგრეთვე ლოჭინის და სართიჭალის რაიონებში.

50.000 მანეთი

ა. კ. სასოფ.-სამ. ბანკმა საქართველოს სასოფ. სამ. ბანკს დამატებით გაუხსნა 50.000 მანეთის კრედიტი სასოფლო მეურნეობის უზრუნველსაყოფად სათესლე მასალით.

მუშაობა გაცხოველდა

(წერილი სენაკიდან)

სენაკის მაზრაში თესვის კამპანიის ფართოდ დაყენებას ხელს უწყობს კარგი ამინდები. გლეხობა მთელი ოჯახის შემადგენლობით შეუდგა მუშაობას, სწმენდს ყანებს, ღობავს სახნავ ადგილებს, ხნავს, ბოსტანს ბარავს და სთესავს.

სამაზრო აღმასკომთან არსებულმა თესვის კამპანიის ჩამტარებელმა სამაზრო სამეულმა გააცხოველა მუშაობა. მაზრის 5 პუნქტში ჩატარდა თესვის კამპანიის საკითხების გასაშუქებლად თათბირი თემის აღმასკომების წარმომადგენელთა, სარაიონო აგრონომებისა, საკრედიტო ამხანაგობებისა, გლეხური ახალგაზრდობის და სას.-სამ. სკოლების ხელმძღვანელთა მონაწილეობით. ამის შემდეგ სოფლად, გლეხის ყანებზე გამოჩნდა საბჭოთა აგრონომი მუშაობის გამოსაცოცხლებლად და გლეხთა წასახალისებლად.

რა კეთდება ამჟამად სოფლად

აგრონომები აწარმოებენ გლეხთა შეკავშირებას სამეურნეო ამხანაგობებად, მიწის ერთად დამმუშავებელ და ტრაქტორების ერთად შემძენ კოლექტივებად.

აგრო-პუნქტებზე, გლეხური ახალგაზრდობის და სას.-სამეურნეო სკოლებში სასწრაფოდ სწარმოებს სას.-სამ. იარაღების შეკეთება. სწარმოებს ტრაქტორების სასწრაფოდ შეკეთება. მაზრაში სულ ხუთი ტრაქტორია, რომელნიც ემსახურება საერთოდ მაზრის ქვედა რაიონის თემის გლეხობას.

მიღებულია ზომები სამარგლავი მანქანების შემოსატანად მაზრაში მათი ფართედ გავრცელების მიზნით.

თესლის დამზადება

საკრედიტო ამხანაგობები უკვე შეუდგენ 23 ათასი ფუთი სიმინდის დამზადებას ადგილობრივ ბაზრებზე, თესლის საჭიროებისათვის, რაც ხელსაყრელ პირობებში დაურიგდება თესლის არმქონე გლეხობას.

ამავე დროს სოფლად ფართედ სწარმოებს პროპაგანდა, რათა გლეხობამ შეიძინოს ადგილობრივი სიმინდი სათესლეთ, ხოლო საკვებათ იხმაროს შემოტანილი სიმინდი. ეს იმიტომ, რომ ჩვენი სიმინდი თესლად გაცილებით უკეთესია, ვინემ შემოტანილი სიმინდი. სამაზრო აგრონომს ამხ. ჯინორიას დავალებული აქვს სასწრაფოდ გაემგზავროს აჯამეთის სახალხო მამულში, რომ იქ შეისყიდოს სელექციური სათესლე სიმინდი მაზრისათვის. გადაწყვეტილია თესლი მიეცეს გლეხობას დეზინფექციაქმნილი. ამნაირად, წელს მაზრისათვის საჭიროა 147.000 ფუთი სათესლე სიმინდი, რომლის სიმცირეს ადგილი არ ექნება.

მუშა-საქონლის სიმცირე

წელს შემჩნეულია მუშა-საქონლის სისუსტე ჯანმრთელობის მხრივ, რაც გამოწვეულია ხანგრძლივი ზამთრით, მოწყობილი ბინის უქონლობით და საკვების სიმცირით. არის აგრეთვე ისეთი გლეხებიც, რომელთაც მუშა-საქონელი სრულიად არ გააჩნიათ, ან ცალი ხარი ყავთ. ასეთ შემთხვევებში საკრედიტო ამხანაგობები აძლევენ სესხს მუშა-საქონლის შესაძენად იმ მეურნეთ, რომელთაც ასეთი არა ყავთ.

ნერგები

მაზრაში არსებული სანერგეები ამუშავებდნენ: სალხინოს საბჭოთა მამული მოსახლეობას აწვდის ვენახის ნერგებს, ხოლო ნოსირის—სხვადასხვა კულტურულ და ძვირფას მცენარეთა ნერგებს. ამ მხრივ მაზრაში არ გვაქვს სიმცირე საჭირო ნერგების. ნერგები რიგდება გლეხობაში საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით.

ამნაირად თესვის კამპანია სენაკის მაზრაში საღ ნიადაგზე სდგას და ცოცხლად მიმდინარეობს.

გ. უჩანეიშვილი.

აჭარისტანში

ბათომი, 2 აპრილი. რადგან ფიქრობენ, რომ ზამთრის დიდი ნალექის შემდეგ შეიძლება გვიანი გაზაფხული დადგეს, ამიტომ მიწების მოხნა სიმინდის დასათესად ჭოროხის რაიონის დაბლობებში და კახაბერის ველზე გაძლიერებულის ტემპით სწარმოებს. მოხნულია მესამედზე მეტი. ძალიან საგრძნობია მუშა-საქონლის ნაკლებობა, რომელიც დაზარალდა საკვები მასალის უქონლობის გამო. აჭარისტანის დანარჩენ რაიონებში ხვნა ჯერ არ დაწყებულა. (ადს).

კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

თელეთის თემსაბჭოს სექციებს მხოლოდ თითო სხდომა ჰქონდათ

ძალზე სუსტად მუშაობდნენ თავასის თემსაბჭოს სექციები

გორის საბჭო

(წერილი გორიდან)

კომუნალური სექცია

კომუნალურმა სექციამ მუშაობა დაიწყო გასული წლის 20 აპრილს. სექციაში ითვლებოდა საბჭოს 24 წევრი და კანდიდატი; პირველ კრებაზე დაისვა საკითხი სექციის შემადგენლობის გაფართოებაზე. სექციის შემადგენლობა გადიდებულ იქნა 10 ამხანაგით, რომელთა შორის არიან წარმოებათა ხელმძღვანელნი, პროფკავშირის და ქალთა განყოფილების წარმომადგენელნი.

სექციას ჰქონდა სულ 18 სხდომა. სხდომებზე წევრების დასწრება უდრის 60—70 პროც. სექცია მუშაობდა გეგმის მიხედვით.

სექციამ თავისი მუშაობით დიდი დახმარება გაუწია საბჭოს და მის პრეზიდიუმს. დაამუშავა და თითქმის ხაზოლიოდ ჩამოაყალიბა 6 სხვადასხვა სავალდებულო დადგენილება, შეუფარდა ისინი გორის პირობებს, რომელნიც შემდეგ საბჭომ დაამტკიცა და შემოიღო სამოქმედოდ სულ მცირე ცვლილებების შეტანით. მოაწესრიგა საადგილო ნაკვეთების გაცემის წესი, გამოიმუშავა პირობები, თუ ვის და რა წესით უნდა ეძლეოდეს ნაკვეთი, მანვე იდო ინიციატივა ახალშენის გეგმის შედგენისა და მისი ყვანა ის სისრულეში. დაწვრილებით შეისწავლა და გამოარკვია მდგომარეობა ოთხ წარმოებისა: აბანო, ტრანსპორტი, აგურქარხანა და სტამბა; გამოიმუშავა სათანადო მითითებები ამ წარმოებათა მდგომარეობის გამოსასწორებლად და მუშაობის ნაყოფიერებისათვის. გამოიკვლია ალმშენებლობა ორი დაწესებულებისა: სამკურნალო და ვენეროლოგიური დისპანსერების, მიუთითა ნაკლულოვანებებზე და მოითხოვა მათი გამოსწორება, რაც ნაწილობრივ შესრულებულია. ჩაბარა ანგარიში თავის მუშაობაზე საბჭოს და კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა და ალმშენებელთა პროფკავშირების წევრთა საერთო კრებას.

სექციის ნაკლი მდგომარეობს შემდეგში: სექციის ბიურომ ვერ შესძლო რიტმიული მუშაობა. ერთხელ შეიჭრა ფინანსიურ სექციის მოქმედების სფეროში და განიხილა ტყიის ქარხნის ბიუჯეტი. პირველ ხანებში სექციას ჰქონდა საბჭოს აღმასრულებელი აპარატისებური მიდრეკილება, რაც თანდათან გამოსწორებულია.

გორელი.

თელეთის თემსაბჭო

(თბილისის მაზრა)

(წერილი თელეთიდან)

წინა წლებთან შედარებით თელეთის თემსაბჭომ, გასულ საანგარიშო პერიოდში გაცილებით მეტი გააკეთა, სოფლის ალმშენებლობის დარგში, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს მთელი რიგი დეფექტებისა, რომელიც ახასიათებს თელეთის თემსაბჭოს მუშაობას აღნიშნულ პერიოდში.

საბჭოსთან ჩამოყალიბებულია ოთხი სექცია: საალმშენებლო, საგზაო და ხიდების, საექიმო-სანიტარო და კულტ-განათლების. უკვე წელიწადზე მეტია, რაც აღნიშნული სექციები ჩამოყალიბდა, მაგრამ მათი მუშაობის ნაყოფი დღესაც არა ჩანს. სექციებს მხოლოდ თითო-ჯერ ჰქონდათ სხდომა, რომელზედაც სექციის წევრებს საორგანიზაციო საკითხის მეტი არაფერი გაურჩევიათ, ამგვარად სექციები მოწყვეტილი დარჩა საბჭოს ძირითად მუშაობაზე, რითაც თელეთის თემსაბჭომ ვერ შეასრულა ცენტრის დირექტივა ღარიბ და საშუალო გლეხთა აქტივის საბჭოს მუშაობაში ჩაბმის შესახებ.

თელეთის საბჭოს, სექციების ასეთი სუსტი მუშაობა უნდა მიეწეროს, თვით საბჭოს სუსტ ხელმძღვანელობას. მთელი წლის განმავლობაში სექციებს არ ჰყოლიათ შესაფერი ხელმძღვანელები. მაგ. განათლების სექციის ხელმძღვანელობას საბჭოს თავმჯდომარე და არა განათლების დარგში მომუშავე საბჭოს რომელიმე წევრი. სანიტარულ სექციას, საბჭოს წევრი, გლეხი ხელმძღვანელობდა, რომელსაც შესაფერი ცოდნა არ აქვს ამ დარგში საქმის. ამასთან თვით საბჭო არ აძლევდა სექციებს წინასწარ განსახილველად იმ საკითხებს, რომელიც საბჭოს ძირითად მუშაობის საგანს შეადგენს. თემში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მხოლოდ 85 პროცენტია აკრეფილი, აგრეთვე გლეხის მეურნეობის სესხის გავრცელება ნელის ტემპით მიმდინარეობს.

მართალია მრავალი საალმშენებლო მუშაობა შესრულდა თემსაბჭოსის, მაგრამ ამ სექციების არსად ჩანან. საჭიროა გლეხთა ფართო აქტივისა და ადგილობრივი ინტელიგენციის ჩაბმა საბჭოს მასიურ მუშაობაში.

ა. ნ—ძე.

თავასის თემსაბჭო

(შორაპნის მაზრა)

(წერილი თავასიდან)

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოს სექციების მუშაობა არადამაკმაყოფილებელია. თავასის საბჭო შედგება 45 წევრისაგან. გამოყოფილია 7 სხვადასხვა სექციები, მაგრამ ეს სექციები მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ, თორემ სინამდვილეში მათ არაფერი არ გაუკეთებიათ, გარდა საგზაო და სახანკო სექციებისა. ამ ორ სექციას მხოლოდ დაუსახავს მიზნად მუშაობა, მაგრამ ჯერ-ჯერობით დიდი ნაყოფი არა ჩანს.

თემში დიდძალი რამ არის გასაკეთებელი. თუ რამეა გაკეთებული, მხოლოდ გაუკეთებია აღმასკომს და გარდა ორი სექციისა არც ერთ სექციას მონაწილეობა არ მიუღიათ ამ მუშაობაში.

საგზაო სექციას სულ ჰქონდა 4 სხდომა, მიზნად ჰქონიათ დასახული სამაზრო და სასოფლო გზების გაყვანა და შეკეთება. მუშაობა დაიწყეს, მაგრამ არსად არ დაუსრულებიათ და ბევრგან პირიქით უფრო გაფუჭებულია გზები. ძალიან სუსტად არის გამოყენებული აგრეთვე საგზაო ბეგარაც.

სამეურნეო-სახანკო სექციას ჰქონდა სამი სხდომა. ყველა ამ სხდომებზე იხილავდენ მხოლოდ იმას, თუ ვის ეკუთვნოდა სესხი, დანარჩენ სამეურნეო მუშაობაზე არც კი უფიქრიათ და თემშიც გაკეთებული არაფერია. დანარჩენ 5 სხვადასხვა სექციას არც ერთხელ სხდომა არ ჰქონიათ. და არც არაფერია გაკეთებული, რაც მიეწერება სექციის წევრთა უმოქმედობას და თემსაბჭოს სუსტ ხელმძღვანელობას.

იპოლიტე ცინაძე.

უხუთის თემსაბჭო

(ქუთაისის მაზრა)

(წერილი უხუთიდან)

საბჭოს ამომრჩევლებისადმი ანგარიშის ჩაბარების მიზნით—უხუთის თემი დაყოფილ იქნა 5 უბნად.

ანგარიშის ჩაბარება უწინწრივად დაიწყო 10 მარტს და დამთავრდა 11 მარტს.

საანგარიშო კრებებზე ესწრებოდენ ამომრჩევლების 65 პროც. მოხსენების ირგვლივ იმართებოდა ცხოველი კამათი, რის შემდეგ იქნა გამოტანილი საბჭოს მუშაობაზე დადებითი ხასიათის რეზოლუცია. ამავე კრებებზე მოხდა უვარგის და უმოქმედო საბჭოს წევრების გაწვევა, სულ მთელ თემში იქნა გაწვეული 6 დეპუტატი და მათ ნაცვლად არჩეულნი 5 ღარიბი გლეხი და ერთი მასწავლებელი. ამასთან დაკავშირებით ჩატარებულ იქნა სახალხო მსაჯულების ამორჩევა, რომელთა კანდიდატების დასახელებაში და შეფასებაში აქტივობას იჩენდენ კრების წევრები—უხუთის თემში იქნა არჩეული 10 სახალხო მსაჯული.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო კამპანია, მსაჯულების არჩევნები და უმოქმედო საბჭოს წევრების გაწვევა ჩატარდა ამომრჩეველთა მხურვალე მონაწილეობით.

უხუთის საბჭოსთან გამოყოფილია 5 სექცია, რომლებშიაც მხოლოდ საბჭოს წევრები მუშაობდენ, საერთოდ სექციების მუშაობა ძლიერ სუსტია, რადგან მთელი მოსახლეობა და აქტივი გადაყოლილნი იყვნენ სათემო ცენტრის არჩევაზე, რომლის დავა რამოდენიმე წელი მიმდინარეობდა და უკანასკნელად იქნა მოგვარებული. სექციებს მიეცათ საჭირო მითითებანი მუშაობის გასაცხოველებლად.

ნიკ-ბანი.

ხობის თემსაბჭო

(ზუგდიდის მაზრა)

(წერილი ხობიდან)

ხობის თემსაბჭოსთან ჩამოყალიბებულია შემდეგი სექციები: საალმშენებლო, საგზაო, სამეურნეო, სანიტარო, კულტურულ-განმანათლებლო და კოოპერატიული.

ყველა სექციების მუშაობა დამაკმაყოფილებელია. მაგალითად საალმშენებლო სექციის ინიციატივით შეკეთდა სკოლები, სამკითხველოს და აფთიაქის შენობები. საგზაო სექციის ინიციატივით შეკეთდა გზები სულ 60 კილომეტრის მანძილზე; კულტურული სექცია დიდ ყურადღებას აქცევდა თემში კულტურის შეტანას. სანიტარული სექციამ დიდი ზომები მიიღო სისუფთავის დაცვის საქმეში და სხვა. საბჭომ დიდი აქტივობა გამოიჩინა სახალხო სესხის კამპანიის ჩატარებაში, ხობის თემში ჯერ-ჯერობით გასაღებულია 880 მანეთის ობლიგაცია.

ხ. ფონია.

ზესტაფონის თემსაბჭო

(წერილი ზესტაფონიდან)

კეთილმოწყობის სექცია

სექციაში 32—წევრია, მათ შორის 7 ქალი. მათი სოციალური მდგომარეობა: მოსამსახურე 17, მუშა 9, გლეხი, 3, ხელოსანი 3. მათში ქალთა სადელეგატო პუნქტიდან არიან მომაგრებული 4 ქალი, სხვადასხვა ორგანიზაციებიდან კი 3 კაცი. საანგარიშო პერიოდში სექციის სხდომა მოწვეულია 11-ჯერ, ესწრებოდა 80 პროცენტი წევრებისა, მათში აქტივობას იჩენდა 70 პროცენტი, გარჩეულია 278 საკითხი, მათში 12 საორგანიზაციო, 58 საალმშენებლო, დანარჩენი კი განცხადებები სამოსახლო მიწების დაკმაყოფილების შესახებ და სხვა...

სექციას ჰყავს ბიურო, რომლის სხდომები მოწვეული იყო 10-ჯერ, ბიუროს სხდომებზე ოქმი არ იწერებოდა, ის მხოლოდ ამუშავებდა სექციის დღის წესრიგს, სამუშაო გეგმას კალენდარულ ცხრილს და სხვა. აღნიშნულ 278 საკითხიდან მოყვანილია სისრულეში მხოლოდ 70 პროცენტი. დანარჩენი საკითხები შესრულების პროცესშია. სექციის წევრთა გააქტივებისა და მუშაობაში ფართოდ ჩაბმის მიზნით ბიურო სხვადასხვა საკითხების დამუშავებისათვის უყოფდა კომისიებს ამა თუ იმ საკითხის შესასწავლად, რომელნიც ანგარიშს აბარებდენ სექციის სხდომას. ხდებოდა აგრეთვე ანგარიშიანობის ჩაბარება სექციაზედ კომუნალურ განყოფილებასთან არსებულ ქვემდებარე დარგების, როგორიც არის უძრავ-მოძრავ ქონებათა მაგიდის, ტექნიკური ნაწილის, ქალაქის სტამბის, ცეცხლის მქრობელ რაზმის და სხვა. რომელთა მუშაობის შეფასების შემდეგ ეძლეოდათ სათანადო პრაქტიკული მითითებანი. დამოკიდებულება და ხელმძღვანელობა საბჭოს პრეზიდიუმის დამაკმაყოფილებელია, რაც გამოიხატება სექციისათვის ანგარიშიანობის მოთხოვნაში, ოქმების თავის დროზე დამტკიცებაში, სათანადო შესწორებების შეტანაში და ზოგად შემთხვევაში კი პრაქტიკული მითითებანის მიცემაში.

სექციის მიღწევები საალმშენებლო დარგში: აგებულია ელ-სადგური (150—ცხენის ძალის). რაც დაჯდა 45.000 მანეთამდე. აგებულია ქალაქის შუა ნაწილში ბონდი, რაც დაჯდა 6.000 მანეთამდე. ჩამოყალიბდა ცეცხლის მქრობელი რაზმი, მოხდენილია მუნიციპალიზაცია ქმნილი შენობათა კაპიტალური რემონტი 9.000 მანეთის ფარგლებში, დამთავრდა მდ. აჯამურას ხიდი, რაც დაჯდა 1200 მანეთი. მოკირწყლულია ჯაფარიძის ქუჩა, რაც დაჯდა 4.000 მანეთი იკირწყლება და უახლოეს დროში დამთავრდება რუსთაველის ქუჩა, თაბუკაშვილის და მარქსის ქუჩის ნაწილი, რაზედაც გათვალისწინებულია დასახარჯავათ 9.000 მანეთამდე. სავალდებულო ბეგარისათვის აღრიცხულ 1944 მუშა ხელიდან გამოყენებულია გარეუბნების გზების გაკეთებისათვის მხოლოდ 962 მუშა ხელი. მიმდინარეობს მუშაობა ქალაქის გამწვანებისათვის, რისთვისაც კეთდება ქალაქის ბაღი სხვადასხვა გასართობით, 25 თებერვლის ქუჩის მარჯვენა მხარეზედ გამწვანება სხვადასხვა მცენარებით და გამწვანება ძმათა სასაფლაოსი. უახლოეს დღეებში საფუძველი ეყრება ქალაქის აბანოს, რომელზედაც გათვალისწინებულია 35.000 მანეთის დახარჯვა, აგრეთვე ქალაქის საავადმყოფოსი, რაც უნდა დაჯდეს 200.000 მანეთი. და ხუთის მიერ შენდება აგურ-ქარხანა. რომლისთვისაც გადადებულია 250.000 მანეთი. მიმდინარეობს უვარგისი ელექტრო ქსელის გადაკეთება და ხელახალი ხაზის გაყვანა გარე უბნის ქუჩებისათვის.

სექციას აქვს მიღწევები საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ქალაქის ალმშენებლობის მხრივ, მაგრამ უნდა აღინიშნოს ის დეფექტი, რომელიც ემჩნევა აღმასკომის სავალდებულო დადგენილებების №№ 8 და 9 გატარებას—ქალაქის ფარგლებში არსებულ ქვაფენილების, საცხოვრებელ და სავაჭრო შენობების იძულებითი წესით შეკეთების შესახებ, რაზედაც გამოყოფილი იყო სექციის მიერ სათანადო კომისია და რომლის მუშაობა ვერ მიმდინარეობს სასურველად.

ბენია ბერიძე.

მუშათა ცხოვრება

დღეს, საღამოს 6 საათზე, შესდგება გაზ. „კომუნისტი“-ს მუშკორთა საერთო კრება. დღის წესრიგში სდგას: მოხსენება მუშათა განყოფილების შესახებ და მუშათა ფართო კოლექტივის ანგარიში. ჩვენი მუშკორების დასწრება სავალდებულოა.

ცეცხლი ტყიბულის მაღაროებში

(წერილი ტყიბულიდან)

უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში ცეცხლმა თავისი კვალი დააჩინა ტყიბულის მაღაროებს.

პირველად ცეცხლი გაუჩნდა მაღაროების სამმართველოს, რომელიც საჩქაროდ მიღებულ ზომებით ჩაქრობილ იქნა და რომელმაც გამოიწვია 300 მანეთამდე ზარალი. შემდეგ ცეცხლი გაუჩნდა ნახშირის წინების შენობას. ცეცხლმა გადასწვა ნახევარი შენობა და იქ დამზადებული აგურა,კები სულ მთლიანად განადგურა, ამანაც 500—600 მანეთზე მეტი ზარალი მიაყენა მაღაროებს. ასეთივე ბედი ეწვია ძველი მაღაროების ნახშირის სარჩევს, სადაც ცეცხლი გაუჩნდა სარჩევთან მოწყობილ კოდქვეშ დაყრილ ნაგავს. მართალია აქ დიდ ზარალს არ ჰქონია ადგილი, მაგრამ დროზედ რომ არ მიეღოთ ზომები ცეცხლის ჩასაქრობად, მთელი სარჩევი გადაიწვებოდა და ძველ მაღაროებში მუშაობაც შესწყდებოდა.

26 მარტს, საღამოს დაახლოვებით 9 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა ახალი მაღაროების გვირაბების იარაღების საწყობს, რომელიც მთლად გადაიწვა. მიუხედავად იმისა, რომ იქ იმყოფებოდნენ იარაღის საწყობის მეთვალყურე, მუშების ამწევი და კიდევ რამოდენიმე მუშები, საწყობიდან ვერაფერი გადაარჩინეს. აღსანიშნავია ის, რომ საწყობების დაწვის დროს, აფეთქდა ასაფეთქებელი მასალა, რომელიც შენახული იყო იარაღების საწყობში. საერთოდ ასეთ მასალის შენახვა საერთო საწყობში აკრძალულია, მაგრამ ამას არავინ ყურადღებას არ მიაქცია და ასაფეთქებელ მასალას ინახავდნენ საერთოდ საწყობში, ასეთი დაუდევრობამ კი დიდი ზარალი მიაყენა მაღაროებს.

ცეცხლის ჩასაქრობად, თავის დროზე იყო მიღებული ზომები. მაგრამ ცეცხლს ახლოს მაინც ვერავინ ეკარებოდა. რადგან იცოდნენ, რომ იქ ასაფეთქებელი მასალა ინახებოდა. ამიტომ ცეცხლის ჩაქრობა შეუძლებელი შეიქნა. გადაიწვა მთელი საწყობი და მაღაროებს მიაყენა 2.500—3.000 მანეთამდე ზარალი.

ცეცხლის გაჩენის მიზეზების გამორკვევა. სწარმოებს. მაგრამ ეს არ კმარა, ტყიბულის მაღაროებში, ასეთი ცეცხლის გაჩენა, არაჩვეულებრივი მოვლენაა. საჭიროა სასტიკი ზომები იქნეს მიღებული ტყიბულის მაღაროებში დაუდევრობის და დაუკვირებლობის აღმოსაფხვრელად.

მაღაროელი.

ხელფასს არ ვღებულობთ

(ქუთაისის აბრეშუმის საქსოვი ქარხანა)

ქუთაისის აბრეშუმის საქსოვ ქარხანაში, ოლიდან მისი დაარსებისა მუშაობენ „შრომის არტელი“-ს წევრები, რომლებიდანაც არც ერთი მათგანი არ არის დაზღვეული და არ სარგებლობს უფასო საექიმო დახმარებით.

გარდა ამისა აღნიშნულ ქარხნის მუშები ვერ ღებულობენ ხელფასს თავის დროზე: უკვე ხუთი თვეა, რაც მუშებს კუთვნილი ხელფასი არ მიუღიათ. ქარხნის ხელმძღვანელები ყოველ დღე პირდებიან ხელფასის დარიგებას. მაგრამ მიუხედავად ამისა, რომ ქარხნის ნაწარმოები საღდება, დაპირება მაინც უშედეგოდ რჩება.

შრომის კომისარიატმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას და მიიღოს ზომები მუშების კუთვნილ ხელფასით დასაკმაყოფილებლად.

იქაური.

„პატიოსანი“ გრიბენიკოვი

თბილისის სადგურის სარკინიგზო ფარეხში, ზეინკალთა გუნდის უფროსად მუშაობს ვინმე კუზმა გრიბენიკოვი, რომელიც დიდი მოხერხებით ატყუებს რკ. გზას და იძენს საკუთარ ჯიბეს რკ. გზის ხარჯზე.

სარკინიგზო ფარეხს სჭირდებოდა სახერხი მანქანა. გრიბენიკოვი დატრიალდა და მცირე ხნის განმავლობაში შეიძინა სახერხი მანქანა კერძოდ 500 მან. შუა კაცობაში და უვარგის მანქანის გასაღებაში, კუზმამ მანქანის გამყიდველისაგან მიიღო 150 მანეთი ჯილდო. მანქანა კი სრულიად უვარგისი აღმოჩნდა. მაგრამ ეს შედარებით ძველი ამბავია. აი ერთი ახალი მაგალითი კუზმა გრიბენიკოვის კომბინატორობისა.

სარკინიგზო ფარეხს დასჭირდა ე. წ. სარეცხის საკეცი („კატალკა“), რკ. გზის სამასალო საწყობებში აღნიშნული ნივთი არ აღმოჩნდა. ეს გაიგო თუ არა კუზმამ, სწრაფად დაფაცურდა და ვიღაცასაგან 50 მანეთად „შეიძინა“ „კატალკა“, ისე რომ, კუზმამ მისი სიტყვით, თითქოს შუა კაცობა გასწია რკ. გზასა და გამყიდველს შორის, მაგრამ ეს ასე არ არის. მის მიერ „შეძენილი“ სარეცხის საკეცი 1925 წელს ეკუთვნოდა თვით სარკინიგზო ფარეხს, საიდანაც იგი დაიკარგა. ეხლა კი მოქ. გრიბენიკოვმა რკ. გზას შეასყიდა მისივე საქონელი.

მაზუთის ამოსაღებ მანქანაზე მუშაობდა ორი მუშა. გრიბენიკოვმა, საქაჩავი გადაიტანა ტრანსმისიაზე და თითონ დაუწყო მაზუთს ქაჩვა. საქაჩავი ეკუთვნოდა სარკინიგზო ფარეხს. გრიბენიკოვმა და გ. ლელაშვილმა, ეს გაუმჯობესება გაასაღეს და მიიღეს 100 მანეთი ჯილდო იმ დროს, როდესაც გრიბენიკოვის უშუალო მოვალეობას შეადგენდა ამის მოწყობა და არავითარი გამოგონება და გაუმჯობესება მას არ ესაჭიროებოდა.

ასეთია „პატიოსან“ გრიბენიკოვის „პატიოსანი“ საქმე. იმედია სათანადო ორგანო გამოარკვევს ამას და მოქ. გრიბენიკოვს შესაფერისად დააჯილდოვებს.

მემანქანე.

საკონფლიქტო კომისია არ მუშაობს

(შავი ზღვის რკინის გზა)

ჯოლეჯიანის ალმშენკომის შრომის საკონფლიქტო კომისიის მუშაობა მოისუსტებს. თითქმის მთელ ხაზზე, მომუშავე მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც ირიცხებიან ჯოლეჯიანის ალმშენკომში, შემოაქვთ განცხადებები იმის შესახებ, რომ ისინი არ არიან დაკმაყოფილებულნი ხელფასით, ან არ აძლევს ადმინისტრაცია ზედმეტი საათების ნამუშევარს და სხვ.

შრომის საკონფლიქტო კომისია ამ განცხადებებს თავის დროზე არ არჩევს. განცხადებების განხილვას აგვიანდება 1—2 თვემდე. ამის გამო გროვდება განცხადებები, რომლის განხილვაც თანდათანობით უფრო ძნელდება.

საკონფლიქტო კომისია, ეს არის შრომის დაცვის პირველი ძირითადი ორგანო, რომელიც დიდ ყურადღებას უნდა აქცევდეს მუშების ყოფა-ცხოვრებას და სასწრაფოდ აგვარებდეს მუშებსა და ადმინისტრაციის შორის წამოჭრილ შრომის კონფლიქტებს. ჯოლეჯიანის ალმშენკომის საკ. კომისია კი ამ მხრივ ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას.

ელიშელი.

დროა ბოლო მოეღოს

კარლ მარქსის მოედანი და მიმოსვლის ქუჩა, ქალაქის ერთ-ერთი გარყვნილების ბუდედ არის გადაქცეული. მთელი მოედანი და ქუჩა მოფენილია სამიკიტნოებით, რესტორანებით და სასტუმროებით, სადაც თავს იყრიან საეჭვო პირები და ქუჩის ქალები, რომლებიც დადიან გრ. ვად, იგინებიან უწმაწური სიტყვებით და შეურაცყოფას აყენებენ გამვლელ-გამომვლელს. ხშირად მუშტ-კრივშიც აბამენ მათ.

განსაკუთრებით ქალების გავლა უმთავრესად, კიდევ ყოველად შეუძლებელია. დაინახავენ თუ არა რომელიმე ქალს, გამოედევნებიან ეს მოურალ-გალეშილთა გროვა და ვინ იცის რა სიტყვებით არ აყენებენ შეურაცყოფას. ყოფილა შემთხვევა, რომ ქალს შიშისაგან გული წასვლია.

18 მარტს ერთ შემთხვევით გამვლელ ქალს ჰკონდომეს ძალით რესტორანში შეყვანა და მის ქმარსაც სცემეს. ვიდრე მილიციელი გამოჩნდებოდა, ავარების კვალიც აღარ იყო. ისინი გაიფანტენ და მიიმალენ. აღსანიშნავია, რომ მილიციელები ასეთ შემთხვევებს რატომღაც თვალს არიდებენ.

ქუჩის ქალებისა და ავარების შენახვაში არა ნაკლები „მოღვაწეობა“ მიუძღვით რესტორან-სასტუმროების მეპატრონეთ. თითქმის ყოველ რესტორან-სასტუმროში მოწყობილია სტუმრების მისაღები „კაბინეტები“.

დროა ბოლო მოეღოს ამ არაწესიერობას და კარლ მარქსის მოედანზე გარყვნილების თარეშს.

გრ. ჩიჩუა.

მუშკორთა წერილებიდან

— **კიდევ ზარალი.** რკ. გზის სამმართველომ, ნავთლუღში ლიანდაგის ლიზოების გამოსაცვლელად გაიღო 2.000 მ. საქმე მინდობილი ჰქონდა ერთ-ერთ ტექნიკოსს, რომელმაც თავისი დაუდევრობით და უცოდინარობით, ფული უნაყოფოდ დახარჯა. მის გაკეთებულ საქმეს, ხელმეორედ გაკეთება და 500—600 მან. დასჭირდა.

მსმენელი.

— **თავის დროზე ვერ ვღებულობთ.** ნავთლუღში, სამხედრო ნაწილების თივაზე მომუშავე „შრომის ნადი“, ხშირად ამუშავებს სოფლიდან ჩამოსულ გლეხებს. გლეხები რვა საათის მაგიერ მუშაობენ 11—12 საათს და ხელფასის მისაღებად კი მთელი კვირაობით უხდებათ ლოდინი. შრომის ინსპექტორი, მიაქციე ყურადღება.

ი. ჯიბლაძე.

— **მუშაობა ფერხდება.** რკ. გზის სამასალო საწყობის სახელოსნოს სადურგლო საამქროში მუშაობს 28 მუშა. საამქროს შენობა იმდენად პატარაა, რომ მუშები თავისუფლად ვერც კი მობრუნებულან. ეს გარემოება საგრძნობლად აფერხებს მუშაობას. ადმინისტრაციამ უნდა გამონახოს საშუალება საამქროს შენობის გასაფართოებლად.

მუშა დურგალი.

— **ნაშრომს არ გვაძლევენ (ხაშური).** ხაშურის რკ. გზის მუშათა კლუბის გამგე, ხშირად ახატვინებს აფიშებსა და სხვადასხვა პლაკატებს, მაგრამ შრომის ხელფასს კი არ იხდის. ხშირად მთელი თვის განმავლობაში ატყუებს მხატვრებს, რომ მოგცემთ ხელფასსო, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება.

ოთარაშვილი.

ჩვენს მუშკორებს

— 1-ლ მაისს. შემოიარეთ რედაქციაში დღესვე.

— ჰ—ის. თქვენი წერილი „დაიცავით სისუფთავე“, არ დაიბეჭდება. მოათავსეთ ადგილობრივ კედლის გაზეთში.

— გმირს. „ურემი გამგე“ უსაბუთოა, არ წავა.

საქ. სახკომსაბჭოში

საქონლის საკვების განაწილების შესახებ

სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ დაადგინა წინადადება მიეცეს ცეკავშირს დაურიგოს გლეხობას თივა საკრედიტო ამხანაგობათა მეშვეობით.

დაევალა ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ცეკავშირთან და სოფლის კავშირთან ერთად განაწილოს კოპტონი.

ქატოსა და კოპტონის გლეხებისათვის დარიგება დაეკისროს ცეკავშირსა და სოფლის კავშირის ქსელს.

წინადადება მიეცა სახ.-სამ. ბანკს გამოჰყოს კრედიტი 100.000 მ. რაოდენობით საქონლის საკვების დასამზადებლად.

ამასთან ერთად სხდომამ საჭიროდ სცნო ეთხოვოს ა.-კ. რკ. გზათა სამმართველოს გაატაროს რკინის გზებზე საქონლის საკვები მასალა პურის ტვირთის თანაბრად საკვები მასალის კრიზისის დამთავრებამდე.

ექიმ ს. ხუნდაძის მივლინება ლენინგრადში

ჯანსახკომის და შორაპნის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობის თანახმად ჭიათურის სამაზრო საავადმყოფოს გამგე ექიმი ს. ხუნდაძე მივლინებულ იქნა სამეცნიერო მიზნით ქ. ლენინგრადში.

ქ. ფოთში მდ. რიონის ნაპირების გამაგრების შესახებ

რადგან ქ. ფოთში მდ. რიონის ნაპირების გამაგრების ტექნიკურ სამუშაოთა შესრულება ა.-კ. ნავთსადგურთა განყოფილებას აქვს დაკისრებული, სახკომსაბჭოს და ეკ. საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ საჭიროდ სცნო აღნიშნულ სამუშაოთა საწარმოებლად გადადებული სახსარის გადაცემა ნავთსადგურთა განყოფილებისათვის.

წინადადება მიეცა ფოთის აღმასკომს გამოჰყოს თავის სახსრიდან აღნიშნულ სამუშაოთათვის 15.000 მან.

მასთან საჭიროდ იქნა ცნობილი ეთხოვოს ა.-კ. რკინის გზათა სამმართველოს ქ. ფოთში მდ. რიონის ნაპირების გამაგრებისათვის საჭირო ქვა გაიღოს თვითღირებულების მიხედვით და გადაზიდოს იგი სამეურნეო წესით.

ბორჯომის მინ. წყლების სამმართველოს ს. მ. უ. ს. საიმპორტო გეგმაში შეტანა

ა.-კ.-ის ვაჭრობის სახკომის შუამდგომლობის თანახმად, წინადადება მიეცა ს. მ. უ. საბჭოს შეიტანოს ბორჯომის მინერალური წყლების სამმართველო თავის საიმპორტო გეგმაში 1928—29 წლიდან.

შრომის შემნახველი სალაროების რეორგანიზაცია

პირველ აპრილიდან საქართველოში ტარდება შრომის შემნახველ სალაროების რეორგანიზაცია.

რეორგანიზაცია მდგომარეობს იმაში, რომ სამფინგანებთან არსებული ცენტრალური შემნახველი სალაროები გადაკეთდება განყოფილებებად, ხოლო ცენტრები კი დარჩება ოთხ ადგილას: სოხუმში, ბათუმში, თბილისში და ქუთაისში. ამასთან ერთად, ხდება ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებთან არსებულ სალაროების გაერთიანება ცალკე ცენტრების მიხედვით, ესე იგი ისინი, მათი რაიონული მდებარეობის მიხედვით, დაექვემდებარებიან ამა თუ იმ ცენტრს.

სალაროების საერთო ხელმძღვანელობა რჩება საქართველოს რესპუბლიკანურ შრომის შემნახველ სალაროს.

— სალაროების რეორგანიზაციით,— განუცხადა ჩვენს თანამშრომელს საქართველოს რესპუბლიკანურ შრომის შემნახველ სალაროს უფროსმა ფ. მამაცაშვილმა,—მცირდება საერთო ხარჯები და ჩქარდება ცენტრისათვის ანგარიშების წარდგენა.

აქამდე სალაროები ანგარიშებს აღგენდენ კვარტალების მიხედვით, ამიერიდან ანგარიშების წარდგენა იწარმოებს ყოველდღიურად. ამით შესაძლებელი გახდება სისტემატიურად მეთვალყურეობა შემნახველ სალაროების ქსელზე და აღნიშვნა იმისა, თუ სად უფრო სწრაფად ვითარდება ეს ქსელი და სად სუსტად. ამის მიხედვით, მთავარი ყურადღება მიექცევა იმ რაიონებს, ადგილი ექნება სალაროების ქსელის სუსტად განვითარებას.

შეღავათები სამხედრო მოსამსახურეებისათვის

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ჩაატარა გამოკვლევა იმისა, თუ რამდენად სრულდება ამიერ-კავკასიაში კოდექსა კანონებისა სამხედრო მოსამსახურეთა შეღავათების შესახებ; მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ გამოკვლევის მასალების გაცნობის შემდეგ აღნიშნა კანონის სუსტი პოპულარიზაცია გლეხთა ფართო მასებს შორის და სისტემატიური მეთვალყურეობის და კონტროლის უქონლობა მის შესრულებაზე, რისთვისაც აუცილებლად სცნო გამოცემული იქნეს ეროვნულ ენებზე კანონთა კრებული ყველა დამატებებით და განმარტებებით; კრებულები უნდა დაეგზავნოს ყველა სახალხო კომისარიატებს და ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს.

ამასთანავე საჭიროდ არის ცნობილი საბჭოების სამაზრო და სარაიონო ყრილობებზე და აგრეთვე სასოფლო კრებებზე სოფლის მეურნეობის და შრომითი მიწათსარგებლობის საკითხების განხილვის დროს განმარტებული იქნეს კანონთა კოდექსის ცალკე მუხლები, რომლებიც ეხება წითელ არმიელთა ოჯახების შეღავათებს.

კონტროლი კოდექსის შესრულებაზე უნდა დაეკისროს რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების საორგანიზაციო განყოფილებებს; თანამდებობის პირები, რომლებიც არ შეასრულებენ კოდექსს, მიცემული უნდა იქნენ პასუხისგებაში.

კოოპერაციის საპაიო კამპანია

ცეკავშირი შეუდგა საპაიო კამპანიის ჩატარებას მაზრებში და ავტონომიურ რესპუბლიკებში. საპაიო კამპანიის მიზანია შექმნას სამომხმარებლო კოოპერაციის საკუთარი საფინანსო ბაზა და მუშათა და გლეხთა დაქსაქსული საშუალებები გაატაროს სოციალისტურ კალაპოტში. კამპანიის ჩატარებაში მონაწილეობას იღებულობენ ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირი, პროფკავშირთა კულტგანყოფილებები, კოოპერაციის კულტკომისიები, პოლიტგანათლების ორგანოები, სახალხო განათლების სამაზრო განყოფილებები და სხ. კამპანია უკვე დაიწყო 1 აპრილიდან და დასრულდება მაისის 15-მდე.

კამპანიის ერთ-ერთი მიზანია აგრეთვე საპაიო გამოსაღების გადიდება. [illegible] საპაიო გადასახადი გადიდებულ იქნეს: ქალაქში 8 მან., სოფლად 6 მან. 50 კაპეიკამდე.

ცეკავშირმა გადასწყვიტა დააჯილდოოს ის კოოპერატივები, რომლებიც წარმატებით და ნაყოფიერად ჩაატარებენ კამპანიას.

კამპანიის საუკეთესოდ ჩამტარებელ კოოპერატივების დასაჯილდოებლად გამოყოფილია 3 ჯილდო:

1-ლ ხარისხის ჯილდო მიეცემა ქალაქის იმ კოოპერატივს, რომელიც თავის წევრთა შორის საპაიო გადასახადს აიყვანს 15 მანეთამდე; მეორე ხარისხის ჯილდო მიეცემა საპაიო გადასახადის 12 მანეთამდე აყვანისათვის და მესამე ხარისხის ჯილდო მიეცემა იმ კოოპერატივს, რომელიც საპაიო გადასახადს აიყვანს 10 მანეთამდე.

სოფლის იმ კოოპერატივებს, რომლებიც საპაიო გადასახადს აიყვანენ 10, 8 და 6 მანეთამდე, მიეცემათ პრემიები.

ქალაქში კოოპერატივს, რომელიც საპაიო გადასახადს გაადიდებს 15 მანეთამდე, 1-ლ ხარისხის ჯილდოს სახით მიეცემა 1500 მანეთი ფულად და [illegible] ფართალი ზედმეტად.

მე-2 ხარისხის ჯილდოებით დაჯილდოებულებს მიეცემათ—750 მანეთი ფულად და ნახევარი თვის ფართალის ნორმა ზედმეტად, ხოლო მე-3 ხარისხით დაჯილდოებულებს—500 მანეთი ფულად და ფართალის თვიური ნორმის მეოთხედი.

როგორ „მუშაობდა“ სახკინმრეწვი

(საქ. მუშ. და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევა)

სახკინმრეწვში არსებული უწესობების შესახებ საქართველოს მუშგლეხთა ინსპექციაში შემოსული მასალის შემოწმებამ გამოარკვია აშკარა უთავბოლობა, რომელიც გამოიხატება როგორც საქმისადმი მოუხერხებელ მიდგომაში, ისე ფართო ხელგაშლილობაში, რაც არ შეეფერება რეალურ სახსრებს (მოსკოველ რეჟისორთა ჯგუფების მოწვევა, კინო-ატელიეს აგება). გამოირკვა, რომ 1926 წლის 1 ოქტომბრიდან 1928 წლის 1 იანვრამდე სახკინმრეწვმა 160.000 მან. მაინც იზარალა, რომ არ ჩავთვალოთ 145.000 მან., რომელიც იზარალა სურათების გამოშვების შემდეგ 1925—26 წელს. განსაკუთრებით დიდია ციფრი (100.000 მანეთამდე), რომელიც დახარჯულია სცენარების შესყიდვაზე და გადაღების დამთავრებამდე მოხსნილ სურათების დადგმაზე; 30.000 მან. დახარჯულია ორ სურათზე, რომელსაც ეკრანამდე არ მიუღწევია, ხუთი სურათის ხარჯი აღემატა ხარჯთაღრიცხვას 31.000 მანეთით იყო შემთხვევები, როდესაც მსახიობები მოიწვიეს 1 ნახ. თვის წინად სურათის გადაღებამდე და გაუსწორდნენ მათ 5 კვირის შემდეგ და მთავრების დღიდან. გამოირკვეულია, რომ ზოგჯერ რეჟისორები, მსახიობებისა და მუდმივი მსახიობების მთელი ჯგუფები უსაქმოდ იყვნენ, მათ შორის ერთ მსახიობ ქალს, რომელიც 1 მაისიდან 1 ნოემბრამდე ადგილზე ითვლებოდა, მონაწილეობა არ მიუღია არც ერთი სურათის გადაღებაში, თუმცა 1.150 მანეთი კი მისცეს. გამოირკვეულია, სურათის გადაღების დამთავრების შეფერხება, 1 ნახ. თვით, რადგან დროინდაზ არ აუშენებიათ საჭირო პავილიონები („იბრაჰიმ და გოდერძი“), ამასთანავე მსახიობების ჯგუფს 5.000 მანეთი ზედმეტი მიეცა.

1927 წელს გამოშვებულ სურათებს შორის ბევრს გასავალი არ ჰქონია, მაგალითად „ამოკ“, „გოგოლი“ და სხვ., რაც, უეჭველია, ზარალს იძლეოდა, დირექტივა საადმინისტრაციო-სამეურნეო და საქარხნო ხარჯების 20 პროც. შემცირების შესახებ სრულიად არ შესრულებულა; სექტემბრის შტატთან შედარებით, ოქტომბრის შტატს 28 კაცი მოემატა, ამა წლის იანვარში დროებით მოემატა 16 კაცი. გამოირკვა, რომ სახკინმრეწვში არსებობს და ხელფასის ფარული ფორმა: ყოველთვიური პრემიალური ჰონორარი, დიდძალი ზედმეტი სამუშაო საათები, რამაც 1926—27 წელს 19.140 საათს მიაღწია; სწარმოებდა აგრეთვე კინო-სპეციალისტების გადაბირება, რაც ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირის შრომის კომისარიატისა და მუშგლეხთა ინსპექციის ცირკულიარს.

მუშგლეხთა ინსპექციამ დაადგინა მიცემულ იქნას პასუხისგებაში სახკინმრეწვის წინანდელი გამგეობა. გამომუშავებულია სათანადო ღონისძიებანი სახკინმრეწვის საქმიანობის გაჯანსაღებისათვის სახკინმრეწვს წინადადება მიეცა: არ შეუდგეს სურათების გადაღებას მანამდე, ვიდრე არ გამოირკვევა, მისაღებია თუ არა სცენარი; ზომები იქნას მიღებული, რომ რეჟისორებს და რეჟისორთა ჯგუფებს მუდმივი ნორმალური დატვირთვა ჰქონდეთ, მათი რიცხვი განისაზღვროს სახკინმრეწვის ნამდვილი საჭიროებით, დაუშვებელ იქნას ხელფასის სხვადასხვა ფარული სახით გადიდება (აპარატებისა და კოსტიუმების ამორტიზაცია) და სურათებისათვის პრემიების გაცემა მანამდე, ვიდრე რეჟისორები ფაქტიურად არ ჩააბარებენ სახკინმრეწვს და სხვ.

საზაფხულო კულტ-მუშაობა

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ შეადგინა საზაფხულო კულტმუშაობის გეგმა, რომლის თანახმად მუშათა კლუბებთან უნდა მოეწყოს კომისიები საზაფხულო მუშაობის გეგმების შესადგენად და დაწყებულ იქნეს წინასწარი მუშაობა საზაფხულო ბაღების გასახსნელად. ბაღების გახსნა უნდა მოხდეს არა უგვიანეს მაისის პირველისა.

მასიური საზაფხულო მუშაობის ფორმები აგებული უნდა იქნეს მასების საჭიროება-მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე; უმთავრესად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ზაფხულის პერიოდის გამოყენება მუშათა მასებისათვის დასვენებისა და გართობის უზრუნველსაყოფად.

პოლიტიკური კამპანიების რიცხვი საზაფხულო ბაღებში უნდა განისაზღვროს შემდეგით: „პირველი მაისი“ (სახალხო სეირნობის მოწყობა და საკლუბო წრეების გამოსვლა), „საბჭოთა კავშირის თავდაცვა“, „საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია“, „26 კომუნარების დახვრეტის ათი წლის თავი“ და „ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე“.

ზაფხულის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამხატვრო წრეების მუშაობას, გამოსვლებს საზაფხულო მოედნებზე, მასიურ სახალხო სეირნობის მოწყობას და სხ.

მხატვრულ გამოსვლებში კლუბის წევრთა მასიდან შეძლებისამებრ ჩაბმულ უნდა იქნენ სცენის და ესტრადის მოყვარე მუშები (სიმღერა სოლო, მხატვრული კითხვა, დეკლამაცია და სხვადასხვა ინსტრუმენტებზე დაკვრა).

საზაფხულო საკლუბო მუშაობაში ადგილობრივი პირობების მიხედვით გამოყენებული უნდა იქნეს სამხატვრო მუშაობის სხვადასხვა ფორმები როგორიცაა: ორკესტრებისა და მომღერალთა გუნდების გამოსვლა, ცოცხალი გაზეთი, ესტრადა, მხატვრული დადგმები და სხ.

ზაფხულის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამეცნიერო-საბუნებისმეტყველო წრეების დაარსებას, სამხატვრო-სათეატრო, ფოტო-კინოს, ფიზკულტურისა და ჭადრაკის წრეების მუშაობის გამოცოცხლებას. რაც შეეხება ფოტო-კინო წრეების მუშაობას იგი იმდენად უნდა განვითარდეს ზაფხულის განმავლობაში, რომ მათი საქმიანობა დაუკავშირდეს კინო-ეკრანების მუშაობას კლუბებში.

საკლუბო მუშაობის საზაფხულო ბაღებში გადატანასთან ერთად წარმოება-დაწესებულებათა კულტმუშაობა უნდა სწარმოებდეს ფაბრიკა-ქარხნების ეზოებში და მოედნებზე, სადაც მუშები ჩვეულებრივად ატარებენ თავის სუფალ დროს. სასადილო დასვენების დროს ზაფხულის განმავლობაში ფართედ უნდა იქნეს აგრეთვე გამოყენებული კულტმუშაობის ზოგიერთი ფორმები, როგორიცაა: რადიო, სამკითხველოს მუშაობა, ნარდი, თარის და ჩონგურის დამკვრელთა გამოსვლა და სხვა.

მევენახეობა გურიაში

უკანასკნელ წლებში გურიაში ფეხს იკიდებს მევენახეთა არტელები, რომლებიც მიზნად ისახავენ ვენახების გაშენებას ახალ სისტემით. არტელებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სოფ. დაბლა-ცინის გლეხების მევენახეთა არტელი, რომელმაც სხვა არტელებთან შედარებით, ძალიან გააფართოვა თავისი საქმიანობა. გასული წლის შემოდგომაზე არტელმა გადაბარუნა მიწის ნაჭერი—10.000 ძირი ვაზის, ხოლო მიმდინარე წლის გაზაფხულისათვის 100.000 ძირი ვაზის დასარგავულად. ირგვება უმთავრესად ამერიკულ ლერწზე დამყნილი ჯიშის ვაზები, რომელნიც გურიის ნიადაგისა და ჰავის პირობებს ეგუებიან. ამავე დროს არტელის მიერ დამუშავებულია მიწა ათი ათასი ძირი მანდარინის გასაშენებლად.

როგორც ამას წინად „სოფლის კავშირის“ მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ გამოარკვია, გასულ წელს არტელების მიერ გაშენებული ვენახები დააზარალა უწამლობამ (სხვადასხვა სოკოვანი წინააღმდეგ), რადგან მაზრაში არ მოიპოვებოდა გოგირდის და შაბიამნის საკმაო რაოდენობა, მიმდინარე წლისათვის ადრევე იქნა მიღებული ზომები მევენახეთა საჭიროების სრულ დასაკმაყოფილებლად ამ დარგში.

ფართალი

მიმდინარე წლის მესამე კვარტალში ამიერ-კავკასიაში ფართალი შემოზიდული იქნება 307 ვაგონის რაოდენობით. ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ ფართლის ეს რაოდენობა რესპუბლიკათა შორის განაწილებულია შემდეგნაირად: აზერბეიჯანს—136 ვაგონი, საქართველოს—122 ვაგონი და სომხეთს—42 ვაგონი, ხოლო დანარჩენი 7 ვაგონი შეადგენს სათადარიგო ფონდს. განაწილებულ ფართლიდან კოოპერაცია შემოზიდავს და გაასაღებს 240 ვაგონს, ხოლო 60 ვაგონს გაასაღებს დანარჩენი სახ. სავაჭრო ორგანიზაციები. ქალაქსა და სოფელს შორის ფართალი განაწილებული იქნება შემდეგნაირად: თბილისი, ბაქო და ერევანი მიიღებენ 114 ვაგონს, პროვინციებში კი განაწილებული იქნება 186 ვაგონი ფართალი.

კოოპერაციას დავალებული აქვს მის მიერ შემოზიდულ ფართლიდან 15 ვაგონი გაუგზავნოს მებამბეობის რაიონებს. აზერბეიჯანის მებამბეობისათვის გადადებულია 11.5 ვაგონი, სომხეთისათვის—2,5 ვაგონი და საქართველოსთვის 1 ვაგონი ფართალი.

საკურორტო სეზონის წინ

ზღვის სამკურნალო აბაზანები

ამ დღეებში დამთავრდება ბათუმის ზღვის აბაზანების კაპიტალური რემონტი და ბულვარის გაფართოება. გაფართოება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ აბაზანები საკმაოდ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, მიუხედავად იმისა, რომ შარშანდელ სეზონში, მაგალითად, აბაზანებში 20.000 კაცზე მეტმა გაიარა. წელს 5 ახალი დამატებითი აბაზანა იქნება გამართული, სამკურნალო ტალახის განყოფილებაში იქნება წყლის ონკანები. ეს განყოფილება შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად გაფართოვდა. თვითეული აბაზანა დღეში გაატარებს 360 კაცს. აბაზანების გახსნა განზრახულია შუა აპრილში (ადს).

მელიორაცია

სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაადგინა საქართველოში არსებული მელიორატიული ამხანაგობები ჩართულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქსელში.

ამ მიზნით საგეგმო კომისიამ თავის სასოფლო-სამეურნეო სექციას დაავალა შეიმუშაოს „სოფლის კავშირისა“ და საქ. წყალთა მეურნეობის შორის კოოპერატიულ-მელიორატიულ დარგში დამოკიდებულების ფორმები.

საქართველოში მელიორაციის საქმის გასაფართოებლად საგეგმო კომისიამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა სასოფლო-სამეურნეო ბანკის პროცენტული დანარიცხები მელიორატიულ სესხის ფონდიდან გასაცემ კრედიტზე შემცირებულ იქნეს 2 სამმეოთხედ პროცენტიდან სამმეოთხედ პროცენტამდე.

ფინსახკომს დაევალა „სოფლის კავშირთან“, საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან და სასოფლო-სამეურნეო ბანკთან ერთად შეიმუშაოს სამელიორაციო ამხ.-ბებზე კრედიტების გაცემის ახალი ცხრილი და პირობები.

განზრახულია წელს საქართველოში გაფართოებულ იქნეს მელიორაციის საქმე და სამელიორაციო ამხანაგობების ქსელი.

ამასთან ერთად განზრახულია სამელიორაციო საქმისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, თბილისში დაარსებულ იქნეს სამეცნიერო-სამელიორაციო ინსტიტუტი სათანადო ლაბორატორიებით და კაბინეტებით. ეს ინსტიტუტი საქართველოს გარდა, ხელმძღვანელობას გაუწევს სამელიორაციო მუშაობას ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებშიც.

პრაქტიკანტ-სტაჟიორების ფონდი

უმაღლეს ორგანოების დადგენილებით, სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ წარმოება-დაწესებულებებში შემოღებულია პრაქტიკანტ-სტაჟიორების განსაზღვრული რიცხვი. პრაქტიკანტ-სტაჟიორების შესანახად წარმოება-დაწესებულებებს განათლების სახალხო კომისარიატმა გაუხსნა სათანადო კრედიტი. დაწესებულებებს მიეცათ აღნიშნული ფონდით სარგებლობის ინსტრუქცია, რომლის თანახმად ამ ფონდიდან ხელფასი უნდა მიეცეთ მხოლოდ იმ პრაქტიკანტ-სტაჟიორებს, რომლებიც მივლინებული არიან წარმოება-დაწესებულებებში [illegible] ცენტრალურ ხაზინის მიერ. ხელფასი უნდა მიეცეს პრაქტიკანტ-სტაჟიორებს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებული რაოდენობით. წარმოება-დაწესებულებებს ეკრძალებათ უშუალოდ აყვანილ პრაქტიკანტ-სტაჟიორების ხელფასით დაკმაყოფილება აღნიშნულ ფონდიდან და ამ ფონდის სხვა მიზნებზე დახარჯვა. აღნიშნული ინსტრუქციის დარღვევა გამოიწვევს კრედიტის დახურვას დაწესებულებისათვის.

შაბიამნის განაწილება

გუშინ საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატში შესდგა მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის და „სოფლის კავშირის“ წარმომადგენლების თათბირი. ვაჭრობის კომისარიატის წარმომადგენლის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სამხედრო ქიმიური ტრესტი, რომელთანაც დადებულია ხელშეკრულება, შაბიამანს საქართველოს რაიონებს შორის ანაწილებს არა პროპორციულად; ზოგიერთ რაიონში შაბიამანი შეზიდულია გადაჭარბებული რაოდენობით, ხოლო ზოგიერთი რაიონი სრულიად უშაბიამნოდ არის დატოვებული. თათბირმა საჭიროდ სცნო მიღებულ იქნეს ზომები, რათა შაბიამანი რაიონებს გაუნაწილდეთ თანაბრად. [illegible] შეთანხმებით. ამ [illegible] დატვირთული ვაგონები დაკავებული სადგურ ნავთლუღში და გადაეცემა განაწილებლად „სოფლის კავშირს“.

სოფლის კავშირს გადაეცა აგრეთვე არტელ „ზლატუსტ“ განკარგულებაში არსებული ერთი ვაგონი და „თბილისის ვაჭრობის“ განკარგულებაში არსებული ორი ვაგონი შაბიამანი.

საქართველოს სახ. ვაჭრობას მიეცა წინადადება მის განკარგულებაში არსებული შაბიამანი დაუყოვნებლივ გადასცეს „სოფლის კავშირს“.

საქართველოს სახკომსაბჭომ სათანადო შუამდგომლობით მიმართა საკავშირო ორგანოებს, რათა დაჩქარებით იქნეს შემოზიდული შაბიამნის საჭირო რაოდენობა, ვინაიდან შაბიამნის დაგვიანება ძალიან დააზარალებს მევენახეობა მეღვინეობას.

ა-კ. კოოპ. კავშირში

რწმუნებულთა კრება

6 აპრილისათვის თბილისში მოწვეულია ა. კ. კოოპერატიულ კავშირის („ზაკსოიუზ“) რწმუნებულთა მესამე საერთო კრება.

დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: ა. კ. სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა 1926—27 წელში და 1927—28 წელში მუშაობის ამოცანები; საპაიო გადასახადების რაოდენობის შევსების შესახებ; საბჭოს, გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები; მიმდინარე საკითხები.

პურის მიწოდება მოსახლეობისათვის

ა. კ. კოოპერატიულმა კავშირმა მიმართა ა. კ. ყველა კოოპერატიულ ორგანიზაციებს ფხიზელი თვალყური ადევნონ იმას, რომ კოოპერაციის მიერ მოსახლეობისათვის პურის გაცემის დროს დაუშვებელია განსხვავება პაის მეპატრონეებსა და დანარჩენ მცხოვრებთა შორის. პური უნდა მიეცეს, როგორც კოოპერატივის წევრებს, ისე სხვა მოქალაქეებსაც ერთნაირ საფუძველზე.

ავიაქიმში

თოფების მიღება

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ მიიღო 552 „ტოზი“-ს, „ბეკო“-ს და მაუზერის სისტემის პატარა ყალიბის თოფი. თოფები ამ დღეებში განაწილებული იქნება თავდაცვაავიაქიმის, პროფსაბჭოს და ფიზკულტურის ორგანოებს შორის.

მიღება საავიაციო სკოლაში

მოკლე ხანში დაიწყება კანდიდატების გადარჩევა საავიაციო-თეორეტიულ და საავიაციო სამსახურის სკოლებში. საქართველოს ამ სკოლებში დათმობილი აქვს 8 ადგილი. მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ საქ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას.

სამაზრო კონფერენციები

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების სრულიად საქართველოს პირველ ყრილობამდის ჩატარებული იქნება საქალაქო და სამაზრო კონფერენციები. 4 აპრილს მოწვეულია ოზურგეთის სამაზრო კონფერენცია, 7 აპრილს გორის სამაზრო კონფერენცია, 8 აპრილს ფოთის საქალაქო კონფერენცია.

ავიაქიმის პრეზიდიუმში

საქ. თავდაცვა-ავიაქიმის პასუხისმგებელი მდივნის ამხ. გ. სირაძის გამგზავრების გამო მოსკოვში თავდაცვა-ავიაქიმის პლენუმზე დასასწრებლად, მის მოვალეობას დროებით ასრულებს ამხ. ა. წოლოსანი.

შახტის კონტრ-რევოლუციონერებს

სად მიწის წიაღს მადართ არღვევს:
ამოაქვთ კოქსი და ანტრაციტი,
მუშებს რომ შრომა სისხლს და ჯანს ართმევს
და გულში მაინც უფრინავთ ჩიტი;
სადაც საბჭოთა ქარხნებს ღვიძლად
მშრომელი ხალხი არ ზოგავს ძარღვებს,
თვით წუთიერიც არ არის მცალა,
მისდიონ ოჯახს, ცოლსა თუ ბალღებს;
იხრება წელში ოთხად თუ ხუთად
მდინარე დონზე წერაქვით ხელში,
მას ენატრება ჰაერი, სუფთა,
მაინც ხალისით მიძვრება ხვრელში;
სოციალისტურ სამშობლოს ვალი
შეგნებული აქვს, გულს უძევს მძიმედ,
და მომავლისკენ უპყრია თვალი,
სითაც იმედი სჩქეფს მოციმციმედ,—
აი, ამ ადგილს რა ძალით გასკდა
ეს ხვრელი, უცხო, ეს შავი ლარდო?
ან შიგ ეს ხროვა საიდან გაჩნდა,
რომ მოუწყვია ბუნაგი ფართო?
ეტყობა: გველმა მონახა ხვრელი,
მაგრამ შიგ რომ ზის, როგორც ბატკანი?
გულშია, გულში ეს ხალხი ჭრელი,
თუმც გარეთ მოსჩანს მოწითლო კანი!..
ეს კანიც თურმე შეღებილია,
ეს კანიც თურმე აქვს გველის ქერქათ
ხვრელშიც სხვა ხელით შედენილია
ჩვენს საზიანოთ და შესაფერხად!
მოსულა სით-ღაც ეს შავი ურდო,
აქ, შახტის გულში [illegible]
იმ თავიდანვე [illegible]
თან მოუყოლია ბევრი სამსალა...
და ახლა... ახლა აღშფოთდა გული!
ახლა სამსალამ ამოსწვა ღვიძლი
და ვიყავ ქვეყნად შერცხვენებული,
თუ მას იქიდან არ ამოვიღლი!
სად გაგონილა გული ელექტრო
უთმობდეს შავ-გულს, უნდოს და მზაკვარს!
ეჰ, შეაფასეთ თქვენ ცუდათ ეს დრო
და საზღაურსაც მიიღებთ სხვაგვარს!..
ბოროტმოქმედის და დამნაშავის
დასხედით სკამზე, როგორც ჯაშუში,
გედგმებათ მწვავედ საკითხი თავის,
თავ-გაჭეჭყილი ასპიტით გულში!
იქნება მკაცრი ეს საზღაური,
და როგორც მკაცრი, იმდენად მწვავე:
„წახდა წავიდა ზრახვა ზღვაური,
ზრახვა, უგნური და დამნაშავე“!..
ვერ ელირსებით ჩვენს ხარჯზე კომფორტს,
თქვენს აზრს გულისთვის რომ მიუცია,
მოკვდება ის და გაჰქრება, როგორც
უკანასკნელი კონტრ-რევოლუცია!..

ნ. ზომლეთელი.

ნ. ნიკოლაძის გარდაცვალების გამო

ცხედარის გადასვენება ხელოვანთა სასახლეში

გუშინ, საღამოს 7 საათზე, ნ. ნიკოლაძის ცხედარი საკუთარი ბინიდან გადასვენებულ იქნა ხელოვანთა სასახლეში. გადმოსვენებას დიდძალი ხალხი დაესწრო.

სამოქალაქო პანაშვიდის წინ სასახლეში განსვენებულის მოღვაწეობის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა დავით კლდიაშვილმა.

ცხედარი დაკრძალული იქნება მთაწმინდაზე

ცხედართან საპატიო ყარაულებათ იდგენ დამსახურებული მწერლები, რეჟისორები, მსახიობები და მხატვრები.

სიმებიანმა ორკესტრმა შესრულა სამგლოვიარო მარში.

დღეს, საღამოს 6 საათზე ხელოვანთა სასახლეში შესდგება დამკრძალავ კომიტეტის სხდომა, საღამოს შვიდ საათზე კი—სამოქალაქო პანაშვიდი.

გუშინ, ხელოვანთა სასახლეში შესდგა დამკრძალავი კომიტეტის სხდომა. სხდომაზე ვადაწყდა—ნ. ნიკოლაძის ცხედარი დაკრძალულ იქნეს ხუთშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე.

ცხედარი დაკრძალული იქნება მთაწმინდაზე.

სხდომამ საპროცესიო წესის შესამუშავებლად გამოყო კომისია შემდეგი შემადგენლობით: კ. მარჯანიშვილი, ტ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, ს. შანშიაშვილი და პ. კეშელავა.

ორგანიზაციებმა და კერძო პირებმა—რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ დაკრძალვაში სიტყვებით, ან სხვა სახით, უნდა მიმართონ დამკრძალავ კომისიის პრეზიდიუმს—ხელოვანთა სასახლეში 10—3 საათამდე.

გლეხის სახლში

გლეხის ცენტრალურ სახლში, გასული თვის განმავლობაში გაიარა—1453 გლეხმა და 97 ქალმა. აქედან ქართველი იყო—1.213 კაცი, რუსი—127, სომეხი—103, თათარი—48 და სხვა ეროვნება—59. ჩამოსული გლეხებში პირად საქმეზე ჩამოსულა 1.419 გლეხი, საექიმოდ—40, დელეგატებათ სხვადასხვა კონფერენციებზე—91 კაცი.

გლეხის სახლმა უფასო სადილები დაურიგა 300 გლეხს საექიმო დახმარება გაუწია—95 კაცს, ხოლო 44 გლეხი გადაგზავნილ იქნა ქალაქის საავადმყოფოებში. ამასთან ერთად გლეხის სასახლეში უფასო რჩევა-დარიგება და სას. სამეურნეო ბროშიურები მიეცა 1.550 კაცს. იურიდიული დახმარება—41 გლეხს. უფასო აბანო და დეზინფექცია მიიღო—1.114 გლეხმა.

გასულ თვეში ჩატარებულ იქნა 19 მოხსენება და ლექცია, რომელსაც დაესწრო 2.290 გლეხი. გაიმართა უფასოდ კინო-სურათების ჩვენება, რასაც დაესწრო 2.360 კაცი. რადიო-კონცერტები მოისმინა 2.475 გლეხმა. სამკითხველოთი ისარგებლა 858-მა. მოეწყო სამი ექსკურსია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 147 კაცმა. გლეხის სახლში ჩატარებულ წარმოდგენებს დაესწრო 465 გლეხი.

სასახლის ბაქში გაიარა 626 ურემმა, 55 ტაჩკამ და 1.615 ოთხფეხა საქონელმა.

საექსკურსიო-ტურისტული საზ-ის დაარსება

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ დაამტკიცა ექსკურსიების, მოგზაურობის და სამეცნიერო ექსპედიციების მომწყობ საქართველოს საზოგადოების წესდება, რომელიც წარდგენილი იყო პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს მიერ.

საზოგადოება მიზნათ ისახავს ხელსაყრელი პირობები შეუქმნას ექსკურსანტებს საქართველოში; მოაწყოს ექსკურსიები: საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიული, ისტორიულ-სოციალური, ეთნოგრაფიული და გამოკვლევით-ლაბორატორიული, და აგრეთვე ტურისტული მოგზაურობა და ალპიური მთასვლა; დახმარება გაუწიოს გლეხებს საბჭოთა კავშირის სამეურნეო და პოლიტიკურ მდგომარეობის და მშენებლობის ამოცანების გაცნობაში; გამოსცეს წიგნები და ბროშიურები, ალბომები, ცნობარები, გზის მაჩვენებელი წიგნები და სხვა; გახსნას სასტუმროები, სანატორიუმები, ბაგის აგარაკები, სახლები, ბარაქები და სხვა.

შინამრეწველობის გასაფართოებლად

ამიერ-კავკასიის შინამრეწველობისა და ხელოსნობის განვითარებისათვის, ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ წინადადება მისცა [illegible] რესპუბლიკანურ სახ. მეურ. [illegible] საბჭოებს წარადგინონ საგეგმო კომისიაში ვრცელი გეგმები შინამრეწველობის და ხელოსნობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად და ამავე დროს ის ღონისძიებები, რომელიც ამჟამად ტარდება ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების თანახმად შინამრეწველობის დარგში.

ამასთანავე ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატს წინადადება მიეცა შინამრეწველ ხელოსნებს და შინამრეწველობის კოოპერაციას მიაწოდოს ნედლი მასალა და ნახევარფაბრიკატები შეუფერხებლად.

ამავე კომისიამ დაადგინა შეიმუშაოს ფართო გეგმა შინამრეწველობის პროდუქტების ბაზრის გასაფართოებლად და მათი გასაღების უზრუნველსაყოფად. ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატს დაევალა გამოყოს ცალკე თანხები შინამრეწველობისათვის კრედიტების გასაცემად.

მდინარეები ადიდდნენ

თოვლის დნობა

თოვლის დნობის შესახებ რესპუბლიკაში, გეოფიზიკური ობსერვატორია აქვეყნებს შემდეგ ცნობებს: 2 აპრილს დილისათვის მაღლობ ადგილებზე მოვიდა თოვლი, ხოლო დაბლობ ადგილებში თოვლი შეცვალა წვიმამ. სურამის მაღლობელ რაიონებში დარჩენილი თოვლი მოსულმა წვიმამ გაადნო, რამაც ხელი შეუწყო მდინარეების ადიდებას.

აღმოსავლეთ საქართველოში მოვიდა წვიმა, ხოლო ბაკურიანის მაღლობებზე მოთოვა. [illegible]-წყაროზე თოვლის სისქემ მოიმატა 9 სანტიმეტრით. მდ. მტკვარის სათავეებში თოვლის დნობა ინტენსიურია. აბასთუმანში თოვლმა დაიკლო 30 სანტიმეტრამდე. ცხინვალის რაიონში თოვლის დნობას ხელი შეუწყო დიდმა წვიმამ. თოვლი სწრაფად დნება აგრეთვე ფასანაურის და თიანეთის რაიონებში.

ცნობები გორის მაზრიდან

წყალდიდობასთან მებრძოლმა რესპუბლიკანურმა სამეულმა გორის მაზრიდან მიიღო შემდეგი ცნობები: დიდმა და განუწყვეტელმა წვიმებმა გამოიწვიეს მდ. მეჯუდას და ტირიფონის ადიდება. ადიდდა აგრეთვე მდ. სურამულა. წყლით დაფარულია ხაშურის ნაწილი, ვალის უბანი და ქვედა ოსიაური.

აფხაზეთის მდინარეთა ნაპირების გამაგრება

წყალდიდობასთან ბრძოლის სამუშაოთა ინსპექტორები ამხ. ბერიძე და ინჟ. ჯაფარიძე სოხუმიდან იტყობინებიან, რომ მთელ აფხაზეთში დაწყებულია და სწრაფი ტემპით სწარმოებს მდინარეთა ნაპირების გამაგრება.

წყალდიდობა ხაშურში

გორი, 3 აპრილი. კოკისპირული წვიმის გამო ადიდდა მდინარე სურამულა. წყალმა დაფარა ხაშურის ნაწილი, ჩალისუბანი და სოფელი ქვემო-ოსიაური. ზარალი ირკვევა. (ადს).

გურიაში

წყალდიდობასთან მებრძოლ რესპუბლიკანურ სამეულში მიღებულია ცნობები გურიის მდინარეთა ნაპირების გასამაგრებელ სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ. ამჟამად დაწყებულია მდ. ბჟუჟის, ნატანების და სუფსის ნაპირების გამაგრება. სამუშაოები დასრულდება 10 აპრილისათვის.

მტკვარში წყალმა დაიკლო

წყალთა მეურნეობის სამმართველოს ჰიდრომეტრიული განყოფილების ცნობით გუშინ დღის 12 საათისათვის მდ. მტკვარში (თბილისის ფარგლებში) წყალმა დაიკლო 280 სანტიმეტრიდან 228 სანტიმეტრამდე.

ამავე დროს მიღებულია ცნობები, რომ 3 აპრილს, დილით ქალ. გორში მტკვრის დონე უდრიდა 135 სანტიმეტრს.

საგანგებო კომისიის გადაწყვეტილებანი

წყალდიდობასთან მებრძოლ ცენტრალურ საგანგებო კომისიის დადგენილებით, საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველომ ადგილებზე დაგზავნა სპეციალისტ-ტექნიკოსები მდინარეებისა და ხევების ნაპირების გასამაგრებელ სამუშაოთა სახელმძღვანელოდ. ტექნიკოსები უკვე გაიგზავნენ ბორჩალოსა და ზუგდიდის მაზრებში.

ამასთანავე საგანგებო კომისიამ დაადგინა, რომ ზოგიერთ განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფ ადგილებს მიეცეთ დამატებითი ფულადი დახმარება წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოთა დასაჩქარებლად.

საგანგებო კომისიის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება წინადადება მიეცეს გზა-ტკეცილების სამმართველოს, რომ მან დაჩქარებით ჩაატაროს მუშაობა ზოგიერთ შარა-გზების დასაცავად და ხიდების გასამაგრებლად. კერძოდ, გზატკეცილების სამმართველოს დაევალა ალაზნის ხიდის დასაცავ სამუშაოთა ჩატარება.

რკინის გზებზე

ბრძოლა მატარებლების დაგვიანებასთან

სახალხო მატარებლების დაგვიანებამ მთელ საბჭოთა კავშირის რკინისგზებზე სისტემატიური ხასიათი მიიღო. ამის მიზეზია უმთავრესად—ორთქლმავლების მოუმზადებლობა, მათი გაფუჭება გზაში, სვლის შენელება, გზის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა და სხვა.

მთავარი კი ის არის, რომ აქამდე არ ექცეოდა ჯეროვანი ყურადღება იმას, თუ როგორ დადიოდენ სახალხო მატარებლები.

ეხლა უკვე ექცევა ამას ყურადღება; გზათა კომისარის ამხ. ი. რუძუტაკის განკარგულებით საბჭოთა კავშირის ყველა რკინისგზებზე დაკვრითი წესით ჩატარდება სახალხო მატარებლების დაგვიანებასთან ბრძოლის კამპანია.

სახალხო მატარებლების დაგვიანებასთან ბრძოლა იწარმოებს აპრილ-მაისის პირველ ნახევარში ისე, რომ თვის ბოლოს ადგილი აღარ ექნეს მატარებლების დაგვიანებას. ამ კამპანიისათვის ხელმძღვანელობის გაწევა დაკისრებული აქვთ რკინისგზების გამგეობათა თავმჯდომარეებს.

ამხ. ი. რუძუტაკის ბრძანება

მატარებლების დაგვიანების ლიკვიდაციის შესახებ ამხ. ი. რუძუტაკის მიერ ტელეგრაფით გაცემულ განკარგულებაში ნათქვამია:

„კამპანიამ უნდა გამოააშკარაოს ყველა ორგანიზაციული დეფექტები მატარებლების მოძრაობაში და უნდა მოგვცეს ამომწურავი მითითებანი მატარებლების დაგვიანების ლიკვიდაციისათვის. იმ გზებზე, რომლებზედაც მატარებლების დაგვიანება და მისი გამომწვევი მიზეზები არ აღმოიფხვრება, წარმოებული იქნება განსაკუთრებული გამოკვლევა“.

ა.-კ. რკ. გზებზე კამპანია უკვე დაიწყო

სახალხო მატარებლების დაგვიანებასთან ბრძოლის კამპანია ა.-კ. რკინისგზებზე უკვე დაიწყო. გუშინდელიდან ყველა სახალხო მატარებლები იმყოფებიან განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ. მატარებლებს დაჰყვებიან გზის მმართველობის და უბნებზე მომუშავე უფროსი აგენტები.

მატარებლის ყოველი დაგვიანება მაშინვე იქნება გამოძიებული, და ამის მიხედვით გზის გამგეობა გაატარებს მატარებლის დაგვიანებასთან ბრძოლის ზომებს. დამნაშავენი მატარებლის დაგვიანებაში დაისჯებიან ადმინისტრატიული წესით.

ამხ. პოზდეევი კამპანიის მნიშვნელობის შესახებ

კამპანიის მნიშვნელობის შესახებ ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ვ. პოზდეევმა ჩვენს თანამშრომელს განუცხადა:

ამ კამპანიას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტისათვის. ამით აიხსნება, რომ იგი დაკვრითი ხასიათს ატარებს.

ა.-კ. რკინისგზებზე, რომლის გატარებითი უნარიანობა მეტად განსაზღვრულია და რომელიც ასრულებს მეტად საპასუხისმგებლო საქმეს—საექსპორტო ნავთის პროდუქტების გადაზიდვას, სახალხო მატარებლების ნორმალური და წესიერი მიმოსვლა ყველაზე უფრო საჭიროა, რადგან მათი დაგვიანება არღვევს საერთო მიმოსვლის ცხრილს და აფერხებს მოძრაობას; ამასთანავე ასეთი გარემოება არ იძლევა ორთქლმავლების სრულად გამოყენების საშუალებას.

ჩვენ უკვე შევუდექით კამპანიის ჩატარებას ინსტრუქტორთა და რევიზორთა აპარატების საშუალებით. მატარებლების დაგვიანების ყოველ მიზეზს გაუკეთდება დაწვრილებითი ანალიზი.

მატარებლების დაგვიანების ყველა ტექნიკური და ორგანიზაციული ხასიათის მიზეზები დაუყოვნებლივ იქნება დაძლეული ადმინისტრატიული წესით. რაც შეეხება აგენტების უყურადღებობას, ამის წინააღმდეგ მიღებული იქნება ადმინისტრატიული დასჯის ზომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

ამხ. ემელიანოვის ჩამოსვლა

სპარსეთიდან თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კონსული მაკუში, ამხ. ემელიანოვი.

10 პროცენტიანი სესხის მეხუთე ტირაჟი

20-დან—22 აპრილამდე ქალაქ ბაქოში ჩატარებული იქნება 1927 წლის 10 პროცენტიანი სესხის მეხუთე ტირაჟი, რომლის დროს გათამაშებული იქნება 4.001 მოგება 700.000 მანეთის რაოდენობით. მოგება განაწილებულია შემდეგნაირად: 1 მოგება—50.000 მანეთიანი, 2 მოგება—თითო 25.000 მანეთიანი, 5 მოგება—10.000 მანეთიანი, 10 მოგება — 5.000 მანეთიანი, 71 მოგება—1.000 მანეთიანი, 252 მოგება—250 მანეთიანი და 3.660 მოგება—100 მანეთიანი.

საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტის ლიკვიდაცია

თანახმად ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებისა, გაუქმებული უნდა იქნას შრომის სახ. კომისარიატთან არსებული საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტი. საქართველოს შრომის სახ. კომისარიატმა სახკომსაბჭოს წარუდგინა დადგენილების პროექტი საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტის ლიკვიდაციის შესახებ.

ნაცვლად საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტისა, საქართველოს შრომის სახ. კომისარიატის კოლეგიასთან არსდება მუშათა საბინაო მშენებლობის სექცია.

ქაღალდი

ქაღალდის შემოზიდვა-განაწილების მოწესრიგების მიზნით, საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატში შესდგა კოოპერატიულ ორგანიზაციათა, პოლიგრაფტრესტის და „ზუმტრესტი“-ს წარმომადგენელთა თათბირი.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ გასულ კვარტალში ქაღალდი შემოზიდულია 870 ტონის რაოდენობით, ე. ი. შემოსატანად განზრახული რაოდენობის 50 პროცენტი.

მესამე კვარტალში მთელს ამიერ-კავკასიაში შემოზიდული იქნება 524 ტონა ქაღალდი, აქედან საქართველო მიიღებს 60 პროცენტს (საბეჭდი ქაღალდი—104,4 ტონა და საწერი—210 ტონა).

ქაღალდის განაწილება ორგანიზაციებს შორის თათბირმა დაავალა საქართველოს ვაჭრობის სახ. კომისარიატს.

ორგანიზაციებს დაევალა ვაჭრობის სახ. კომისარიატში ცნობები წარადგინონ გასულ კვარტალში შეძენილ ქაღალდის რაოდენობის შესახებ სათანადო სპეციფიკაციით და აგრეთვე მოთხოვნილება ქაღალდზე მესამე და მეოთხე კვარტალში.

ტყეების მოწყობა

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილება ამ დღეებში მაზრებში აგზავნის ადგილობრივ მნიშვნელობის ტყის მომწყობ რაზმს.

რაზმი შესდგება 16 ტყის მომწყობისა და ტაქსატორისაგან.

პროფ. კახიანის ძეგლი

დღეს, საღამოს შვიდ საათზე, ანატომიურ ინსტიტუტის შენობაში, კამოს ქუჩა № 51 (ყოფილ დიდი მთავრის), შესდგება კრება თბილისში მყოფ ბაღდათის რაიონის მცხოვრებლებისა. დღის წესრიგში: პროფ. ნიკოლოზ კახიანის ძეგლის აგების შესახებ. დაინტერესებულ პირთ ვთხოვთ დაესწრონ კრებას. კრებას იწვევს ძეგლის ამგები კომიტეტი.

თბილისის აღმასკომში.

— „მოძრავი დუქანი“. თბ. აღმასკომის ჯანსაღ. განყოფილ. საკურორტო სექციამ შუამდგომლობა აღძრა მუშკოოპის წინაშე საავარაკო სეზონში აგარაკ კოჯორში მოაწყოს მოძრავი დუქანი.

— აგურის ქარხნების მუშაობის გასაფართოებლად დაარსდა სპეციალური კომისია, ამხ. ვ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით.

ჯანსახკომში

◆ საექიმო პუნქტი. სოფ. ცაიშში ჯანსახკომმა გახსნა საექიმო პუნქტი.

◆ სამალიარიო რაზმი. ჯანსახკომმა შეადგინა სამალიარიო რაზმი, რომელიც გაიგზავნება აღმოსავლეთ საქართველოში სამუშაოთ.

საგეგმო კომისიაში

◆ სტიქიურ უბედურებისაგან დაზარალებულთათვის დახმარების გასაწევად. საგეგმო კომისიამ დაადგინა გადადებულ იქნეს 250 ათ. მანეთი.

◆ ნათესების დაზღვევა. საგეგმო კომისიამ შეიმუშავა ნათესების მოსავლიანობის დაზღვევის პროექტი.

◆ კანალიზაცია ბათომში. საგეგმო კომისიამ დაამტკიცა ბათომში კანალიზაციის მოწყობის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა.

◆ რესპუბლიკანურ კომუნალურ ბანკის ძირითადი თანხების გასადიდებლად, საგეგმო კომისიამ დაადგინა საკავშირო თანხებიდან გამოთხოვილი იქნეს 1.500.000 მ.

სხვადასხვა

◆ გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა. განათლების კომისარიატმა შორაპნის მაზრაში გახსნა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა.

◆ ჩაუბარებელი დეპეშები. ქუთაისიდან—სანებლიძეს, ალატირიანიდან —ეშკაძეს; გორიდან—ონიკაშვილს; ბაქოდან—ნაკაიძეს; ქუთაისიდან—ტოგონაძეს; გომბორიდან—ბახმალის, ქუთაისიდან —ბარამიძეს.

ფეხბურთი

პირველი შეჯიბრი მოსკოვის „დინამოს“-თან გაიმართება შაბათს, 7 აპრილს. სტუმრებთან თამაშობს „დინამო—ბ“. მეორე მატჩში მოსკოველების წინააღმდეგ გამოვა „არსრაიონი“, მატჩი გაიმართება კვირას, 8 აპრილს. მესამე შეჯიბრს ჩაატარებენ „გემო-კვების მუშაკები“, ხოლო მეოთხეს „დინამო-პირველი“.

ყველა შეჯიბრება გაიმართება „დინამო“-ს სტადიონზე.

ხელოვნება

თბილისის სახელმწიფო მეორე სამუსიკო მუშათა ფაკულტეტში

კვირას აპრილის 1-ლს, მე2 სამუსიკო მუშფაკმა თავისი მუშაობის ფართო მასასთან გასაცნობათ, მოაწყო მოწაფეთა დილა.

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვნახეთ ამ დილაზე ის პირები, რომელთა კომპეტენციაშიც შედის ასეთ მაჩვენებელ და სანიმუშო გამოსვლებზე აუცილებელი დასწრება. მე-2 სამუსიკო მუშფაკის მუშაობასთან და ყოფა-ცხოვრებასთან გაცნობა სტოვებს ისეთ ღრმა შთაბეჭდილებას რომელსაც ვერ შეედრება ვერავითარი სხვა, მიღებული სხვა პირობებში. უპირველესად აღსანიშნავია, რომ მოწაფეთა შემადგენლობა მუშურ-გლეხურია და ატარებს ამ სოციალურ ფენების ყველა შესანიშნავ თვისებებს. აქ მუსიკას სწავლობენ არა გასართობად, არა ვიწრო პროფესიონალურ მიზნებით, არამედ იმიტომ, რომ მუსიკაში და ხელოვნებაში ხედავენ ცხოვრების და აზროვნების გამამშვენიერებელ ცოცხალ წყაროს. აქ ხელოვნებას უფრთხილდებიან და ყოველ მცირე-წლოვან მოწაფესაც კი აქვს სრული შეგნება თვითეული სავარჯიშო საათის მნიშვნელობისა. ამიტომ მოწაფე მთელი საათობით გულმოდგინეთ და ყოველდღიურად ელოდება თავის რიგს დასაკრავ ინსტრუმენტზე, ვინაიდან მის ოჯახში ეს ინსტრუმენტი არ მოიპოვება. მუშფაკი კი იმდენად ღარიბად არის მოწყობილი ამ ინსტრუმენტებით, რომ ასეთ ლოდინში მოწაფეებს ეკარგებათ მრავალი დრო; ის ინსტრუმენტები, რომელნიც მუშფაკში მოიპოვება იმდენად დაბალხარისხოვანია, რომ მათ მიერ წარმოშობილ ბგერათა ცუდი და უსუფთაო ელფერი აფერხებს მოწაფეთა მუსიკალურ გემოვნების განმტკიცებას. მიუხედავად ამისა, მუშფაკში თავმოყრილნი არიან უტყუარ ნიჭის მატარებელი მოწაფენი. მოწაფეებში იმდენად ძლიერია მისწრაფება მუსიკისადმი, რომ ჩვენი ღრმა რწმენით, მხოლოდ ამ ტიპის სკოლებიდან უნდა ველოდოთ ჩვენი მუსიკის განახლებას, გაჯანსაღებას და ნამდვილ ნიჭიერებით სავსე მუსიკოსების წარმოშობას.

როიალზე მოსწავლენი: ა. ავეტიკიან და ნ. კონტრიძე (კლ. ასლამაზოვისა), ე. ბურდული და ელექტრო მანტიორი ვ. კაციტაძე (კლ. კალანტაროვასი), ნ. თოფურიძე (კლ. ამილახვარისა) და ვიოლინოზე მოსწავლე: ნ. ნაზიკინი (კლ. ხიზანაშვილისა), იჩენენ როგორც უტყუარ ნიჭიერებას, ისე მისწრაფებას სერიოზულ მუშაობისაკენ. განსაკუთრებულ იზიდავს ყურადღებას როგორც თავისი ნიჭიერებით და ინტუიტიური თავისებურობით, ისე უეჭვო ნაყოფიერებით მომავალში (თუ მიეცემათ საჭირო გზა და საშუალება) შ. მეტივიშვილი, ზაზორსკაია, ფ. კვირიკაძე (როიალის კლ. მ. ანდრიანოვისა) და რ. ბარნაბიშვილი— (ვიოლონჩელოს კლასი. გ. თაქთაქიშვილისა).

განსაკუთრებით განირჩევა მუშფაკში თავისი იშვიათი ნიჭიერებით 8 წლის ბავში, მუშა გოგოლაშვილის ქალიშვილი, რომელშიც ჩანერგილია ბგერათა შესანიშნავი ბუნებრივი შეგნება, იშვიათი ხსოვნა და მხატვრული კულტურა. მხოლოდ ექვსი თვეა, რაც ამ ბავშმა დაიწყო მეცადინეობა როიალზე მუშფაკში გამოცდილ მასწავლებლის მ. ანდრიანოვიის ხელმძღვანელობით და ამ მოკლე ხნის განმავლობაში, როგორც ტეხნიკურ ვარჯიშობაში, ისე მუსიკალურ გემოვნების განმტკიცებაში, იმდენად დაწინაურდა, რომ მისი დაკვრა უკვე ქმნის ნამდვილ მხატვრულ შთაბეჭდილებას. განათლების სახალხო კომისარიატმა უნდა მიაქციოს ამ ნიჭიერ ბავშს სათანადო ყურადღება, რათა ხელი შეუწყოს მისი ნიჭის გადაშლას და განვითარებას.

მუშფაკის პედაგოგიური მუშაობა უნდა ჩაითვალოს სავსებით გამართლებულად. დასასრულ ვურჩევთ მუშფაკის გამგეობას მეტი ყურადღება მიაქციოს მოწაფეებში პოლიფონიურ გრძნობის განვითარებას, ბახის თხზულებათა შესწავლის საშუალებით.

კოტე მეღვინეთ-უხუცესი.

კინო

სურათი „ცხოვრების სიმართლე“
საზოგადოებრივი განხილვა

კვირას 1-ლ აპრილს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ ორჯონიკიძის სახელობის კლუბში მოაწყო მეცნიერული კულტფილმის „ცხოვრების სიმართლე“-ს საზოგადოებრივი განხილვა. სამეცნიერო კულტურულ ფილმის „აბორტი“-ს შემდეგ ეს მეორე კულტფილმია საბჭოთა რუსეთის ჯანმრთელობის სახკომისარიატის ხელმძღვანელობით გამოცემული, რომელიც მიზნად ისახავს სოციალური სნეულების—სიფილისის შესახებ მეცნიერული ცოდნის და მის წინააღმდეგ სამკურნალო ღონისძიებათა პოპულარიზაციას ფართო მასებში.

სურათის მოკლე შინაარსი ასეთია: სტამბის ორი მუშა ცოლშვილიანი ტერენტიევი (რომელსაც ოჯახი სოფელში ჰყავს) და მეორე პეტროვი (უცოლშვილო) ერთ შაბათ საღამოს „დროს გასატარებლად“ მიდიან სიფილისით დაავადებულ მეძავ ქალ კატიასთან. ორივე მუშა სიფილისით ავადმყოფდება; იწყება ორი პარალელური დრამა. უცოლო პეტროვი იძულებულია უარი უთხრას საცოლოს და მკურნალობა დაიწყოს ამბულატორიაში. სოფლელი მუშა ტერენტიევი ყურადღებას არ აქცევს ავადმყოფობას და სადღესასწაულოდ მიემგზავრება სოფელში. იქ იგი ამ სენს მოსდებს მთელ თავის მრავალრიცხოვან ოჯახს. როცა ავადმყოფობა მწვავდება, სამკურნალოდ მიმართავენ ექიმბაშს, რომელიც მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს. ქალაქელი პეტროვი განაგრძობს მკურნალობას და მოკლე ხანში იმდენად განიკურნება, რომ ცოლის თხოვის ნებართვას ღებულობს. ერთი წლის შემდეგ შეეძინება შვილი, რომელიც სავსებით ჯანსაღი გამოდის. ამავე დროს ტერენტიევის ოჯახი სულ დაღუპვის გზაზეა დამდგარი. გარდა იმისა, რომ ავადმყოფობით შეპყრობილნი არიან დედმამა - ცოლშვილი, ებადებათ ნახევრად ცოცხალ - მკვდარი ბავშვი. განსაცდელში ჩავარდნილ ოჯახის ერთადერთი ნუგეში არის ის ვენეროლოგიური ექსპედიცია, რომელიც ამ დროისთვის უკვე ტერენტიევის სოფელში არის მოსული და იწყებს მუშაობას.

სურათმა მრავალრიცხოვან მუშათა საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია. მთელი ორი საათის განმავლობაში საზოგადოება შეუნელებელი ინტერესით და აღელვებით ადევნებდა თვალს მოქმედების განვითარებას.

შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ექიმებმა და მუშებმა. ორატორები აღნიშნავდენ ამ კულტფილმის დიდ მნიშვნელობას და მოითხოვდენ მის ფართო ექსპლოატაციას. ამავე დროს ორატორები ხაზს უსვამდენ ფილმის შემდეგ ნაკლულოვანებებს: ცუდ განათებას, რის გამოც ბევრი ადგილი გაურკვეველი რჩება; ფილმის გაჭიანურებას, რაც შეუძლებელს ხდის ფილმისთვის ლექციის წამძღვარებას და სხვა. შემდეგ ორატორები მიზანშეწონილად სცნობდენ, რომ ფიზკულტურა, რომელსაც ფილმში შემთხვევითი ხასიათი აქვს, დაპირდაპირებული იყოს ისეთ ხასიათის დროს გატარებასთან, რომელიც მუშათა ჯანმრთელობას ხიფათში აგდებს. ორატორთა აზრით, სურათის ნაკლია აგრეთვე ის, რომ არ არის ხაზგასმული ბრძოლა პროსტიტუციის წინააღმდეგ; ავადმყოფ კატიასადმი უყურადღებობა, დაუშვებელია. სურათის დადებით მხარეებათ მუშებს მიაჩნიათ მრავალი სტატისტიკური ცნობები სიფილისის გავრცელების შესახებ და მრავალ თვალსაჩინო სანიტარულ-ჰიგიენურ რჩევა-დარიგებათა და ღონისძიებათა დემონსტრაცია.

რ—ი.

თბილისის საბჭოს საანგარიშო კამპანია

მუშა - მოსამსახურეთა კრებები მესამე რაიონში

თბილისის საბჭოს საანგარიშო კამპანიის ჩამტარებელი მე-3-მე რაიონული კომისია იტყობინება, რომ მესამე რაიონის წარმოება-დაწესებულებებში თბილისის საბჭოს საანგარიშო კამპანიის ჩასატარებლად ამომრჩეველთა კრებები შესდგება შემდეგ დღეებში:

მე-2-რე ზეთსახდელი ქარხანა—5 აპრილს, დღის 3 ნახ. საათზე ქარხნის შენობაში; **სამხედრო წისქვილი**—5 აპრილს, დღის 3 ნახევარ საათზე წისქვილის შენობაში; **შტატგარეშე ტრანსპორტი**—6 აპრილს, საღამოს 6 საათზე — ადგილობრივად; **რადიო სადგური**—6 აპრილს, საღამოს 6 საათზე—რადიო კვანძი; **აბანოები და ტალახით სამკურნალო**—8 აპრილს, საღამოს 6 საათზე—ადგილობრივად; **მებაღეები**—8 აპრილს, საღამოს 6 საათზე—ქალაქის აღმასკომის მამულში — ორთაჭალაში; **მტვირთავები**—8 აპრილს, საღამოს 6 საათზე—ტყავზე მომუშავეთა წითელ კუთხეში; **სამთო-ტრესტი**—9 აპრილს, საღამოს 6 საათზე — ადგილობრივად; **ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტი**—9 აპრილს, საღამოს 6 საათზე—ადგილობრივად; **მაკარონის ფაბრიკა**—9 აპრილს, დღის 3 ნახ. საათზე—ადგილობრივად; **სასაკლაო**—10 აპრილს, დღის 3 ნახ. საათზე—ადგილობრივად; **„ტექსტილტორგი“ და „არმენტორგი“**—11 აპრილს, საღამოს 6 საათზე შუა ბაზარი № 62; **სახაზინო სახლი**—11 აპრილს, დღის 3 ნახ. საათზე—ადგილობრივად; **ჯაგრის ფაბრიკა**—11 აპრილს, დღის 3 საათზე—ადგილობრივად; **გემო-კვების მუშაკები, გამსახლების მუშა-მოსამსახურენი, მედუდუკენი**—11 აპრილს, საღამოს 6 საათზე—მშენებელთა კლუბში; **პირველი ტყავის ქარხანა და ფეხსაცმელების ფაბრიკა**—12 აპრილს, დღის 3 ნახ. საათზე ტყავტრესტის კლუბში; **ტრიკოტაჟის ფაბრიკა და კოლექტივი „ფეხსაცმელი“**—12 აპრილს, დღის 4 საათზე—ადგილობრივად; **ამ.-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატი**—12 აპრილს, საღამოს 6 საათზე—ადგილობრივად; **ტყავზე მომუშავენი და მეეზოვენი**—12 აპრილს, საღამოს 6 საათზე—ტყავზე მომუშავეთა წითელ კუთხეში; **საპნის ტრესტი, „ზოლოტოგორსკის“ ფაბრიკა**—17 აპრილს, დღის 3 ნახ. საათზე—საპნის ტრესტის შენობაში; **პირველი ქალაქის საავადმყოფო და აფთიაქები**—18 აპრილს, დღის 4 საათზე—ადგილობრივად; **სადგ. ნავთლუღი და საბარგო სადგური**—19 აპრილს, საღამოს 6 საათზე. სად. ნავთლუღის კლუბში; **მზიდავები**—18 აპრილს, საღამოს 6 საათზე—ტყავზე მომუშავეთა წითელ კუთხეში; **ქალთა საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებელი, ფაბრიკა „მკერავი“**—19 აპრილს, დღის 3 ნახ. საათზე—„მკერავის“ შენობაში; **თურქი ქალები**—19 აპრილს, დღის 3 ნახ. საათზე—თურქ ქალთა კლუბში; **მშენებლები**—20 აპრილს, საღამოს 6 საათზე—მშენებელთა კლუბში; **8 მარტის სახელობის სახელოსნო**—20 აპრილს, დღის 3 საათზე—ადგილობრივად; **ცენტრალური გამსახლი და საავადმყოფო**—20 აპრილს, დღის 3 საათზე—ადგილობრივად, **აგურის ქარხანა**—20 აპრილს დღის 3 ნახ. საათზე—ადგილობრივად; **მე-3-მე რაიონის განათლების მუშაკები**—21 აპრილს, დღის 2 საათზე. მშენებელთა კლუბში; **სახალხო კვების კავშირი თურქული დრამა და ბოტანიკური ბაღი**—7 აპრილს, საღამოს 6 საათზე—ნარიმანოვის სახ. კლუბში.

ბიბლიოგრაფია

Е. ШИРВИНДТ И Б. УТЕВСКИЙ.
«СОВЕТСКОЕ ПЕНИТЕНЦИАРНОЕ ПРАВО».

1927 წ. გვ. 278, ფასი 3 მან. 75 კაპ.

დანაშაულს და მასთან ბრძოლის საშუალებებს სახელმწიფოთა არსებობის პირობებში არა თუ იმ სახით ყოველთვის ექცეოდა ყურადღება, მაგრამ ამ საშუალებათა ერთი მხარის, საპატიმროების შედარებით ჰუმანიურ და რაციონალურ ნიადაგზე დაყენებისათვის ზრუნვა დაიწყო მხოლოდ მე-18-ე საუკ. დამლევს როდესაც გამოქვეყნდა პირველი შრომები ჯონ გოვარდის და იერემია ბენტამის. აღნიშნულ ხანიდან დაწყებული, კულტურულად და წინაურებულ ქვეყნებში—განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში და ევროპაში პენიტენციარულ საკითხების გარშემო გამოიცა უამრავი წიგნები, სხვადასხვა დროს მოწვეულ იქნა პენიტენციარული კონგრესები, მაგრამ მიუხედავად ამისა კაპიტალისტურ ქვეყნებში ეს საკითხი დღემდე პრობლემატიურ გარემოებად არის მიჩნეული—გაბატონებული კლასები პენიტენციარულ საქმიანობიდან ვერ ღებულობს იმ შედეგებს, რაც მათთვის არის სასარგებლო და შესაფერისი.

საინტერესო წიგნის ავტორები ამ მოვლენის თავდაპირველად ხსნიან კაპიტალისტური სახელმწიფოების თავისებური ბუნებით და მეორეთ, წარმოებული პენიტენციარული პოლიტიკის, მეტაფიზიკური ფილოსოფიის დებულებების ზეგავლენით შექმნილ, სხვადასხვა თეორიების გავლენის ქვეშ ყოფნით. ნაშრომის თავისებურება გამოიხატება მასში, რომ პრობლემების გადასაჭრელად საბჭოთა კავშირში სერიოზულად თითქმის პირველად არის გამოყენებული მეთოდი მარქსისტული, თავიდან ბოლომდე პენიტენციარული სისტემათა დახასიათებისა და განსაზღვრის დროს გამოსავალ წერტილად მიჩნეულია კლასიური კრიტერიუმი, რაც ავტორთ აძლევს საშუალებას სწორი დასკვნების გამოყვანისას.

წიგნის საერთო ნაწილში, მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ არის განხილული პენიტენციარულ დარგში არსებული პენსილვანიის, რეფორმატორიების, ობერნის, ბორსტალის, გადასახლების, პროგრესიულის და სხვათა სისტემები, თვითეული მათგანის ისტორიული ვითარების აღნიშვნით, დაკავშირებით ამერიკის და ევროპის სახელმწიფოებში საქმის დაყენებასთან, რომლის შემდეგ უკვე იწყება საბჭოთა მოქმედი პენიტენციარული სამართლის საფუძვლიანი გარჩევა, უმთავრესად რუსეთის, უკრაინის შრომა გასწორების კოდექსებისა და სხვადასხვა დროს გამოცემული დეკრეტებისა და ინსტრუქციების მიხედვით, გარკვეულია საპატიმრო ადგილებში არსებული რეჟიმი, ორგანიზაცია, პატიმართა უფლებრივი მდგომარეობა, საპატიმრო ადგილების ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები და დამატებით სხვა პენიტენციარული ტეხნიკა. ავტორთა აზრით საბჭოთა პენიტენციარული პოლიტიკის უმთავრესი მიზანი არის საპატიმროებში შემოღებული პროგრესიულ სისტემაზე დამყარებით, შრომისა და კულტურულ საგანმანათლებლო მუშაობით და მნაშავეთა გამოსწორება, მათი სოციალურ ცხოვრებაში სწორ გზაზე დასაყენებლად,—დროისა და პირობების მიხედვით შესაძლებელია ამოცანად იქნეს დასახული საერთო პრევენცია, მაგრამ თანამედროვე მდგომარეობაში როდესაც სწარმოებს ზრდა სოციალისტური აღმშენებლობისა უპირატესობა ეძლევა ყოველ მხრივათ სპეციალ პრევენციას.

წიგნში გამოთქმულია ისეთი შეხედულებებიც, რომელსაც მკითხველმა უეჭველად კრიტიკულად უნდა მოეპყრას, ასე მაგალითად: ავტორნი იმ აზრის არიან თითქოს საბჭოთა კავშირში არსებობდეს შედარებით განუსაზღვრელი განაჩენი ვადამდე პირობით განთავისუფლების ინსტიტუტის სახით, რაშიაც არ შეიძლება დაეთანხმოთ. მართალია თავისი პრაქტიკული ეფექტით უკანასკნელი უახლოვდება პირველს, მაგრამ მათ შორის ცხადი განსხვავებაა, ვადამდე პირობით განთავისუფლების საკითხის განხილვაში, განაჩენი დამოუკიდებლად კანონით განსაზღვრული ვადის განვლის შემდეგ შედის გამწესრიგებელი კომისია.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საბიბლიოგრაფიო წიგნი საყურადღებოა არა მარტო იურისტებისა და კერძოდ პენიტენციარულ დარგში მომუშავე პირთათვის არამედ ფართო საზოგადოებისათვისაც.

პ. ურჯუმაიშვილი.

სასამართლო

„გავლენიანი კაცი“

— სად ვიყავით აქამდე? თურმე დათიკო სირაძეს ისეთი ხელები იცნობს, რომ ერთი გადალაპარაკება საკმარისია, სულ ყველა სამსახურში მოეწყობით.

— რომელი დათიკო? იაკობას ვაჟი?

— ჰო! იაკობას დათიკო.. თურმე ყოველ დღე მასთან მიდიან ინჟინერები, პასუხისმგებელი მუშაკები.- თითონაც დიდ „პატივში“ ყოფილა!..

— ა ბიჭო, გააკეთე საქმე... შენ კარგად იცნობ.

— მართალია, ვიცნობ. მაგრამ ხომ იცი ჩვენმა კაცმა თუ მაღალ წრეებში შეჰყო ცხვირი, ისე გადიდკაცდება, რომ სალამი დაეზარება... ისე, ყოველ შემთხვევაში ვეცდები თქვენთვისაც... ჯერ ჩემთვის ვცდი.

გალაქტიონ წიქარიძემ „სცადა“ და მივიდა დავით სირაძესთან, რომელმაც ხმა დაყარა პატრიკეთში, რომ „თუ მოინდომა“ ყველას მოაწყობს სამსახურში.

— ალსტაფაში წახვალ? მართალია, ცოტა ხნით დეპოში მოგიწევს შავ მუშად დარჩენა. მაგრამ მალე „დაგაწინაურებთ“. ჯამაგირიც კარგი გექნება თავიდანვე,—წარბშეუხრელად ლაპარაკობს სირაძე, რომ დასტოვოს „გავლენიანი პირის“ შთაბეჭდილება.

— ოღონდ სადმე ფეხი მომაკიდებინე, ოღონდ ჩამრიცხე სამსახურში და ჩემთვის სულ ერთია ალსტაფაში კი არა ციმბირში წამიყვანე,—ეუბნება ახალგაზრდა გლეხი წიქარიძე.

— თუ ასეა საქმე, თუ ასე გსურს მოიწყო სამსახურში, მე ჩემს ჯაფას არ დავიშურებ, მხოლოდ თორმეტი თუმანი...

— რაო? თორმეტი თუმანი?

— თორმეტი თუმანი საჭიროა „საქმის მოსაწყობად“... თუ ვინმე არ მოექრთამე, ისე საქმე არ გაკეთდება. შენს ამხანაგს ჰკითხე! მან გუშინ მომიტანა თორმეტი თუმანი და საქმე უკვე გაუკეთე. ხვალ თუ ზეგ ის მიმყავს ალსტაფაში, თუ მანამდე მოასწრებ, შენც მასთან ერთად წაგიყვან და მოგაწყობ..

წიქარიძე გაიქცა. ჩამოისესხა ნაცნობ-მეგობრებში 60 მანეთი და მიუტანა „პროტექტორს“.

— ეს ცოტაა, მოიღუშნა სირაძე.

— მეტი ახლა ვერ ვიშოვე, ხვალ დანარჩენს სადმე მოვახერხებ, უპასუხებს წიქარიძე.

ავად იყო თუ კარგად სირაძემ დაუნიშნა წიქარიძეს ალსტაფაში გამგზავრების დღე, რომლისთვისაც ის უნდა მომზადებულიყო.

დანიშნულ დღეს სამგზავროდ გამზადებული წიქარიძე მიადგა სირაძის კარებს თავისი ბარგი-ბარხანით.

— მობრძანდი... მობრძანდი... დღეს ჩვენ ვერ წავალთ.. ახლა ჩემთან იყო ინჟენერი, რომელიც მასალების შესაძენად წავიდა, ქალაქ...—სირაძემ დაასახელა შორეული ქალაქი. ის ამ დღეებში გამოივლის და ერთად წავალთ.

წიქარიძე უცდიდა „ინჟენერს“. გავიდა ერთი კვირა, გავიდა მეორე... ერთი თვე... სად არის ინჟენერი?

წიქარიძემ მიაკითხა თავის ამხანაგს, რომელსაც, როგორც „პროტექტორმა“ სთქვა, 120 მანეთი ჰქონდა გადახდილი სამსახურის „ანგარიშში“ სირაძისთვის..

— ხომ არ გაგიჟდი! სირაძეს რამეში ვენდობი? ერთი კაპეიკი არც მიმიცია და არც მივცემ. „კოჭებში“ ეტყობა, რაც კაცია!

ჩაფიქრდა წიქარიძე. „ინჟინრის“ დაგვიანებამ სულ უფრო გაუძლიერა ეჭვები. როცა საშველი არ დაადგა ალსტაფაში წასვლას, წიქარიძემ უკანვე მოითხოვა თავისი ფული.

— დეპეშა მივიღე, ინჟინერი მოდის. ამ საღამოს გავემგზავრებით... სთქვა მორიგი ტყუილი სირაძემ.

კიდევ მივიდა წიქარიძე მომზადებული ალსტაფაში გასამგზავრებლად, მაგრამ „გზა გაფუჭდა“ და ინჟინერს „დააგვიანდა“, რის გამო გადადეს წასვლა.

წიქარიძე დარწმუნდა, რაშიაც იყო საქმე. აღძრა საჩივარი სასამართლოს წინაშე.

— შვილო ივარა, სთქვი, რომ არაფერი არ მიგილია, წიქარიძისაგან, შეგრჩება ფული,—დაარიგა შვილი მამამ.

სირაძემაც ივარა, მაგრამ სასამართლოს აღმოჩნდა საბუთები მოწმეთა ჩვენების სახით.

დავით სირაძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით. მანვე უნდა გადაუხადოს წიქარიძეს 60 მანეთი, რომელიც სამსახურის დაპირებით გამოსტყუა მას.

მამიდაშვილების „ბრძოლა“

შალვა შარმიაშვილი და ალექსანდრე ხუციშვილი მამიდაშვილები არიან. ხშირად ერთად იყვნენ და ახლაც ერთად არიან გამსახლში, საიდანაც ერთ და იმავე დროს გამოვლენ.

მამიდაშვილებს ღვინო უყვარდათ, მხოლოდ ღვინის სმის დროს ჩხუბიც იცოდნენ.

ამ რამოდენიმე დღის წინ მამიდაშვილებმა სამი ამხანაგი დაპატიჟეს და რესტორანში სუფრა გაუშალეს.

დაითვრენ მამიდაშვილები და ერთმანეთს დაუწყეს კინკლაობა. კინკლაობას მოჰყვა გინება და გაწევ-გამოწევა.

— აქ საჩხუბარი ადგილი არ არის, თუ ერთმანეთთან რამე გასასწორებელი გაქვთ, მიბრძანდით გარეთ, აქ ჩხუბი არ შეიძლება...

მამიდაშვილებმა მართლაც დაიჯერეს რესტორანის პატრონის „რჩევა“ და ერთმანეთი გარეთ გაიწვიეს. გაიხადეს ტანზე და ეძგერნენ ერთმანეთს.

ერთი მამიდაშვილი გაარტყამს, მეორე თავს მაძლის ცხვირში, პირველი წამოიკიდებს, ეს ორივე მოასწრებს და ცხვირში სისხლს ადენს მუშტის დაკვრით.. „ბრძოლა“ სწარმოებს თავგამეტებით.

გამოვა ერთი ამხანაგი რესტორანიდან, ჩადგება შუაში, მიბეგვავენ მასაც და ისევ ერთმანეთს დაეჯახებიან. მამიდაშვილებმა ზედიზედ მიბეგვეს სამივე დაპატიჟებული ამხანაგი. სულ გაიხადეს ტანზე, რომ დაცული ყოფილიყო „ფრანგული ჭიდაობის“ წესები.

როცა სამივე ამხანაგი ცხვირ-პირ დამტვრეული იყო, მილიციელმა უკანასკნელი იერიში მიიტანა მოჩხუბართა გასაშველებლად.

მამიდაშვილებმა გადმოაბრუნეს მილიციელი და ცხვირით გაუშვეს ქვაფენილზე. გამოძახებულ იქნა მილიციელების და მეეზოვეების გაძლიერებული რაზმი, მაგრამ მებრძოლი, გაშმაგებული მამიდაშვილები მიიმალენ: ერთი ფურგუნს ქვეშ შეძვრა, მეორე სანაგვე ყუთში.

მოჩხუბრები დააპატიმრეს და გადასცეს სასამართლოს.

მამიდაშვილები ოთხი თვის ვადით გაიგზავნენ გამასწორებელ სახლში.

ვერ.

შემთხვევები

6 წ. წინათ მოკლულის გვამის პოვნა

გუშინ, ნაშუადღევის 5 საათზე, რუსთაველის პროსპექტზე № 38 სახლის ფარდულში აღმოაჩინეს მოკლული კაცის ჩონჩხი.

შემთხვევის ადგილზე გამოცხადდნენ სისხლის სამართლის მილიციის და პროკურატურის წარმომადგენლები.

ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლები დაუყოვნებლივ შეუდგნენ მკვლელობის ადგილის დათვალიერებას.

მოკლული კაცის ჩონჩხი ჩაფლული იყო მიწაში მეოთხედი მეტრის სიღრმეზე.

თუ როგორ და რა პირობებში მოხდა მკვლელობა, ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული. წინასწარი გამოძიება ცხადათ ჰყოფს, რომ მკვლელობა მომხდარა დაახლოებით 5—6 წლის წინად.

მოკლულს თავის ქალა ჩამტვრეული აქვს, რაიც ამტკიცებს, რომ იგი საშინლად უწამებიათ.

გათხრილ მიწაში ჩონჩხთან ერთად იპოვნეს ბერდანა, ვინტოვკა და ცარიელი ვაზნები.

გარდა ამისა, იპოვნეს გაზეთის ნაჭრები, აბრეშუმის ყელსახვევი და მეფის დროის სპილენძის ფული.

მოკლულს თმა აქვს წაბლის ფერის, კბილები სრულიად საღი, რაც ცხადჰყოფს, რომ მოკლული ყოფილა ახალგაზრდა.

ჩონჩხი აღმოაჩინეს შემთხვევით. გუშინ ერთი მდგმურთაგანი ფარდულში თხრიდა მიწას რადიოს გასაყვანად და წააწყდა ჩონჩხს, რის შესახებ აცნობა თბილისის სისხლის სამართლის მილიციას.

ტრამვაის დაჯახება

გუშინ, დღისით ტრამვაის ვაგონი, რომელსაც მართავდა ვატმანი ალლაძე, პლეხანოვის პროსპექტზე დაეჯახა მატრონა ზაქარიას ასულ საგანოვას (მცხ. ყიზლიარის ქ. № 1) და მსუბუქად დაშავა. ვატმანი ალლაძე დაპატიმრებულია.

ფეხსაცმელების გატაცება

გუშინ, დღისით მიხეილ ნიკოლოზის ძე ტერ-გრიგორიანი შევიდა ა.-კ. სოფლის სატრანსპორტო კოოპერაციის მაღაზიაში (№ 2) და მოისურვა ფეხსაცმელების „გასინჯვა“. მაღაზიაში დიდძალი ხალხი ფუსფუსებდა. გრიგორიანმა ჩაიცვა ფეხსაცმელები და კარებისაკენ გაიპარა. მაგრამ ნოქარმა თვალი მოჰკრა მიმავალ ქურდს და გამოუდევნა.

გრიგორიანი მალე დააპატიმრეს.

გამფლანგველის დაპატიმრება

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის საქციზო სამმართველოს უფროსის მოადგილე გიორგი გელენიძე.

გელენიძემ ხსენებულ თანამდებობაზე მუშაობის დროს ყალბი საბუთების შედგენის საშუალებით მიითვისა და გაფლანგა დაახლოებით 6.000 მანეთი.

თავის დაწვა

გუშინწინ ნინა ალექსანდრეს ასულმა მოგვერაძემ (20 წლისა, მცხ. ოუზის ქ. № 37) თვითმკვლელობის მიზნით ტანსაცმელზე გადაისხა ნავთი და წაუკიდა ცეცხლი. ყვირილზე მისულმა მეზობლებმა დიდის გაჭირვებით ჩააქრეს ცეცხლი და ქალი სასწრაფოდ გადაგზავნეს ქალაქის მეორე საავადმყოფოში.

მოგვერაძის ქალს დამწვარი აქვს მთელი სხეულის კანი.

თვითმკვლელობის განზრახვის მიზეზი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია.

ხანძარი სოფელ ერთობაში

გუშინ, თბილისის სისხლის სამართლის მილიციაში მიიღეს ცნობა, რომ 30 მარტს სოფ. ერთობაში (ყარაია) სავეტერინარო პუნქტს გაუჩნდა ხანძარი. როგორც კი შენიშნეს ცეცხლი, მცხოვრებლები გაეშურენ ხანძრის ჩასაქრობად. ენერგიული მუშაობის წყალობით ცეცხლი ორი საათის განმავლობაში ჩაქრობილ იქნა სავსებით. შესდგა სპეციალური კომისია ხანძრის გაჩენის მიზეზების გამოსარკვევად.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 4 აპრილს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევართ:

კვალიფიციურ მუშათა პირველ სექციიდან. ევგენია ბახტაძე, ბაღდასაროვი, ნაუმ ჩერნიშევი, ფეოდოსია ვეზირიშვილი, ნაუმ ეგოროვი, სათენიკ იშაგამოვი, ავეტის მურადოვი, ნინო ლიუცენკო და მარიამ გელაზანია.

გონებრივ მუშაკთა მე-2 სექციიდან: ნადეჟდა საბლინა, ნინო ბორისოვა, ნინო მელლერი, დორა ზუტტე, სათენიკ ბაგაჯაგოვა, ვალენტინ რეკარდი, ვალენტინა პაპიევი, ვალენტინ მურომცევი, სერგო დენისოვი და ელენე მიშინა.

შავ მუშათა მე-3 სექციიდან: მარიამ ჟირიხინა.

ახალგაზრდათა მეოთხე სექციიდან: გიორგი ნანიაშვილი, ვალერიან პუტილოვი, მიხეილ ჯავახიშვილი, იოსებ გომართელი, გიორგი მარქაროვი, სურენ ავეტისიანი, ანდრო ასარაული, ივანე ბიბილაშვილი, გიორგი დვალიძე, ვასილ ბერუაშვილი, ნადეჟდა პარშინი, ასან ვართანოვა, კონსტანტინე აბრამოვი, ანასტასია მიქაძე, თებრონე ხარებავა, გიორგი ყველაშვილი, მარიამ ხოფერია, ილია შიუკაშვილი, ქსენია კაროლენკო, ლიუბა პეტრიაშოვა, ლევან ბედიაშვილი, ზაქრო მეფარიშვილი, ვახტანგ გოჩიაშვილი, ნადეჟდა პავლოვა, მარიამ ჟუგანოვა, შალვა გოგიაშვილი, მიხეილ გონჯნაშვილი, შალვა ჩიტაძე, გიორგი ქურხული, ლევან გოდერძიშვილი და დიმიტრი ბრიძელი.

რკინის გზელ მუშაკთა მეშვიდე სექციიდან: ვარლამ დანელია, ქსენია ბედია, იორა კალანდაძე და ტატიანა ივლიევა.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: ივანე ბედლამოვი, ალექსანდრე ზვონარევა და აბრამ პურაძაშვილი.

მეცნიერება და ტეხნიკა

ევროპის შეერთება აფრიკასთან

ესპანელი და ფრანგი ინჟინრები ამუშავებენ პროექტს ევროპისა და აფრიკის შეერთებისას გიბრალტარის ქვეშ გაყვანილ 48 კილომეტრის სიგრძე გვირაბით.

პროექტის განხორციელებას დიდი დაბრკოლებები ელობება წინ. გიბრალტარის სრუტე წარმოიშვა იმის წყალობით, რომ გაჩნდა უდიდესი ნაპრალი, რომლის სიღრმე იმ ადგილას, სადაც სრუტის სიგანე 14 კილომეტრია, ერთ კილომეტრამდე აღწევს. ამიტომ საჭირო შეიქნა სხვა პუნქტის არჩევა გვირაბის გასაყვანათ—400 მეტრის სიღრმეზე.

გვირაბის გასაყვან სამუშაოების დაწყება განზრახულია დამხმარე გალერეის გაყვანით, რის შემდეგ დაიწყება მთავარი სამუშაოები. თვით გვირაბი იქნება ორ-გალერეიანი, თვითეულ გალერეაში მატარებლები ივლის მხოლოდ ერთი მიმართულებით. მთელი გვირაბის გავლას მატარებლები მოანდომებენ ნახევარ საათზე ცოტა მეტს.

მარადი მამოძრავებელი

შვეიცარიელმა ინჟინერმა ჟან რეიტერმა გამოიგონა საათი, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს ატმოსფერულ წნევას. ეს საათი მართებულად მუშაობს 1926 წ. 11 სექტემბრიდან და თეორეტიულად არასოდეს არ უნდა გაჩერდეს. საკმაოა მცირეოდენი ცვლილება ატმოსფერულ წნევაში, რომ წნევის განსხვავებამ საათის მექანიზმი „დატენოს“ ენერგიის ახალი მარაგით, რადგან ატმოსფერული ცვლილებები განუწყვეტლივ ხდება, საათის მუშაობა უნდა გაგრძელდეს იმ დრომდი, სანამ დედამიწის გარშემო, საერთოდ, ექნება ადგილი ატმოსფერულ მოვლენებს. რეიტერი ამჟამად აწარმოებს ცდებს პატარა მარად მოძრავი მოტორების დასამზადებლად.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 4 აპრილი

დღეს, 4 აპრილს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მოხსენება: რამდენად მართლდება ამინდის წინასწარმეტყველება საზღვარგარეთ და ჩვენში—ქართულ ენაზე.

საუბარი ბიოლოგიაზე—ქართულ ენაზე.

მოხსენება: საბჭოთა სკოლა და რელიგია—ქართულ ენაზე.

ავიაქიმის მოხსენება: როგორი იქნება მომავალი ომი—რუსულ ენაზე.

ჯანსახკომის მოხსენება: ძვლების ტუბერკულოზი—რუსულ ენაზე.

მოხსენება: ამიერ-კავკასია—მომავალი კალიფორნია—რუსულ ენაზე.

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

გეო-ფიზიკური ობსერვატორიის ცნობები.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 4 აპრილს, საღამოს 6 საათზე მესამე რაიკომის შენობაში (მე-2 სარ.) დანიშნულია მე-3 რაიკომის უჯრედთა თათბირი საქარხნო-საფაბრიკო ადგილკომების ფრაქციებთან ერთად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომის მუშა-გლეხ ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ დღეს, 4 აპრილს საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრ. კლუბის შენობაში და ტატიანას ქ. სახლში № 2 შესდგება არსრაიონის ქალთა სადელეგატო კრება.

დღეს, 4 აპრილს, საღამოს 6 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის შენობაში (სოლოლაკის № 7) მოწვეულია ქალაქის რაიონის უჯრედთა ქალორგანიზატორების თათბირი.

დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედის ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს ამხ. გიორგი ჯანელიძეს, ამბერგი ძიგრაშვილს, შუშანიკა ქორიძეს, ვლადიმერ კვანტალიანს და სერგო რეხვიაშვილს გამოცხადდნენ დღეს, 4 აპრილს, საღამოს 6 საათზე ქალაქის რაიკომში მიმღებ კომისიის სხდომაზე პარტიაში გადასარიცხათ.

სახ. უნივერსიტეტის 1-ლ და მე-2-რე კურსის უჯრედებთან არსებული მიმდინარე პოლიტიკის წრის მეცადინეობა ამხ. ანდრია ბუაჩიძის ხელმძღვანელობით შესდგება დღეს, 4 აპრილს საღამოს 5 საათ., ამხანაგებს ევალებათ გამოცხადდნენ დაუგვიანებლად.

ოთხშაბათს, 4 აპრილს, საღამოს 6 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში შესდგება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საკვალიფიკაციო კომისიის მორიგი სხდომა.

სხდომას აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები:

მარკმანი (საქპროფსაბჭო) ერმოვი (სახ. პოლიტ-სამმართველო) გ. სტურუა (საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისია), ბ. ზილევა (თბილისის კომიტეტი), კვირიკაძე (თბილისის კომიტეტი), ბაქნიძე (თბილისის აღმასკომი), მესხი (თბილისის აღმასკომი), სიჭინავა, კაჭარავა, ჯვარშეიშვილი და კორინთელი (იუსტიციის სახ. კომისარიატი).

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 4 აპრილს შესდგება მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფური კრება არსრაიონის შემდეგ დაწესებულებათა:

26 კომუნარის სახ. ქარხანა, კალინინის სახ. ქარხანა, მექანიკური სარემონტო ქარხანა, ელექტრიკი (მუშათა ცენტრ. კლუბის შენობაში,—საღამოს 6 საათზე): როზა ლიუქსემბურგის სახ. თამბაქოს ქარხანა, თამბაქოს ქარხანა „პროლეტარი“, საკარტონაჟო ფაბრიკა („პროლეტარის“ შენობაში,—საღამოს 6 საათზე); მუშკოოპი, სარეწაო კოოპერაცია, წყალსადენი, პურის მცხობელნი (მუშკოოპის კლუბის შენობაში,—საღამოს 6 საათზე).

„ზაკავტოპრომტორგი“, მუშკოოპის ტრანსპორტი, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა, მელითონეთა გაერთიანებული ქარხკომი (ავტო-კლუბის შენობაში,—საღამოს 6 საათზე).

არსენალი, (არსენალის შენობაში, დღის 3 საათზე).

ტრამვაი, სახკინმრეწვი, მაუდის ფაბრიკა, შინა მრეწველობა (ტრამვაის შენობაში—საღამოს 6 საათზე).

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედის ბიურო-კოლექტივი იტყობინება, რომ დღეს 4 აპრილს, საღამოს 7 საათზე მოწვეულია ბიურო-კოლექტივის სხდომა. წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა სარევიზიო კომისიის წევრებთან ერთად.

სხდომაზე უნდა გამოცხადდნენ აგრეთვე ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები.

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედის ბიურო-კოლექტივი წინადადებას აძლევს ამხ. სირაძეს გამოცხადდეს დღეს, 4 აპრილს, დილის 9 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიაში ამხ. ქურქაძესთან.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი იტყობინება, რომ ხუთშაბათს, 5 აპრილს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრ. კლუბის შენობაში შესდგება მეორე რაიონის თბილისის საბჭოს დეპუტატების თათბირი.

მეორე რაიონის წარმოებათა საბჭოს ყველა წევრების დასწრება აუცილებელია.

დღეს, 4 აპრილს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია სახ. უნივერსიტეტის სოც. ეკონომიურ ფაკულტეტთან არსებულ ახ. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა. წევრ-კანდიდატების დასწრება სავალდებულოა. სხდომაზე უნდა გამოცხადდნენ აგრეთვე, ამხ. ეკატერინე მეშველიშვილი, ოქროპირ ბერიძე, ვახტანგ ჩხენკელი, დავით ქორქოლაძე, მიხეილ ყურაშვილი და ის ამხანაგები, რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადებები.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ დღეს 4 აპრილს, საღამოს 6 საათზე მიმღებ კომისიის სხდომაზე რაიკომის შენობაში (სოლოლაკის ქუჩა № 7): **მე-53-ტე უჯრედიდან:** ვართან ოგანეზიანი, ნეიმზარ ბაღდასარიანი, სოფიო მალხიანი, არუსიაკ დავთიანი, აშოთ მიქაელიანი, გევორგ ვოსკანიანი და რუბენ აგასარიანი; **მე-52-ტე უჯრედიდან:** გაიკ ნარიმანოვი, **მე-33-ტე უჯრედიდან:** მარია სმოლენსკაია, **მე-36-ტე უჯრედიდან:** მარო კახელაძე, თინა ყიფიანი, გრიგოლ ანანოვი, ნიკოლოზ ხერედიანი; **მე-31-ტე უჯრედიდან:** ედუკი მაკარევიჩი, ალექსანდრე უნგიაძე, **მე-28-ე უჯრედიდან:** ვარლამ შამათავა, **მე-27-ე უჯრედიდან:** ანატოლი დიუნინი, **მე-24-ე უჯრედიდან:** ბარნოვსკი, კაზარიანი, **მე-23-ე უჯრედიდან:** გიორგი ჯანელიძე, ამბერკი ძიგრაშვილი, შუშანიკა ქორიძე, ვლადიმერ კვანტალიანი, სერგო რეხვიაშვილი, **მე-20-ე უჯრედიდან:** ალექსი კალაჩიევი, **მე-18-ტე უჯრედიდან:** ზაქარია გაზაევი, **1-ლ უჯრედიდან:** კარაზანიშვილი, **მე-26-ე უჯრედიდან:** კრასნობოროდკინი, პშენიჩნოვი, პოპოვი, ვარლამ დორონი; **მე-42-ე უჯრედიდან:** გარეგინ ოგანეზოვა, **მე-5-ე უჯრედიდან:** ივანე ბაღდასაროვი, **მე-46-ე უჯრედიდან:** ალექსანდრე სანღულაშვილი, **მე-2-ე უჯრედიდან:** პეტრე ზამიუცკი, **მე-64-ე უჯრედიდან:** სიმონ ბურჯულაძე, სიმონ სტეფანოვი, მათე ჯანელიძე, მისაკ გრიგორიანი; **მე-61-ე უჯრედიდან:** მელქონ მეგრაბიანი, **მე-15-ტე უჯრედიდან:** გრიგოლ კარაკაშიშევი, **მე-58-ტე უჯრედიდან:** შალვა კვანტალიანი, იოსებ გვანიშვილი, ლავრენტი კობლაშვილი. **მე-57-ტე უჯრედიდან:** სერგო არაქელოვი. **მე-56-ე უჯრედიდან:** თაკუი ბატიკიანი, ცოვინარ აკოპოვა, ალექსანდრა ზარაფიანი, ჰოვანეს არუთინოვი, კარაპეტ ოლანესოვი, არუთინ მკრტიჩიანი, კოჩაზა საიადოვა და მნაცაკან გრიგორიანი; **მე-55-ტე უჯრედიდან:** მარია პირუმოვა, ელენე პოზოვა, **მე-40-ე უჯრედიდან:** ასტიკ მკრტუმოვი, **მე-18-ტე უჯრედიდან:** მირზა მირზოევი.

სახკინმრეწვის თეატრები	
აპოლო	მეორე კვირა **სიცოცხლე სიცოცხლისათვის**
არფასტო	მთავარ როლებში: **მარჩელა ალბანი, პაულ რიხტერი, პაულ ვეგენერი**
სოლეი	მხატვრული შედევრი **განკიცხულნი** ვ. ჰიუგოს რომანის მიხედვით 1 და 2 სერია
დარბაზი	**„დრამა პომერის ცირკში“** მაცისტის მონაწილეობ.
ოდეონი	მხატვრული ფილმი **„მუდამ უცხონი“**
პროლეტარი ავლაბარი	**„უთაო მხედარი“** გარი პილის მონაწილეობით 1 და 2 სერია

ანონსი: მალე რევოლუციონური ფილმი „ოქტომბერი“ 0—27

ქ. თბილისის საბინაო საქმეთა სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი მ. ა. ღვალაძე

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 7 აპრილს, დილის 11 საათზე ლენინის ქუჩაზე, ვერის ბაზარში, ხოლო 12 საათზე ლომინაძის (ყოფ. იზმაილოვის) შესახ. № 6. **საჯარო ვაჭრობით** გაიყიდება მოქ. გიორგი იხტიაროვის მოძრავი ქონება.

ვერის ბაზარში გაიყიდება: სასწორი, 60 გირ. ყველი, 13 გირ. ერბო, სამი ცალი ხის კასრი შეფასებული 75 მანეთად, ხოლო ლომინაძის შესახ. № 6. ტანისამოსის შკაფი, გასაშლელი მაგიდა, სირკე და სხვა საოჯახო ნივთები შეფასებული 189—95 კაპ. აწერილი მოქ. ნიკოლოზ და ალექსანდრა რაევის ვალში, თანახმად საბინაო სასამ. მიერ 1926 წლის 9 თებერვლის თარიღით № 479 და გ | წ. 23 ნოემბრის თარიღით № 1551 გაცემულ აღმასრულებელი ფურცლებისა. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან.

თუ რაიმე მიზეზით 7 აპრილს არ შესდგება საჯარო ვაჭრობა, იმ შემთხვევაში შემდეგი საჯარო ვაჭრობა ამავე საათებში მოხდება ა. წ. 18 აპრილს დღით ოთხშაბათს; ვაჭრობა დაიწყება შემცირებული ფასებიდან. 1975

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ.
25—1 ტელ. 12—76

ექიმი
ნ. ტურიაშვილი
იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის)
25—1

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—11

ქ. ქუთაისი
ექ. თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგანი სნეულება—სპეციალ. ფილტვების ავადმყოფობა.
ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოსა აფთიაქის გვერდით) ავადმ. მიღება დილ. 11—1, საღ 4—6 საათ. 25—4

მათემატიკის მასწავლებელი
ამზადებს სამხედრო აკადემიაში. უმაღლეს სასწავლებელში სპეც. ტეხ. მუშფ. შესასვლელ გამოცდებისათვის და 9 წლედის მოწმობაზე, და ასწორებს ხუსტ მოწაფეებსაც. აქვე რუსული, გერმან., ფრანგ. და ლათინ. ენის და არითმეტიკის გაკვეთილები თვითგანვით. საბუღალტრო კურსებზე შესასვლელად. პლეხანოვის ქუჩა № 25. (შესავალი ჩერნიშევის ქ. № 5) მიღება 9—12 2—6 ს. 2—1

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
სხივებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, კოროლანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი
ი. ა. ტერ-იოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დილის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქორესის ქ. კუთხე. 25—1

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 14

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების დებულების 30,32 და 33 მუხ. შეცვლის შესახებ

ს. ს. რ. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „კოოპერატიული ორგანიზაციების ლიკვიდაციისა, შეერთებისა და გაყოფის გამო ამ ორგანიზაციების გაუქმების წესის დებულების დამტკიცების შესახებ“ 1927 წ. ივნისის 15-ს თარიღით გამოცემული (ს. ს. რ. კ. კან. კრ. 1927 წ. № 37, მუხ. 317) დადგენილებას თანახმად—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ს. ს. ს. რ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების დებულების 30, 32 და 33 მუხ. (საქართველოს ს. ს. რ. კან. კრებ. 1927 წ. მე-4 №-რი, მუხ. 66) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ 30. ინვალიდთა არტელები და მათი შენაერთები (კავშირები) წესდების რეგისტრაციაში გატარების დღიდან ჩაითვლებიან იურიდიულ პირებად და მათ შეუძლიათ აწარმოონ ყველა ოპერაცია წესდებით გათვალისწინებულ ფარგლებში

უკეთუ ორგანიზაცია სამი თვის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მის დამფუძნებლებს ეცნობათ წესდების დამტკიცება და რეგისტრაციაში გატარება სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ, არ შეუდგება წესდებით გათვალისწინებულ საქმიანობას და ამას არ აცნობებს აღნიშნულ ორგანოებს, იგი ჩაითვლება არა შემდგარად და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების დადგენილებით ამოიშლება რეესტრიდან.

მუხ. 32. ინვალიდთა არტელების (ამხანაგობის) და მათი კავშირის ლიკვიდაციისა, შეერთებისა და გაყოფის წესი განისაზღვრება განსაკუთრებული საერთო-საკავშირო კანონით (ს. ს. რ. კ. კან. კრებ. 1927 წ. 37 №-რი, მუხ. 372) „დებულება კოოპერატიული ორგანიზაციების გაუქმების წესისა მათი ლიკვიდაციისა, შეერთებისა და დაყოფის გამო“.

შენიშვნა. იმ შემთხვევაში, როცა აღნიშნული „კოოპერატიული ორგანიზაციების ლიკვიდაციისა, შეერთებისა და გაყოფის გამო ამ ორგანიზაციების გაუქმების წესის დებულების“ მე-2 მუხ. „გ“ პუნქტში, არტელი (ამხანაგობა) გაუქმდება ინვალიდთა სამაზრო შენაერთის დადგენილებით, რაც დამტკიცებულ უნდა იქნეს სამაზრო აღმ. კომ-ტის მიერ, ხოლო ინვალიდთა ყველა საფეხურის შენაერთი კი—სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმას. კომ-ტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების დადგენილებით.

მუხ. 33. დადგენილება ლიკვიდაციის შესახებ გამოქვეყნებულ უნდა იქნეს სათანადო ადგილობრივ ოფიციალურ ბეჭდვითი ორგანოში.

ინვალიდთა ორგანიზაციის ვალების დაფარვის დროს, სამოქ. სამ. კოდექსის 101 მუხლით გათვალისწინებული პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ, პირველ რიგში დაფარულ უნდა იქნეს: პირველი საფეხურის შენაერთების (არტელების) ვალების დაფარვის დროს—სესხი, რაც აღებულია ინვალიდთა არტელების შენაერთებისაგან და სრ. საქ. საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებასთან არსებული ინვალიდთა შენაერთების სრულიად საქართველოს ცენტრისაგან; არტელების შენაერთების ვალის დაფარვის დროს—სესხი, რაც აღებულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებასთან არსებულ სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების კავშირისაგან; ხოლო სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებასთან არსებულ სრულიად საქართველოს ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთების კავშირის ვალის დაფარვის დროს—სესხი, რაც აღებულია აღნიშნული სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებისაგან.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. აფციაური.**

1928 წ. მარტის 21
თბილისი—სასახლე

დამკრძალავი კომიტეტი აცნობებს საზოგადოებას, რომ 1 აპრილს, დილის 3 საათზე გარდაიცვალა აკადემიური ასოციაციის საპატიო წევრი, დამსახურებული ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე

ნიკო ნიკოლაძე

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 7 საათზე, ხელოვანთა სასახლეში. დაკრძალვა მოხდება მთაწმინდაზე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის პრეზიდიუმი მწუხარებით აცხადებს მხცოვანი მოღვაწის და დამსახურებულ მწერლის

ნიკო ნიკოლაძის

გარდაცვალებას. დღეს საღამოს 6 საათზე ცხედარი გადასვენებული იქნება ხელოვანთა სასახლეში. პანაშვიდი დღეს 7 საათზე, ხელოვნების სასახლეში. დაკრძალვა—ხუთშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე, მთაწმინდაზე.

გამომც. „ქართული წიგნის“ გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას და ამხანაგობის წევრებს, რომ 1 აპრილს დილის 3 საათზე გარდაიცვალა გამგეობის თავმჯდომარე და ამხანაგობის დამაარსებელი წევრი, დამსახურებული მწერალი და საზოგადო მოღვაწე

ნიკო ნიკოლაძე ნ. 874

ეფროსინე იაკობის ასული ჭიჭინაძისა შვილებით და შვილისშვილებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 1 აპრილს ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი ძვირფასი და დაუვიწყარი ძმა

ნიკოლოზ იაკობის ძე ნიკოლაძე

2—1 ნ. 868

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ოლიმპიადა, შვილები ვერა, ევგენი, კონსტანტინე და ლეონიდე, სიძე ივანე სმირნოვი; რძლები ელენე და მარიამი, შვილისშვილები: ვალენტი, ბორიანი და გოგი აუწყებენ საზოგადოებას, რომ 2 აპრილს ღამის 2 საათზე გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

გაბრიელ პეტრესძე ცაგარელი

გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს 4 აპრილს დღის 4 საათზე ბინიდან კალინინის ქუჩ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 69. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2—2 1965

მეუღლე თამარი გიორგის ასული და შვილები ნინო, ელენე, მარინე და ქეთევანი შოშიაშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი და დაუვიწყარი

სოლომონ ანდრიას-ძე შოშიაშვილი

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს საღამოს 7 საათზე. გამოსვენება მოხდება 19 თებერვლის ქ. № 9. ხუთშაბათს, დღის 1 საათზე. 1978

გაზ. „კომუნისტი“-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი (ან ქვითარის №-რი)**, რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 მთავარი კანტორა.

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—

ექიმი **ს. ი. ანდრეევისა**
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ელსმენი 11—78 25—0

დაიკარგა მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 9827 გიორგი რამიშვილის სახელზე ჩ. გ. 1977

დაიკარგა: კავშირის წიგნაკი (მიწა-ტყის) № 4643 ვლადიმერ მდივნიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1969

დაიკარგა: დამზღვევ სალაროს წიგნაკი ვასილი გიგოს-ძე ბერძენიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1973

დაიკარგა: სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფორმა № 4, გაცემული სენაკის სამხედრო მაგიდიდან ნიკოლოზ დემურიას სახელზე, ჩ. გ. 1974

დაიკარგა საქ. წითელი ჯვრის საზოგადოების წიგნაკი № 6082, სამხედრო აღრ. პირადი წიგნაკი № 828, ორჯონიკიძის სახელობის კლუბის საწევრო წიგნაკი № 3084, ტარასი ონისიმეს-ძე მარგალიტაძეს სახელზე, ჩ. გ. 1971

დაიკარგა: პირადობის მოწმობა ნიკოლოზ მუმლაძეს სახელზე, ჩ. გ. 1970

დაიკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 5404 გერასიმე ბარამიძეს სახელზე, ჩ. გ. 1976

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 62